

ქრისტიანული პოეზიის
ფესტივალი
„ნინო ნინოს ჯვარი“

2011-2022



ფესტივალის რჩეული ლექსების კრებული

**ქრისტიანული კოეზიის
ფესტივალი
„ნმინდა ნინოს ჯვარი“**

2011–2022

ფესტივალის რჩეული ლექსების კრებული

მერიდიანი

2023

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალში „წმინდა ნინოს ჯვარი“ სულ მონაწილეობა მიიღო 547 ავტორმა. 19 ავტორმა დაიმსახურა ფესტივალის მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი; პრიზი — წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი მოიპოვა 51 ავტორმა; პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალი გადაეცა 54 მონაწილეს.

კრებულში შესულია დღემდე ჩატარებული თორმეტივე ფესტივალის გამარჯვებული ლექსები.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალში „წმინდა ნინოს ჯვარი“ ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“.

ფესტივალის იდეის ავტორი
აკაკი დაუშვილი

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე
ზაალ ბოტკოველი

© ავტორთა ჯგუფი

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023

ISBN 978-9941-34-199-1



რა სიჩუმეა მაყვლოვანში!?

რა უცნაური სათაური! აო, იფიქრებს მკითხველი. განა შესაძლებელია, რაიმე სიჩუმეზე, სინყნარეზე, სიმშვიდეზე საუბარი ახლა, როდესაც დედამინა – უმშვენიერესი და უნატიფესი ცისფერი პლანეტა ლამის დენთით გადავსებულ ვეება კასრს დამსგავსებია და ერთმა ღმერთმა, არა, ღმერთმა არა, ეშმაკმა უწყის როდის აფეთქდება და ფერფლით დაფარავს ყველაფერს, რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია – ლეონარდო და ვინჩის „მონალიზას“ და მიქელანჯელო ბუონაროტის „მოსეს“, ფიროსმანის „მეეზოვეს“ და რემბრანდტისა თუ რუბენსის შედევერებს, წმინდა პეტრეს ტაძარსა თუ სვეტიცხოველს, კაპადოკიისა თუ ვარძიის კლდეში ნაკვეთ ქალაქებს, გიზის პირამიდებსა თუ უფლისციხის ღვთაებრივ სანახებს. და, რაც მთავარია, გაანადგურებს თავად ადამიანთა მოდგმას, ვინც ათასწლეულების განმავლობაში იბრძოდა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის, ხნავდა, თესავდა და მკიდა პურს ჩვენი არსობისა, ეთაყვანებოდა ვაზს, რომელიც მას ქრისტეს სისხლის თანაზიარს ხდიდა... ეს ყოველივე უნდა განადგურდეს და ნაცარტუტად იქცეს ქვეყნად საიდანაც შემოხეტებული სატანისა და მისი მიმდევერების ხელით...

ჩვენ კი მაყვლოვანში გამეფებულ სიჩუმეზე ვწერთ და თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებით იმ რეალობასთან, დედამინაზე რომ გამეფებულა.

არადა, მაყვლოვანში, მცხეთის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძრის გვერდით ღვთივ-დამშვენიებულ წმინდა წინოს ეკლესიასთან მართლაც რომ უფლისმიერი სიჩუმე სუფევს, რაც მეტად საგულისხმო და იმედისმომცემია ყველასთვის, ვისაც გული არსთაგამრიგის სიყვარულით აქვს გამთბარი, ვის სულშიც მარადიულად ჰგებებს უფალი ჩვენი...

სწორედ ამ მაყვლოვანში დაივანა წმინდა წინომ, აქ გაატარა არაერთი წელი, აქ დაასვენა საკუთარი თმებისგან დანწული ჯვარი ვაზისა და აქედან დაიწყო სრულიად საქართველოს გაქრისტიანება.

IV საუკუნიდან მოყოლებული მირიადჯერ დაარბიეს ქართუ-



ლი სალოცავები, ბუნებრივია, არც მოციქულთასწორი წმინდა ნინოს სალოცავს დაინდობდნენ. განსაკუთრებული გავრეობით ცდილობდნენ „მაყვლოვანის“ – მაყვლის ბუჩქების ამოძირკვას, მაგრამ ამოდ, ვერაფერს გახდნენ. მაყვლოვანის განადგურების ბოლო მცდელობები კომუნისტური რეჟიმის ზეობისას მოხდა, როცა მაყვლის ბუჩქი რამდენჯერმე ძირფესვიანად ამოთხარეს, უფრო მეტიც, შიგ რალაც საშინელი მჟავაც კი ჩაასხეს, მაგრამ ვერ მოსპეს, ვერ გაანადგურეს, ისევ გაიზარდა, ისევ განმტკიცდა ის უმშვენიერესი ბუჩქი ქართველთა სულის საოხად, წმინდა ნინოს სულის საოხად, ჩვენი სიმტკიცისა და შეუვალობის ბურჯად, ქრისტესადმი ჩვენი მარადიული ერთგულების და რწმენის ნიშანსვეტად.

სწორედ მაყვლოვანში აღვლენილი ლოცვებით დაამსხვრია წმინდა ნინომ წარმართული ღვთაებანი – გაცი და გაიმი და რვალზე უმტკიცესად მწამს, რომ სწორედ ასევე დაიმსხვრევა XX საუკუნის უღმერთოთა კავშირის უბადრუკი შთამომავლების ყველა უბადრუკი მცდელობა, ჩირქი მოსცხონ, წაბილწონ ჩვენი რწმენა და თაყვანისცემა ქართული მართლმადიდებლური დედაეკლესიისადმი, იმ წმინდანებისადმი, ცოტნე დადიანი და ქეთევან დედოფალი, ბერი თევდორე და მამა ანდრია ყურაშვილი რომ ჰქვიათ სახელად...

წმინდა ნინოს ლოცვები, მისი ჯვარი ვაზისა იცავდნენ და კვლავაც დაიცავენ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, დაიცავენ ჩვენს ცოდვილ სულებს, რათა ეშმაკ და სატანამ ბოლომდე არ გაგვთელონ და არ დაგვაგინეონ, რომ ქართველები ქრისტეს მხედრებად მოვევლინეთ სამყაროს და თუ ბედმა გაგვწირა, ქრისტეს მხედრებად აღვესრულებით...

ამიტომაც რა გასაკვირია, თუ ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის ჩატარების იდეის ავტორებმა ფესტივალს ქართველთა განმანათლებლის სახელი უწოდეს. იდეის ავტორთა შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ ამ ფესტივალმა თავისი დანიშნულება რომ გაამართლა, ამაზე განვლილი თორმეტი წელიწადიც მეტყველებს. დიახ, 2011 წელს დაარსებულმა ამ ძალზე დროულმა და



მნიშვნელოვანმა აქციამ ყველას დაგვანახა, როგორ მოგვნატრებია მიახლება ჩვენს წმიდათანმიდა ფესვებთან, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს დედაეკლესიას, ქრისტიანულ იდეალებს, იმ სინმინდეებს, იმ მარადიულ ღირებულებებს, აქამომდე რომ მოიყვანა ჩვენი საესავი სამშობლო, ჩვენი ერი.

ამ თორმეტი წლის განმავლობაში ფესტივალში მონაწილეობა 547 შემოქმედმა მიიღო და მათგან ცხრამეტმა დაიმსახურა მთავარი ჯილდო – წმინდა ნინოს ჯვარი. ისინი თანამედროვე ქართული პოეზიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები არიან და ამის დასტურს მათი გამარჯვებული ლექსები წარმოადგენს. ამ ლექსებში კიდევ ერთხელ გაცხადდა მათი ავტორების პოეტური ძალმოსილება და დაუოკებელი სურვილიც მიეახლონ მაცხოვრის სულს და მის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

წლებმა ფუტკრის გუნდით

დარდი დამასიესო,

ვით ყვავილებს ნუშის...

არსად არ მიძებნიხარ,

ჩემო ტკბილო იესო,

აქა მყავდი გულში.

სასოებით წარმოთქვამს მანანა ჩიტიშვილი, წარმოთქვამს თანამოკალმეთა სახელით და ამის წამკითხავს გული საოცარი სიტბოთი გვესება და თან რწმენაშიც განგამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ იმიტომ გადაურჩა არაამქვეყნიურ ჯოჯოხეთურ გრიგალებსა თუ ქარაშოტებს, ქრისტე მუდამ ჩვენს გულებში ბინადრობდა და იქიდან გვეკარნახობდა ცხოვრების წესსა და ნირს.

კითხულობ ვანო ჩხიკვაძის, ამ უნატიფესი პოეტის, ლექსს „ქაშუეთი – გუდიაშვილის ფრესკა“ და ხვდები, როგორ ელაპარაკება პოეტი ღვთისმშობელს – თავის დიდ დედას, როგორ ცდილობს მისი ტკივილების დაამებას და იმ საზარელი მისტერიული სურათის დანახვასაც, როცა

შეჟრჟოლდება ნატერფალიც

იორდანეს ნაპირებთან,



როცა შესძრავს ქვესკნელსა და
ზესკნელს შენი დატირება...

იშვითად შემხვედრია წმინდა ნინოსადმი აღვლენილი ისეთი
ლექსი, ქეთევან შენგელიას რომ მიუძღვნია ჩვენი დიდი დედის-
ადმი.

უფალო, ხომ აქ გააბრწყინა სახელი შენი
და შორი გზიდან მომავალმა რწმენა განფინა!
მოხვედი ლოცვით, ღმრთისმშობელის სიზმრად მნახველი,
მოხვედი ზეცის საპატარძლო ძველი ზღაპრიდან.

წმინდა ნინოს სულს ეფერება პოეტი (სხვათა შორის, ამ წერი-
ლის სათაურიც მისი ლექსიდანაა მოხმობილი) და მართლაც გჯერა
მკითხველს, რომ ნინო ზეცის საპატარძლო თეთრი ყვავილი იყო,
მორჩილად მდგარი, თვალუმღიმარე და... შემმუსვრელი ყველა
უკეთურებისა.

დიახ, ამ კრებულში შესული ლექსების ავტორები კიდევ
ერთხელ გვახსენებენ, რომ თუ გვინდა ღვთიური სურნელი ატ-
კობდეს ჩვენს სულებს, თუ გვსურს, რომ მარადიული გაზაფხ-
ულების ბინადარნი ვიყოთ, გულში მუდამ უნდა ვაშენებდეთ იმე-
დის სვეტიცხოვლებს, გამუდმებით უნდა ვიაროთ უფლისკენ, თან
ისე უნდა ვიაროთ, რომ იქ მისვლისას ზეცის ყველა კარი განიხვ-
ნას ჩვენთვის. ამიტომაც, რწმენის თასიდან გაბნეული თითოეული
მარცვლისთვის უნდა ვეომოთ ბედისწერას და არავის დავუთმოთ
იავარსაქმნელად სიკეთისა და რწმენის არცერთი ყლორტი... იმის
დანახვაც უნდა შეგვეძლოს, თუ როგორ ეშვება ლაყვარდები-
დან დიდოსტატის მარჯვენა და როგორ ეფერება სვეტიცხოვლის
მხრებს.

ბატონებო!

ამ პოეტური კრებულით, რომელსაც თქვენი მონა-მორჩილი
ღვთისადმი აღვლენილი ლოცვების კრებულად მოიხსენიებდა,
დიდი სიამოვნება გელით თუნდაც იმიტომ, რომ კრებულში დაბე-
ჭდილი ავტორების დიდი უმეტესობა სრულად პასუხობს თანამე-
დროვე ქართული პოეზიის მოთხოვნებს და თავადაა კანონმდე-
ბელი ამ პოეზიისა.



არ ვიქნები მართალი საკუთარ სინდისთან, თუ ორიოდ სიტყვით არ მოგახსენებთ ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის დამფუძნებლებზე. ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან, ღია და აკაკი დაუშვილები. მათ სრულად აქვთ გასიგრძეგანებული, რომ ადამიანი მუდამ უფლისა და ეშმაკის მარადიული ომის შუაგულში იმყოფება და ეს ომიც, გულზე ხელი რომ დავიდოთ, სწორედ მისი სულის დაპატრონებისთვის ამტყდარი ომია, დაუნდობელი და უსასტიკესი ომი. ამ ომში ვიმყოფებით დღესაც. მათ ისიც კარგად იციან, რომ ერთადერთი, რაც სჭირდება ბოროტების ტრიუმფს, ის გახლავთ, რომ კარგი ადამიანები არაფერს აკეთებდნენ, რომ სადაც რწმენა არ არის, ყველაფერი ინგრევა და იშლება. ამიტომაც გადანყვიტეს, განზე არ მდგარიყვნენ და საკუთარი, თუნდაც მცირე წვლილი შეეტანათ იმ საღვთო ომში, რომელსაც სიკეთისა და ბოროტების ომი ჰქვია. ბევრი დაბრკოლება, ბევრი წინაღობა, დაუმსახურებელი გულისტკენაც შეხვდათ ამ, ჩემი აზრით, მეტად საჭირო იდეის განხორციელებისას, მაგრამ არ ჩაუმუხლავთ, არ უწუნუნიათ, რადგანაც ჩაკირული ქართველები არიან, ჯიუტი და დაუმორჩილებელი ქართველები და დიდი ილია მართლისა არ იყოს, მათ პატიოსან გულში პატარა, ხელისგულისოდენა სამშობლოს დიდი ადგილი უკავია.

ამ სამშობლოს კეთილდღეობისთვის იღწვიან, შრომობენ, როგორც შეუძლიათ და კვლავაც იშრომებენ თან ისე, რომ გულისფიცარზე ექნებათ მუდამ აღბეჭდილი საქართველოს სულიერი მწყემსის ილია მეორის შეგონება:

იბრძოლეთ თქვენი დიდი წინაპრების დარად, რათა, უპირველეს ყოვლისა, თქვენს სულებში და შემდეგ თქვენს გარშემო გადაარჩინოთ თქვენი წილი საქართველო.

ღია და აკაკი დაუშვილებიც მათ თანამოაზრეებთან ერთად იბრძვიან საქართველოს გადასარჩენად, იბრძვიან მისი მომავლის გადასარჩენად.

არსთაგამრიგე იყოს მათი შემწე და მფარველი!

მაყვლოვანში კი მუდამ სიჩუმე იქნება გამეფებული, რადგან სიმართლეს რაც არ უნდა გაუჭირდეს, ბოლოს მაინც გამარჯვებ-



ბული ის დარჩება. ეს იცოდა მაყვლოვანის ბინადარმა, რადგან დარწმუნებული ვართ, იქ თავის უფალთან შეხვედრისას მიიღო ამის დადასტურება.

დიახ, საქართველო გადარჩება და უფრო მტკიცე და განმ-
მენდილი გამოვა ამ უთანასწორო ომებიდან.

ღმერთს ებარებოდე, ჩემო სამშობლოვ!



იესო

წლებმა ფუტკრის გუნდით
დარდი დამასიესო,
ვით ყვავილებს ნუშის...
არსად არ მიძებნიხარ,
ჩემო ტკბილო იესო,
აქა მყავდი, გულში.

განა შენ არ მიხსენი
ყოველგვარი იჭვიდან,
თვალთ ამხსენი ბანდი...
მომყვებოდი გვერდით და
როცა ძლიერ მიჭირდა,
ხელში ამიყვანდი.

როგორ მომიგურგურე
ქარიშხლებით ნაოხარს,
ვით ობოლს ნერგს ფიჭვის...
ხომ შენ მიერ მებოძა
სულის ჩემის საოხად
ლექსის წერის ნიჭი.

ჩემს დაბინდულ ცარგვალზე
გააბრწყინე ცისკარი,
დამიამე წყლული...
შენ არ შემომაბრუნე
ლეთის ნაპირს მიმდგარი,
ჩვეულ სასწაულით.



ანგელოზნი გალობენ –
„მამა ღმერთთან ჰგებსო,
ცა ვარსკვლავეთს უშლის...“
მე არსად არ დაგეძებ,
ჩემო ტკბილო იესო,
აქა მყავხარ, გულში.



მცხეთა

1. წმინდა ნინო

– ნინო! –

გაზაფხული დაგიძახებს,
კვირტების წათლილი ფერადებით
ჩამოყრის ლოლუის ყაისნალებს
მარტი – დაძონძილი დედაბერი.

თავი მოვუდრიკე დარბაისელ
თრიალეთის მთების გაყოლებას.
მოჰფენს სურნელებას ნამაისევს
ლურჯად იასამნის აბოლება.

ეს გზა მძიმე ჯვარით გაგივლია –
ახლაც, განთიადის დადგომამდე,
ველურ ბროწეულის ყვავილივით
მცხეთის სანახებში ამონათდი.

უხსოვარი დღიდან ლამენათევს
მიხმო გაზაფხულის მოძახილმა –
გულზე ის ვარსკვლავი დამექარგა,
შენ რომ მცხეთის კართან მოგაცილა.

ნინო, საუკუნის გადასახედს,
შვების წმინდა ცრემლი აწვიმე და,
ჯვარი ერთხელ კიდევ გარდასახე
რაიც უფლის ნებით გაბრწყინდება.



2. სვეტიცხოველთან

ძველ სამრეკლოში ქარი ხმაურით
 კითხულობს გაბმით ფიფქის სტრიქონებს.
 მითხარი, ღმერთო,
 ეს სასწაული,
 როდის ან ვისთვის გამოიგონე.

კიპარისები თავს რომ დახრიან,
 შენდობას გთხოვენ ყველას მაგიერ,
 ათოვს სამთავროს,
 ათოვს მაყვლიანს,
 ათოვს შენს საფლავს, მამა გაბრიელ.

თეთრი თოკები ცამდე ასული,
 ქარაშოტების მიმოქროლვაში,
 სარნმუნოების ასომთავრული –
 გარინდებულა ჯვარი თოვაში.

ბარდნის ღიმილი ზეციურ მრევლის,
 მომნუსხავს ტაძრის ყელმოღერება.
 ეშვება ციდან ოსტატის ხელი
 და სვეტიცხოვლის მხრებს ეფერება.

ქაშუეთი – გულიაშვილის ფრასკა

მარიამო, გაბმით რეკავს
 ქრისტეშობის ზარებს გული –
 ყრმა იესო მერცხალია
 ხელში შეფრთხილებული.



მარიამო, უნანავებ
მოჟღურტულე ცეროდენას,
ჯერ არ იცი, რომ ჯვარცმა და
ცრუ ამბორი ელოდება.

ჯერ არ იცი,
კაცთა მოდგმა
სულს მოითქვამს მისი ლოცვით,
გაივლის და ფეხისგულეებს
დედამინა დაუკოცნის.

შეურჟოლდება ნატერფალიც
იორდანეს ნაპირებთან,
როცა შესძრავს ქვესკნელსა და
ზესკნელს შენი დატირება...

ჯერ კი მამა უფალი დგას
ვარსკვლავების რიკულებთან
და ფრესკიდან, ბედნიერი,
დედა ღვთისა იყურება.

პირველი მარცხალი სამთავროში

გაზაფხულის მერცხალის
მერამდენე მოფრენა,
ვაზი, ჯვრად კურთხეული,
მადლით შეიფოთლება.

ღვთის მწყალობელ უბეში
ჟღურტული რომ იფეთქებს,
თალებს რომ გააღვიძებს,
ბუდეს რომ გაიკეთებს.



ნინო, მოვეახლები,
დაუჭკნობელ სახსოვარს,
შენი ლოცვის ნათელით
გაბრწყინებულ მაყვლოვანს!

ხელისგულზე სანთლები
ცვილის ცრემლებს დაღვრიან –
ღმერთო,
რა სიჩუმეა,
ღმერთო,
რა სიმაღლეა!



დაბრუნება

მას ვერ ნახავდით გრძნობამონოლილს – არ შეიცვლიდა განწყობას უცებ; არც რო ათობოდა როკვა კოცონის (თუმცა თბებოდა ვარსკვლავთა შუქზე!). მზე რეფრენივით ჩნდებოდა ცაზე – არც მზის უკვირდა უცხო იერი (ის ხომ თრობაში ხედავდა საფრთხეს და ამიტომაც იყო ძლიერი!)...

ამბობდა:

– „ეჰ, სიყვარულის გვალვებია დედამინაზე!

გამძლე მარტოდენ ღიმილია ამ სამყაროში...

და სამწუხაროდ – სწორედ ღიმილი გადახარჯულა!!!“

მასში თვითგვემის ჟინი ფეთქავდა, არ აშფოთებდა ჟღერა წარსულთა... ის არ ეძებდა მას – რაც ენადა! პირიქით, სდევდა მას – რაც არ სურდა! მზერაში წერდა: – „რატომ ჩივითო? – ამოების კედლებს ეხლებით!!!“ და იცინოდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაემალა ფერფლის ცრემლები... არ გაქცევია ბრალმდებელ ფიქრებს, არ დამალვია „მე“-სთან განდობას; როს გაფითრების მიზეზი ჰკითხეს, მიუგო – „ჟამის უჟანგბადობა!“ მერე თქვა: – „ათვლის წერტილი ხოა – მარადიულით თრობა უძლები?! ხომ იქ, ედემში ათინათობდა – ჭეშმარიტება თავისუფლების?! აქ კი – ხუნდია თავისუფლება! აქ – წუთისოფლის გვექვია ბოშები! აქ – გაგვამართლებს წყლულთა კურნება და უარყოფა უკანმოხედვის! აქ – მერამდენე ყოფნით ტკბობაა და მერამდენე მისვლა-მოსვლები... რა ძველებური შემოდგომაა! რა ძველებურად ცვივა ფოთლები!“

და ახედა ცას სინანულით:

– „ცა – მარადიულად შეუმკრთალია,

ცა – მიჯნაა უხილავი სამყაროსი,

მასში – ყოველი დასასრული დასაწყისად გარდაიქმნება...

მასშია ჩანთქმული სამყაროს წყლების სიღიადე

და უთვალავ ფერთა ერთიანობაც – მასშია.



ქვემოდან ასცქერიან მწვერვალები – უუძველესი
საგალობლები.

და ბგერათა ჰარმონიაც, რომელიც ფერთა ჰარმონიაში
მეორდება –

ქვემოდან უმღერის ცას!

წრეები წრეშიც – ანუ, კაცთა ვნებებიც ქვემოთაა!

(ესოდენ ხშირად რომ ძარცვავს მშვენიერებას...

ჭეშმარიტებას – მითუმეტეს!)

და კიდევ,

აქ, ქვემოთ – ქრონიკული მონყენილობაა.

მოსაწყენია, აბა რა, ანმყოს შარლატანობა,

რომელიც გასწავლის,

რომ საკუთარი თავის გარშემო

უნდა ირბინო, ირბინო, ირბინო

სიკვდილამდე...

და რომ საყოველთაოა,

ეჰ, საყოველთაოა ათასწლეულების წინ გავლილი გზა!

მაგრამ

არ გასწავლის, არა,

როგორ არ მოახრჩო

შენში სურვილი – მარადიული თავისუფლების!!!

აქ – ქვემოთ,

მარტო მსხვრევათა ტრადიციებია შემორჩენილი,

(სულერთია, რის...),

ხოლო, ყოველ განვლილ საუკუნეს

განსხვავებული შუქ-ჩრდილებით უყვარს თამაში

და

მომდევნო საუკუნის სახით იმ ფალავანს ზრდის,

მასვე რომ დაანოკაუტებს!

მოკლედ – მოსახდელი ავადმყოფობაა წუთისოფელი!!!

რა დაერქმევა ნეტავი, იმ დღეს – ხვალინდელი რომ

აღარ მოყვება?

(საიდუმლო ხომ მუდამ დიადია – მითუმეტეს, კოსმიური!)



მაინც, ჯერჯერობით,
უკიდებანო, შეუცნობი სიყვარულის
მკრთალად არეკლილ სინათლეში ვცხოვრობთ,
სადაც, დაუნდობლად ვიხარჯებით ფუჭ ალფროთოვანებებში
და მერე გვიკვირს
თვითუარყოფის რუხი ნამები.

სადაც

დიდი ხანია, შეშინებულნი (და რა დასამალია –
მოხუცებულნი!) არიან
სიყვარულის, სიბრძნის და სიმამაცის მეტაფორები!!!

და

განსხვავებაც – სიტყვასა და საქმეს შორის ისე დიდია,
როგორც სხეულსა და ჩრდილს შორის...
ეჰ, როგორ გამხდარხარ, დედამინავ, გამელოტებულხარ!
და მორჩილად ელოდები,
როდის დაენარცხება დრო-ჟამის ფსკერზე
სიცოცხლის უკანასკნელი დირიჟაბლი...

ჰო, ზემოთ ცაა – შეუმკრთალი მარადიულად,
რომლის ერთ პანია წრეზე ხვნიშით დაგორავს
მოხუცი დედამინა

და ელოდება შემორჩენილი მოთმინებით

მაცხოვრის ბრძანებას:

– „შესდექ!“

გაგახსენდება (თან არა ერთხელ!) წილადობილას როცა
მორჩები – ახლობელი და უუშორესი მწვერვალები და ჰორიზონ-
ტები... ან აღარავინ მისდევს თეთრ მარტებს და ლაბაბი აქვს სევ-
დას ორკეცი; აღარ სჭირდებათ დედამინაზე კუტკალიების ჩუმი
ორკესტრი! მოშარიშურობს ნაბიჯი ლამის, აჰა, იწყება მთვარის
არია... რა ხდება ნეტა იქ, სადაც ჟამი და ვარსკვლავები აღარ
არიან?! ოდესღაც რაღაც დიადი ითქვა (ეჰ, მისი კვალიც არსად
გეგულვის...), მან, განდევილმა იცის ის სიტყვა – ძველთუძველეს
ჟამს აფეთქებული!!!



– არა! – უთხრა მას განდეგილმა – მხოლოდ ის ვიცი, რომ სამყარო მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ შევძლოთ მასში საკუთარი თავის ძიება, პოვნა – მითუმეტეს...

– არა! – უთხრა მას განდეგილმა – მხოლოდ ის ვიცი, რომ სულიერი სამყარო არანაკლებ დიდია, და თუ ამბობ, რომ მისი დანგრევა შესაძლებელია, ამით კაცობრიობას ცილს სწამებ...

– არა! – უთხრა მას განდეგილმა – მხოლოდ ის ვიცი, რომ მარტო არა ვარ, რადგან აქ – დუმილია, თქვენ კი ხმაურში ხართ და არ გესმით უფლის ხმა! ამიტომ, დიდი ხმაური – დიდი მარტოობაა...

– არა! – უთხრა მას განდეგილმა – მხოლოდ ის ვიცი, რომ ამაოდ ეძებთ წესრიგს ამაოების პანორამაში, ნუ ეძებთ წესრიგს პანორამაში, „მე“-ში ეძიეთ...

– არა! – უთხრა მას განდეგილმა – მხოლოდ ის ვიცი, რომ უნდა გადავრჩეთ, აუცილებლად უნდა გადავრჩეთ, ოღონდ მოასწარიტ გარკვევა არა მარტო იმის, თუ რა გსურთ, არამედ – როგორ გსურთ!
(...ვერ გაიხსენა, ვერა, განდეგილის თვალების ფერი!)

და სივრცე – სარკე უსასრულობის, ეფერებოდა გლუვი ხელებით... ისე ფაქიზი, ისე უცნობი – ვით წინათგრძნობა ცისარტყელების! უთეთრეს ხმაზე იმღერებს ფერი... ისიც მიჰყვება ნათელს – ფრთებიანს; რომ აცილებენ ფხიზელი მზერით – თოვლის სამეფოს ზამბახებია! წინ გზა-ბილიკი თითქოს გამოჭრეს – გადასხვაფერდა ღამე სრულიად... ეს გარიჟრაჟი იცვლის სამოსელს – მიბრუნდი, ცქერა უხერხულია! შეაზრიალებს პლანეტის შუკებს



მყიფე ჩხრიალი იუდას ვერცხლის... ეჰ, ეს ხმაური ამქვეყნად უკვე,
დიდხანია, არავის ესმის!!!

მან გაიღიმა:

– „უკან ვინც ბრუნდება, მხოლოდ იმიტომ,
რომ საკუთარი თავი გადათქეროს.

მეც რამდენჯერ დავბრუნებულვარ...

რადგან, ერთი შეხედვით,

დაუმარცხებელია ქვეყნიური მშვენიერების შეთქმულება –
მონყობილი შენს წინააღმდეგ!

და შენც

იმ ტალღას ჰგავხარ,

თითისწვერებზე რომ მორბის

და უკან ხმაურით ბრუნდება...

(თან ტკბები დაბრუნების დიდსულოვნებით!)

და ისევ ეძებ

(ღმერთო ჩემო, ეს მერამდენედ!)

წრის დასაწყისს.

კმარა!

მოუსვით აქედან,

ილუზიებო,

თქვე მარადიულო ლოთებო!

ყველა ხიდი დამწვარია ჩემს უკან...

ხოლო ის ძალა,

რაიც შემომრჩა,

საკმარისია მაცხოვრისაკენ წასაბარბაცებლად!

ან დავსახლდები ღვთისმშობლის ველზე

რომ წუთისოფელს აღარ ვედაო...)

იგი წასულა უკვე იმდენჯერ, რომ კვლავ ეგონათ, დაბრუნდებო!
ჰე, არ დაბრუნდა... წავიდა მართლა! ვერ მიიტყუა კვლავ
რია-რიამ; იმ ფოთოლივით გაუჩინარდა – რომ დაედევნა აბეზარ
ნიავს... ამ მხარეს ნატვრის ასრულებაა და ჟრიამული ნატიფ სურ-



ნელთა! აქ – განწმენდილთა დაბრუნებაა სამარადისო გაზაფხულებთან! გრძნობს, ელვარება ფრთხილად ეხება და სილუეტი ფრთათა-ირჩევა... და აირეკლა მზერამ შეხვედრა ბაიასფერად... არა, მზისფერად!!! მიხვდა, დიადი ბრძოლა დამთავრდა, როს მიიხედა უკან უნდობლად... და გადარჩენა ამოთავთავდა ყოფიერების საიდუმლოდან.



ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...
ისმის — „მოჰყავთ“ და სისხლისფერ ჯალათებს
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...
მზერა მისი სხვა სიმშვიდის არის...
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია
(ლამაზია დედა დედოფალი).
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება,
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:
ან მაჰმადი — პატივი და დიდება,
ან წამება — ესე იგი ქრისტე!..
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად
ქვენარმავლის სინებივრით მწოლი,
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს
ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი“;
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,
რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:
— მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო!
ჯვარცმული და წამებული ქრისტე!
და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით
უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,
უცნაური ფერისა და ჯიშის.
ღმერთო ჩემო თავზე როგორ უბრალოდ
ახურავენ ადულებულ მიტრას...
ინვის ხორცი და შენ უწყი, უფალო,
ამ შემზარავ ტკივილს როგორ იტანს...
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,
სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,
ანთებული სანთელივით ინვის.



მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,
 თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,
 ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ
 და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.
 ეკარგება სხეულს ფერი სინედლის
 და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.
 უკვე ცერზე დგება ხალხი მილეთის,
 რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.
 — მხოლოდ ქრისტე! — მოძრაობენ ტუჩები.
 (რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)
 და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით
 აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.
 ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა
 და ჯალათი, ნამითაც არ შემკრთალს,
 ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს,
 ჯერაც ცოცხალს, ნამებისგან ვერ მკვდარს.
 და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება...
 ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,
 ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება
 და ნამებულ შვილიშვილთა გმინვა...
 ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს
 სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,
 მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით
 მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...
 ხოლო ხალხი — დაფანტულს და ფერაშლილს
 ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.
 ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეთაში
 თავდახრილი ქართველები დგანან...

ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის
 შვენის ფერი — დარჩენილებს ღიად...
 სხვის მინაზე, ცოდვით სავსე შირაზში
 გულისწამსვლელ ნაფლეთებად ყრია



ქეთევანი, — ასე უღვთოდ ნამუსრი,
სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!...
დედოფალი — ორთავ სოფელს შინა!..

მოქცევა

დღე – შაბათი...
მთები – დილისნისლიანი...
გალავანთან მეძებრები ჰყეფენ...
სასახლიდან გამობრძანდა მირიანი...
სპა გაყურდა... თაყვანი სცა მეფეს.
ცხენს მოევლო,
მზის პირველ სხივს დააკვირდა,
მერე წასვლა მუხრანისკენ ბრძანა
(სანადიროდ მიდის მეფე და სარკმლიდან
იმზირება დედოფალი ნანა).
სურს გახედოს თხოთის მთიდან უფლისციხეს,
დატკბეს ცქერით ასპისა და კასპის.
მკლავზე, ალბათ, საშევარდნო ტყავს დაიხვევს
და მარეკი ააყვირებს საყვირს.
თუმც სიმშვიდე არ ეტყობა, მგონი, დიდად,
ნადირობაც თითქოს უჩანს არად...
ფიქრობს მეფე, ისევ ფიქრობს და ფიქრისგან
აეხადოს ლამის თავის ქალა.
ვერ ივიწყებს, ახსენდება ის დღე უცებ,
ის ზღვა ხალხი და სიუხვე ფერთა...
ნაჭრებით და
ყვავილებით რთავდნენ ქუჩებს,
არმაზობას ზეიმობდა მცხეთა.
მაგრამ, უცებ
ეს რა მოხდა?! რა ღვთის რისხვა?!



მძლავრი ქარი სალოცავებს მისწვდა,
გაჩნდა სეტყვა, ღვთაებები ჩამოიმსხვრა,
ხმამ ნგრევისამ შეძრა ცა და მიწა.

დრო გავიდა...

ფიქრი ფიქრს და დღე დღეს ცვლიდა,
თუმცა იგი დღემდე მაინც ვერ ხსნის, –
თუ რა ძალამ დაამსხვრია არმაზი და
ღვთაებები – ოქროსა და ვერცხლის;
და იმ ქალწულს...

ვერ ივინყებს ვერც იმ ქალწულს...

სხვა ქვეყნიდან რწმენით მოსულს ნინოს,
თითქოს ეძებს

კვართს უფლისას აქ დამარხულს,

კვართის პოვნას ის მცხეთაში ცდილობს.

სასაუბროდ მაყვლოვანში ვის არ იწვევს
და თითქოსდა ფლობს ღვთაებრივ უნარს.

ქადაგებს და ღმერთს უწოდებს ჯვარცმულ ქრისტეს
და სწულებს ჯვრის შეხებით კურნავს.

ან ეს ჯვარი, უჩვეულო ნინოს ჯვარი,
რა ძალაა?! რა ბეჭედი აზის?!

თმით შეკრული ვაზის ორი ლერწი არი,
ორად-ორი ლერწი არი ვაზის...

დიახ, მეფე

ქრისტეს რჯულთან მწყრალად არი,

მაგრამ მანაც ხომ იხილა თავად,

აი, თუნდაც, როცა ნანა დედოფალი

უკურნებელ სენით გახდა ავად;

თუმც მკურნალნი

იღვრებოდნენ სიმწრის ოფლად,

სანუგემოს ვერ ამბობდნენ ვერას.

(როგორია?! შენ სიყვარულს, შენ დედოფალს

უეჭველი სიკვდილი რომ ზვერავს)...

მაგრამ ნანას იმედიან თხოვნით შემდეგ,



კდემით სავსე და ბავშვურად მორცხვი,
ლოცვად დადგა ნინო და სენს უკურნებელს
დედოფალი გამოსტაცა ლოცვით.

და თქვა ნანამ

(ცეცხლში ნაწრთობ ფოლადს ჰგავდა,
სიტყვა მისი ძლიერი და სანდო) –

„არ არსებობს სხვა უფალი ქრისტეს გარდა,
რომელსაც რომ ეს ქალწული ამბობს!“

.....

ფიქრებისგან გამოერკვა მირიანი,
აი, ხედავს, მთა იწყება თხოთის.

მზე ანათებს, ცა ლივლივებს ლილიანი
და რაშები მიიწევენ ოთხით.

მაგრამ მეფეს,

ნადირობის ჟინით გართულს,

ეშმა ისე შეეპარა გულში,

ქრისტიანთა გაგონება უკვე არ სურს,
და სიბრაზე ნერვებს მწარედ უშლის, –

ძალა მათი, მგონი, ისე დიდი არი,

იქნებ, უკვე შეწყალეც არ ღირს.

დაისაჯოს უნდა ყველა ქრისტიანი, –

თქვა გულში და რა მოსწია აღვირს...

მზე დაბნელდა...

დაბნელდა და მხედრებს უკვირს,

რა სიშავეც გადაეკრა ცის ფერს,

მერე ირგვლივ გაიშალა ფერი კუპრის,

თვალთან თითს რომ ვერ მიიტან ისე...

აი, რაში, შიშით აღვირგანაშეები,

ეხეთქვება... სხვებს აყენებს ზიანს...

დაფრთხა ხალხი, აირია და რაშები

ჭიხვინებენ, ტორით მიწას თხრიან.

ხოლო მეფე (შიში როდი შეჰფერს მეფეს)

სთხოვს შეწვენას არმაზსა და ზადენს,



თუმცა უკუნს
ვერც ეს თხოვნა შუეს რომ ვერ ფენს,
მკლავით ინმენდს ოფლს სიმნრისგან ნადენს.
– მე არ ვიცი, –
ამბობს იგი, – ვის მადლს ვენდო,
ვისი ძალა ავიფარო ფარად.
თუ არსებობ, დამეხმარე ნინოს ღმერთო,
რომ მხოლოდ შენ გემსახურო მარად!
და გაბრწყინდა
მზე და ჰოი, საოცრებავ,
ბნელს სხივებით ამოშანთა ხახა.
უცებ მეფე, რა აღსრულდა უფლის ნება,
დაქვეითდა, მიწა მუხლით გახნა...
განეშორა ყოველგვარი მძიმე ვნება,
სიხარულის ცრემლები სდის მეფეს.
ხელებს ინვდის... აღმოსავლეთს ესაღმება...
ლოცვას ამბობს უფლის სადიდებელს.
სულში ისე გაეშალა რწმენის კვირტი,
ქრისტეს გარდა აღარ ახსოვს არვინ,
– ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი, ჭეშმარიტი!
ძეო ღვთისავ!.. შენ გმორჩილებ!.. ამინ!..



უარყოფა

*„მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები:
ამაღამ, ვიდრე მამალი მეორედ იყივლებს,
სამჯერ უარმყოფ მე“ [მარკ. 14,30];*

გაჭრიალდა მძიმე კარი გალავნის,
ის, რაც მოხდა, ჯერ ბუნდოვნად გახსოვს.
დახრილ თვალებს არ უსწორებ არავის,
ფრთხილად ჯდები ცეცხლის შორიახლოს.
ვერ გრძნობ, პეტრევ, ფეხქვეშ მინის სიმყარეს,
ჩუმად ზვერავ მღვდელმთავართა ეზოს.
აღბათ, მალე მოძღვარს გამოიყვანენ,
ნახვა მისი იქნებ კიდევ შეძლო.
იქვე ახლოს ხორხოცებენ კაცები,
ცეცხლს უშვერენ ტანს ნახევრად შიშველს.
– შენ იესოს მონაფე ხარ, არ ვცდები! –
ამბობს ქალი და თითს შენკენ იშვერს.
– არა! არა! ეს არ არის მართალი! –
შიში ბზარავს შენს უმწეო ხავილს.
სადღაც ბნელში უკვე ყივის მამალი,
ეს პირველი ყივილია მამლის...
ფეხზე დგები, არ გასურს მასთან კამათი,
ძლივს გადიხარ შიდა ეზოს გარეთ.
იცდი, ერთი უმძიმესი საათი
და ხელს ვიღაც უცებ მკლავზე გავლებს.
გსურს ნახვიდე, მაგრამ ვერსად მიდიხარ,
ხროვასავით გარს გეხვევა ხალხი,
– მე შენ გიცნობ! – ჩაგსისინებს ცივი ხმა, –
თავად ვნახე, შენ იესოს ახლდი!
ხელების კვრით დაგიღურჯეს სხეული,
მშიერ მზერით დაგიჭამეს სახე.
გაჰყვირიან... – კილო გალილევეური



შენს სიცრუეს ხომ ისედაც ამხელს.
 ბრბო იოლად არც შენ არ შეგეშვება,
 ახლა შენს ხმას მხოლოდ შიში ახშობს,
 – ჩემი სახე, ალბათ, სხვაში გეშლებათ,
 მე იესოს არც კი ვიცნობ, ხალხო!
 არა! გულში არასოდეს დათბება,
 უკვე ღმერთი უარყავი ორგზის
 და გულ-ღვიძლში გიტრიალებს შანთებად
 შიშის სამთითს შავი ანგელოზი.
 სამოსს გაფლეთს რამდენიმე მოლაყბე,
 ხელს გკრავენ და ენარცხები მიწას.
 კვლავ გაჰყვირი, – არ ვარ მისი მოწაფე,
 მას საერთოდ არც კი ვიცნობ, ვფიცავ!..
 და ძარღვებში დგას სიცივე სამარის,
 ებრძვის სული აუტანელ ტკივილს...
 სადღაც ბნელში შეყუჟული მამალი
 ფრთებს ისწორებს და მეორედ ყივის.
 კვლავ ივსება ეზო ჯარისკაცებით,
 მოჰყავთ ხელ-ფეხდაჯაჭვული ქრისტე
 და მოძღვარი, დაღლილი და ნაცემი,
 უცებ შედგა და თვალებში გიცქერს.
 ღვთიურ მზერას თვალს უსწორებ ნვალებით,
 ჯერ არაფერს შეუშლიხარ ასე,
 გიცქერს უფლის დიდი, ლურჯი თვალები,
 სევდითა და მწუხარებით სავსე.
 დაგდის ცრემლი სირცხვილისგან უმართავს,
 იწყებს სული ცოცხალ გვამში როკვას...
 შენ უფალი უკვე სამჯერ უარყავ,
 გული შენი უკვე სამჯერ მოკვდა.
 მაგრამ, ალბათ, მძიმე არის ძალიან,
 გოლგოთის გზა გაიაზროს კაცმა,
 სადაც ჯვარიც უფლის ასატანია,
 რომ იმ ჯვარზე მერე თავად აცვან.



რომ კურნებად სულიერი კეთრისა –
კაცის ცოდვებს დაელვაროს სისხლად,
რომ შემუსროს ბჭენი ჯოჯოხეთისა
და განიხვნას კარნი სამოთხისა!

იმ დღეებში

იმ დღეებში კალამს დადებს აღმწერელი ჟამთა...
დაინყება უღმობელი დევნა ქრისტიანთა.
იხმობს შავი ანგელოზი თავის ერთგულ მსლებლებს,
ჯადოთი და შელოცვებით მკვდართა დამძახებლებს.
ჯოხს აქცევენ ქვენარმავლად, ნყლად აქცევენ ღვინოს,
რომ ასეთმა სასნაულმა ბევრი შეაცდინოს.
სხვა სიმძაფრით მიიზიდავს დუჟმორეულ ნადირს
ყველა, ვისაც საკმეველის სურნელება ასდის.
იმ დღეებში გული მოყვასს უფრო შეიძულებს,
ვაი, მაშინ ორსულებს და ვაი, მეძუძურებს.
იმედს დაფლეთს გაჭირვება, ხორცს დაალპობს ქირი,
ბევრი სული გაქვავდება, უფალს შესაწირი.
რა ამაო შეიქმნება სიმწრით თითის კვნეტა,
ვაი, მაშინ ცოდვილთა და მცირედ მორწმუნეთა...
კერპების წინ მოიყრიან განყალბულ მუხლებს,
ვისაც შიში და შიმშილის გრძნობა შეაწუხებს.
არ იქნება მოსვენება, არ იქნება ძილი,
ცაზე მთვარე იტრიალებს, სისხლით გაჟღენთილი.
ადამის ძე პეშვით შეჭამს უნაყოფო მინას
და სამშვინველს უმხურვალეს კვნესით გამოიწვავს,
რადგან შვებას ვერ იპოვის, დანატრული ძილის
და კუპრისფერ ყიამეთში ფეხშიშველა ივლის.
სახეს ხელით დაიფარავს, ცივი ქარით ნაცემს,
სული – გვამში, ხოლო გვამი ბნელში იბარბაცებს.
შავი წყალი დასდინდება ქვებზე დამსკდარ ქუსლებს,



ხორცი ცოცხლად ამჟავდება, მატლი იფუსფუსებს.
 ბრბო ლასლასით შეგროვდება სასაფლაოს კართან,
 „თქვენ ამოდით და ჩვენ ჩავალთ!“ – ჩასძახებენ
 მკვდართა...

და თუ მაინც გათენდება როგორმე და ძნელად,
 მზე არას გზით არ ამოვა ძაძაჩაუცმელად.
 სმენას დაფლეთს მგლის ყმუილი და ყრანტალი ყორნის,
 მხეცი სტომაქს ვერ წამოწევს, ლეშით ამოყორილს;
 და როს ქანცი გაეცლება ერთა შორის ომებს,
 ბოროტი რომ საბოლოო ჟინით გაილომებს, –
 აღსრულდება! (უფლის სიტყვას არ სჭირდება დავა,
 ცა და მიწა გადავა და იგი არ გადავა)
 და სხვა შიში ჩაუდგება თვალში ევას ნაგრამს,
 როცა ზეცის შავ კაბადონს ელვა გადაგრაგნავს,
 დაიმსხვრევა ხმაურისგან ნიჟარები ყურის,
 რადგან მიწას საყვირების ზარი გადაუვლის.
 ჩამოცვივა ვარსკვლავები თავზარდამცემ ხმებად
 და ყოველი სულიერი მიწას განერთხმება.
 ვინც იყოს და როგორც იყოს, ქვეყნის ოთხივ კიდეს –
 რასაც თესდეს, უსათუოდ, იმას მოიმკიდეს...
 წამში ბოლო მოელება უსასრულო ლოდინს
 და მიხვდება ძე კაცისა, რომ უფალი მოდის!

**„ტყვე ქალი“**

ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ნინო კაპადოკიელი იხსენიება, როგორც „ტყვე ქალი“. მცხეთელებიც ასევე უწოდებდნენ, მისი უთვისტომობის გამო.

ქველ ქართულში ტყვე უცხოს სინონიმია.

ვართ შენს ტრაპეზზე მონვეულები,
შენი ხატების სათაყვანებლად.
შენ დაგატყვევეს ბრონეულების
ყვავილებმა და პურის ყანებმა.

შენს ნატერფალებს ვერცხლი ასხია,
სადაც არა ხარ, იქაც გხედავენ,
ატმის ყვავილი შენი ასლია,
ატმის ყვავილის შენ ხარ დედანი.

ნანა დედოფალს როცა ნათლავდი,
როცა მირიან მეფე მონათლე,
ურნმუნოება იქვე მოთავდა,
ქვეყანა უფლის მაღლით განათდა,

ანგელოსები შენზე ზრუნავენ,
მე სამი ანგელოზის მამა ვარ,
ღმერთი იგონებს ახალ სუნამოს,
შენი ლანვების დასანამავად.

ახლა შენს პორტრეტს ხატავს როდენი,
სირინოზების გვატკობს ოსანა.
ღმერთი იგონებს ახალ მოდელებს,
შენი სხეულის შესამოსავად.

შენ შთამაგონე თავგამეტებით,
სათნოება და მსხვერპლის გაღება,



ძირს ჩამოდიან სხვა პლანეტები,
შენი სურათის გადასაღებად.

შენს ნათლულებში მეც მიმითვლიან,
ყველა ქართველის შენ ხარ ნათლია,
გულებში შენი ცეცხლი გვანთია
და ყველგან შენი ათინათია.

ურწმუნობას ყავლი გასვლია,
სადაც არა ხარ, იქაც გხედავენ,
ატმის ყვავილი შენი ასლია,
ატმის ყვავილის შენ ხარ დედანი.

მზეა და ყვავილების ჯარია,
ქართველს ჯვარცმულის გზებით უვლია,
და, ყველგან, სადაც შენი ჯვარია,
იქ სიცოცხლე და სიხარულია!

ვართ შენს ტრაპეზზე მოწვეულები,
შენი ხატების სათაყვანებლად,
შენ დაგატყვევეს ბროწეულების
ყვავილებმა და პურის ყანებმა.



სიცოცხლისათვის

მე არ ვყოფილვარ აიეტის თანამედროვე,
იაზონისგან რომ დამეცვა ოქროს საწმისი,
მაგრამ ჭალებში მოჯირითე ქარსაც ვეომე,
რწმენის თასიდან გაბნეული ბოლო მარცვლისთვის...
ვერ მოვახერხე, გზა იესოს ლოცვით ამევსო,
როდესაც ნინომ მზე აგროვა, სითბოდ დაღვრილი,
მაგრამ შევძელი, მოვრეოდი ცოდვის სამეფოს
და აღმემართა უფლის რწმენაც, ნინოს ჯვარივით...
მტკვარმაც ბევრი თქვა ნუთისოფლის, ბევრიც არაგვმა...
არ შევსწრებივარ არც მცხეთაში ნგრევას კერპების,
მაგრამ ნისლიან ქონგურების ნგრევის კვალდაკვალ,
გულში იმედის სვეტიცხოველს მეც ვაშენებდი...
თუმცა საზღვარი ვერ გავწიე დარუბანდამდე,
სხვამ სინანულიც უფრო მეტად იგრძნო სინათლით,
ადამიანად ყოფნის არსი კაცს თუ ადარდებს,
მეც გულისცემას ჩემს პატარა დიდგორს მივათვლი...
სიცოცხლისათვის, თვით სიკვდილზე მკერდმიშვერილი,
მცხუნვარე მზის ქვეშ, ცოტნესავით თუ არ დავწექი,
სევდის კელიას შეხიზნული, ზოგჯერ ბერივით,
მეც ხომ მარილში, ჩემს ცრემლიან ლუკმას ვაწებდი...
როცა ნამებმაც მოუხშირეს ურვად ვაზებზე,
დემეტრესავით თავი მსხვერპლად, ვერც მე დავდევი,
მაგრამ სიკეთე სიბნელეშიც უნდა გამზევდეს,
ერთ ხმაღს რომ მაინც ეპატიოს მკერდზე ნაჭდევი...
სიკეთისათვის და რწმენისთვის გზაც თუ ატირდა,
რაც ყაყაჩოებს კვლავ წინაპრის სისხლად აშრება,
მე ლექსის რითმებს შევატოვე ქართულ მანდილად,
რა სილამაზეც ვერ დაფარეს ქირმან — შალეებმა...
ვერ მოვახერხე, რომ მექცია ცხადად სურვილი
და მეც ერეკლეს ბედაურად ველზე მერბინა.
მაგრამ შევძელი, გაზაფხულის წვა და დუღილი
შემომემტვრია, ვით მდინარეს, მკერდზე ჯებირად...



ზოგჯერ ბალახიც ხავსივით რომ მოჩანს არხებზე,
 ამით სიცოცხლე იწყება და როდი მთავრდება, –
 ციხის ნანგრევებს სევდიანად როცა გავხედე,
 თითქოს ეს მითხრეს პანანინა ყოჩივარდებმა...

ბრუნავს სამყარო...

ბრუნავს სამყარო, ბრუნავს მოთმენით,
 გზებს რომ დარდებად ამოიკეცავს...
 ველარ მიცვნია მუხა ფოთლებით,
 დარდი კანზედაც ამოიქერცლა...
 ბევრჯერ მინახავს ვაზის ტირილით,
 ყაყაჩოებზე ცვარის აკინძვაც,
 ის რაც შეჰხარის ყვაავილს ჩიტივით
 და გამოყოლა იცის აკენიდან...
 თუ გაუმშრალი გზა და ჭირხლია
 და ვერ იტანენ ასკილს სინითლით,
 თუ არც ზღვა ამბობს ზღაპარს ტკბილხმიანს
 და ვერც ცამ გახსნა ნასკვი მიწისთვის, –
 ღმერთო, შენამდე ისე ახლოა,
 რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...
 და აათროლოებს მწიფე მაყვლოვანს,
 ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...
 თან საფიქრალსაც დაყრის საცერზე,
 რომ ღრუბლებივით გაცრას ფიფქებად...
 მერე კი, ყინვით დაღლილ საცეცებს,
 შემომამჩიჩებს დასაფიქრებლად...
 მე მხოლოდ ჩემი ფიქრი არ დამაქვს,
 მუდამ ასეა, თუკი ვიდროვებ...
 ბოგანოსავით დავალ კარდაკარ
 და სხვის ღიმილებს მუჭში ვიგროვებ...
 გზად რომ დათქერილ ხორბლებს ვითვლიდი,



ნაქარიშხალი გული ამტკივდა...
და მერე მივხვდი, რომ ეს ტკივილიც,
გამოყოლილი მქონდა აკვნოდან...
თუ ცხრა მთას იქით, ზეცაც მეცხრეა
და არ გამხდარა არვის სადაოდ,
ნურც იმას მკითხავთ, ცა რომ ვერცხლდება,
რატომ მივიჩნევ ქარვისადაო...
მესაიდუმლედ ნაცადი ღამე,
ფიქრს მტევანივით ხელში თუ წურავს,
მღვრიე გუბეში ჩავარდნილ მთვარეს,
რატომ ვადარებ ბლების კუნწულას...
ნუ მკითხავთ, როცა ღრუბლების იქით,
ჩიტს გულყვითელა მზედ დავიგულე,
რატომ ვინვევ დუელში სიკვდილს,
ან რატომ ვმალავ სველ თაიგულებს...
რატომ ვარწყულებ დარდის ძირხვენებს,
ატმის ხესავით სულში განატოტს...
და მდინარეთა განვდილ ცივ ხელებს,
ნეტავ, ან რისთვის ვუცვლი კალაპოტს...
მე ველოდები გამონათებას,
როგორც სიყვარულს, მხოლოდ ცნობიერს...
მადლი რომ ბნელშიც მენტო სანთელად,
გმადლობ, უფალო, რომ მაცოდვილე...
იქნება ბედიც არ მანყევლინო,
თუმცა წვალეებით ვზიდე მარხილი...
და კიდევ ერთხელ ამანვეინო,
თავი, მინისკენ მძიმედ დახრილი...
ღმერთო, შენამდე ისე ახლოა,
რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...
და აათროლებს მწიფე მაყვლოვანს,
ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...
ცრემლიც თუ ფიქრად თვალს მომადგება,
ბედს მაინც შეცვლის, შეცვლის პირწმინდად,



ასკილის წითლად ამონათება,
 სევდაშერეულ თეთრი ჭირხლიდან...
 ვერ გამოდგება ის გზა ნარჩევად,
 და ეს მკლავებიც აღარ მკლავობენ,
 თუ მზეს, ოცნების დედა — მარჩენალს,
 მიაგორებენ სასაკლამდე...
 მაგრამ პასუხი უმალ განარჩევს,
 სუნთქვას, რომელიც ბავშვივით წრფელობს, —
 მეც სიყვარულით უნდა გადავრჩე
 და დედამინის დაღლილი სფეროც...

ნათლისღება

როცა ფიქრითაც ვნაყავ სადარდელს
 და ზღვა სინანულს ვატევ თვალებში,
 თავს მიტოვებულ საყდარს ვადარებ,
 სანთლად მიმწვარი ნატერფალებით...
 მინავლებული ფერთა საცდური,
 მაინც თუ, ბჭუტავს ისლის ქოხივით,
 ღამე, მთვარისგან მხრებგასანთლული,
 ბევრჯერ ნელშიდაც ვიცი მოხრილი, —
 მიტოვებული მკვეთრი მანძილით,
 შეშლილ ფშანებთან როცა კანკალებს,
 დარდით დაღლილი ბერიკაცვივით,
 მიწას კოცნის და ლოცავს ნაკვალევს;
 გზასაც აგრძელებს სხივთა სიმაღლით,
 ხანაც მზედ, ხანაც მთვარის სახებად...
 რადგან, ღვთისმშობლის წმინდა ნიაღში,
 კვლავ, მაცხოვარი ჩაისახება, —
 ვერ დააოკებს სულის ცდუნებას,
 ცა, ნაზამთრალი კუმშვით დაღლილი...
 და მონათლული ფურისულებად,



გზაც აფეთქდება გულში ნაღმივით...
ჩამოდვენილი სანთლის წვეთები,
შუბლზეც თუ ისევ დაბუდდებიან,
მეც მომლოცველის მაღლით შევხვდები
დილას, უმნიფეს ალუბლებიანს...
სივრცეს, დაფატრულს სეტყვა-ქარისგან,
თუ ჩაანაცვლებს ღელვა მდინარის,
როგორ ჩავთვალო შესაბრალისად,
გული — უფლისთვის შესანიწავი...
ტანზე სულაც რომ, საცდურად მეცვას,
შეუცნობლობა სველი ფშანების,
თავსხმა წვიმებით ნაგუბარ ზეცას,
მაინც ცრემლივით შევიმშრალებდი...
და ცა, უკურნელ წვიმის სანაცვლოდ,
შეივსებოდა ერთი, — მზის სხივით...
მინდვრად ხომ, ისევ ღვივის ყაყაჩო,
ჯვარზე ნანვეთი ღმერთის სისხლივით...

გრაალის თასი...

კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰგვრის,
გზა — სინათლეს და სიბნელეს შორის, —
მინდა რომ, ნამსაც ვაქციო ზურგი,
დაბადებიდან სიბერედ შობილს...
წუთიც თუ — ტრფობის... და ყველა ტვირთის,
ბოლოს თავს იყრის გრაალის თასში,
ვიხსენებ — მეც რომ, დიდ სენად ვჭირდი,
სივრცეს — დარდების ქარავნით დასჯილს...
არავინ განსჯის, თუნდაც ნივთივით,
ჩუმად გაყიდულ ძონეულ ზეცას...
და სასოებაც უმაღ მიითვლის,
უჭირო ჭირად ბოძებულ ვერცხლსაც...



მაგრამ თუ ცრემლსაც ავსებს მზე – ქარვის
 და გულისცემას სინჯავს ზვირთებით,
 გოლგოთის მძიმე გზაზე შემდგარი,
 მეც შევიქნები ჯვრისა მტვირთველი, –
 რომ სიკეთის წილ მისჯილი ცოდვის,
 შემსუბუქება შევძლო, უფალო, –
 ბედს კი, გულიდან ახსნილი ლოდი,
 დიდ სინანულში გადავუცვალო...
 ქვის ცხენზე მჯდომი, დიდი ნვალებით,
 ქარებთან ჭიდილს თავსაც მივცემდი,
 რადგან ამ ჭიდილს, სისხლის თვალებით,
 ზეცაც მოელის გაფაციცებით...
 ალბათ, ის ცრემლიც უნდა შემეშრო,
 რაც მერცხლად ესვა ფრთაზე ნიაფ-ქარს...
 და ვარდის რტოთა დარი სეფე – დროც,
 ეკლის გვირგვინად გამეზიარა...
 წყალზეც იარეს საფეხურებით, –
 და გზას უპოვეს ორი წერტილი,
 თუმცა ფიქრები ცას შეჰყურებენ,
 მაინც – დამფრთხალი შოშიებივით...
 კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰგვრის,
 გზა – სინათლეს და სიბნელეს შორის, –
 მეც აღარ მიკვირს, მძევლად რად ვსურდი,
 ქარს – ბობოქარი სულივით შობილს, –
 რატომ მომინდა, ის მძიმე ლოდი, –
 ბედს სინანულში გადავუცვალო,
 რასაც მადლის წილ, მისჯილი ცოდვის,
 შემსუბუქება ჰქვია, უფალო, –
 ...ყველა ტკივილი ერთად შენივთდა,
 სასიხარულო სხივების მაცნედ...
 წამოიძვრათა ჩვენს წინ რწმენის მთა, –
 და ჯვარს ორთავე, ღვთის ნებით გვაცვეს...



ღვთისმშობლის მიძინება

ცას რომ ეგონა, ნამს აკრეფდა წითლად მოლიდან,
ყველა ის ნამი აორთქლდა და წვიმად მოვიდა, –
წვიმად, რომელიც მტრედისფერი
ბუმბულის მსგავსად,
უმწეო კრავსაც,
ანდა სულაც იების ფარდაგს, –
რაკი ღვთისმშობლის
მინდვრისფერი თითებით კრავდა
და რაკი წვიმის,
მეც ღვთისმშობლის ცრემლივით მწამდა,
აღბათ ამიტომ დავიბადე
ძველ თავსაფარში გამოხვეული,
ძველისძველ სკივრში გადანახული
პურის ობიდან...
აღბათ ამიტომ მყოფნიდა მცირე
სინათლის შუქი,
სანთლის ჩაქრობის შემდეგაც რომ მინათებდა
მომცრო სურვილებს,
რაც კი ქალაღდის მტრედებს ჩავუთქვი
ჩუმი ლოცვით, –
ასე მასწავლეს, რომ დიდი თხოვნით
ღვთისმშობელი არ შევანუხო...
ჩემს ტკივილებს კი მუდამ ვეტყვი, –
სუ, ნუ ხმაურობთ, უხერხულია...
უხერხულია თქვენგან ასე, –
ცის მოთელვა...
სულ ეს წუთია, მიიძინა
ღვთისმშობელმა!...



გვისმენეს

ფეხდაფეხ ჩამოგვეყვა მცხეთიდან სალამო.
 ატმისფრად ათოვდა არმაზს და ზედაზენს.
 არაგვი თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი,
 ვით სახე – საფლავის იებში – მე და შენ.
 აქ ჟამი არ ბრუნავს, აქ მყუდრო ყურეა,
 ფოთოლი არ სცვივა ხესა და მაყვლოვანს.
 აქ მთელი სამყარო ცალ მუჭში გეტევა,
 ღმერთამდე იმდენად, იმდენად ახლოა.
 და თითქოს ხედავდე იმ ხილვებს, უძველესს –
 ჯერ ელის ზედაზნის მთა წმინდანს, მდუმარედ,
 ჯერ სძინავს მის გულში წყაროებს, საკვირველს,
 ტყეებს კი აშფოთებს წარმართი სტუმარი.
 ხედავ რომ, ფრთოსნების გუნდს გასცქერს ქალწული,
 იქ, სადაც მტკვარი და არაგვი ერთდება,
 სხეულზე იცხებენ წყალს შავი ჩიტები
 და უმაღ ხდებიან თოვლივით თეთრფრთეა.
 ხედავ, რომ უსველებს კაბას და ნაწნავებს
 არაგვი ქალწულს და მიჰყვები მორჩილად,
 შენც განათლავს, იქ, სადაც უღმერთოდ სიცოცხლე
 კაცზე წინ ჩიტებს და ყვავილებს მოსწყინდათ.
 ვინ იცის, ატმისფრად რად ათოვს ზედაზენს,
 რად ირევს ზამთრის ცა იებს და გვირილებს?
 წყალს რომ სვამს ბელურა იმ ბერის საფლავზე,
 ქვა ჩიტის მაღლიერ მზერას რად ირიდება?
 მთის ფერდზე ნისლივით მოჩანან ნუკრები,
 კარსანში ბუბუნებს მეფეთა სამარე,
 ექოს ხმას ქარივით გაატან, საცაა
 მარადისობისკენ საკუთარ ანარეკლს.
 ვინ იცის, რა მაღლი მოგვეყება მცხეთიდან?!



არაგვში თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი.
დღე არ უღამდება ღამეს თუ მეჩვენა –
ბინდს ნინოს მზიანი თვალები ისხლეტენ.
და მზე არსად ჩადის, მწუხრიც ნათელია,
მოვდივართ, სიჩუმეს ვსაუბრობთ...
გვისმენენ.

ილია

*ყველას გავუძღვებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა,
არ ძალმიძს ძმანო, ვერ რით გაძლება!
ილია ჭავჭავაძე*

გისხენებენ დიდებით და ლოცვით,
ეგ სახელიც მამულივით ტკბილია.
სიმართლე ხარ ჩემი სამშობლოსი!
სიმართლე ხარ, შენ, ქრისტესიც, ილია!
ჯვარზე ახლაც გაკრულია მხსნელი,
სისხლის ვარდი ფერდზე გადახსნილია.
არ ძველდება ტკივილები ჩვენი,
არ ბერდება ჩვენი მტერიც, ილია.
არაფრობას შეგვაგუონ, უნდათ.
სულიც, უნდათ, დაემსგავსოს რკილიანს.
მაგრამ ვისაც ბედთან ბრძოლა უყვარს,
მომავალიც ხომ მისია, ილია?
სულ გვაფხიზლებ, თანამდევო სულო,
სულ გვერდით ხარ, ჭირია თუ ლხინია!
ენას, მამულს რწმენას გვიერთარსებ,



სამებისებრ რჯულად გვინერ, ილია!
 საქართველოს მხსნელად განეჩინე,
 ბედისწერის წიგნი გადაშლილია:
 როგორც ქრისტე უგოლგოთოდ, ისე –
 უწამებლად ვერ ივლიდი, ილია!
 მერამდენედ რჩეულ შვილებს ვირჩევთ,
 არ გვეშლება, ვინც ნამდვილი გმირია!
 მერამდენედ საქართველო ისევ,
 თვითმკვლევლობის ცოდვას ჩადის, ილია?
 ღვთის ხელდასხმულ შუბლზე ირჩევს სიკვდილს,
 მათი ხელით, ვინც ბნელეთის მლილია.
 უკვდავებას იხანგრძლივებს ასე,
 წამებული საქართველო, ილია.
 უკვდავების იქით იცის, რაა,
 იცის, ტანჯვით მარადი გზა ხსნილია.
 შობს საკუთარ მხსნელებს ჟამიდან-ჟამს,
 მკვლევებსაც შობს, მკვლელიც მისი შვილია.
 საქართველო მითი არის ძველი,
 ამ მიწაზე ჟამსიქითაც ივლიან.
 გულზე დაგდის ქართველისდედის ცრემლი,
 ჩვენი ცოდვის სასყიდელი, ილია.
 აქ აღდგომის აღესრულა მადლი,
 რომ ცოდვაზე სინანული გვეზარდა.
 წინამურთან ომი ედგა სიკვდილს,
 დამარცხებულს, თავის თავიც შეზარდა!
 უცდომელად იცის საქართველომ,
 ვინ გასწიროს თავის გადასარჩენად!
 რასაც მამულს აპატიებს ღმერთი,
 ჩვენ არასდროს გვაპატიოს გამჩენმა!
 გიხსენებენ დიდებით და ლოცვით,
 ეგ სახელიც მამულივით ტკბილია.
 სიმართლე ხარ ჩემი სამშობლოსი,
 სიმართლე ხარ, შენ, ქრისტესიც, ილია!

**მუხავ!..**

მუხავ, რად აგრე მარტოობ,
ნასეტყვო და ნაავდრალო?
სალი კლდით გადმომზირალის
შეუვალ ციხის სადარო!
ქართული მიწის ძარღვო და
მისივე ბედის ზიარო,
მასავით გაუტეხელო,
მასავით მრავალმტრიანო!
მეხმა ხომ გმეხა, გაფლითა
ტანზე მკერდი და პერანგი,
მერე მე მოგდექ უწყალოდ,
როგორც მოსისხლე ვერაგი,
მოგჭერ, სიცოცხლე მოგისპე,
ცოდვაში ჩავდექ ყელამდი,
არკი მეგონა, შენს მხარ-ბეჭს
თუ ასე გადავქელავდი,
გავთალე, მოგახარატე,
ლოცვით და სისხლით გფერავდი,
ეგ შენი გულის ფიცარი
ტაძარს კარებად შევაბი.
შენი გაშლილი მკლავისგან
გავთალე ტაბიკ-ულელი,
შევაბი ხარი ყევარი,
მსხვილქედა, მუხლმოუღლედი,
ხნული გავავლე ჩემს მიწას
ზღვა მოსკდა ჭირნახულისა,
მერე დავჯექ და ვიმღერე
სოფლის ღვინის და წყლულისა.
კალო ჩავშალე, გავლენე
გათლილი შენი კევრითა,
დიდი ბეღელი გავავსე
ხორბლით და ნარკვევ ქერითა,



ქორწილი გადავიხადე,
 სული აღვივსე ლხენითა.
 შენი პანია ნერგები
 ხატის კარს დავრგე რწმენითა,
 ქვევრით ზედაშე მოგართვი,
 კელაპტრით და საკმელითა,
 გეფერე, გზარდე, შეგეხე
 ამ მოსაჭრელი ხელითა,
 მუხლმოყრით გეცი თაყვანი,
 დამატკბე შენი მზერითა!

.

მუხავ, მიყვარხარ, ძლიერო,
 ქართულ ვაზივით ხნიერო,
 მაგ ნამეხარი გულ-მკერდით
 მინდა მტრის რისხვად იელვო!
 კიდევაც დაჯიშდებიან
 ყლორტები სისხლით ნანვიმი,
 მაგ შენს ქორბუდა ტოტებში
 ბუდეს აიგებს არწივი!

შენ ხარ ვენახი!

სპობდა ურჯულო და უსახური,
 მეჩურჩულევა ვაზის შრიალი,
 რაც ამ მინაზე, უფლის კურთხევით,
 არის ლამაზი და ჯიშინი!
 ბეჭდახანძიული ვნევარ მინაზე,
 მკერდს მინგრევს გრძნობა, გულში ნადები,
 მინიდან პაპის მომძახის სისხლი
 და ამ ძახილით გელაღადები!
 ვერ დაგაოკე ციხის ნანგრევში
 შიგ ჩაქოლილო სისხლის ნაკადო,



ტორებზე დგები უხედნ კვიცივით,
რომ ქვათა სევდა ცას შელადადო!
უკან მოგდახის პიროფლიანთა
სულთა სავანე – სამსხვერპლო წმინდა,
და უხვად მოჩქეფ ღვთიურ ზედაშედ
და მირონმადლად საუფლო ხიდან!
შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ვენახი,
ოტებულ სულთა სალბუნ-წამალი,
ჯვარცმულთა სისხლის თანაზიარი,
კიბე საუფლო ცადამავალი!
შენ ხარ ვენახი, რტოები შენი
ქალწულის თმით და უფლისა ნებით,
ქართველთა ხსნად და გზად ამაღლების
ჯვარად ნაკურთხი და ანაგები!
შენ ხარ ვენახი, ედემად რგული,
მკერდზე მიქარგე შენი რტოები,
მიილე მსხვერპლად სისხლი ამ გულის,
ზედ საზედაშე მტევნად მოგები!
ოდეს ინებებს დამბადებელი,
ჩამიქრეს მზე და თვალთა მზერანი,
გულს დამესვენოს დამუქთებული
მაჯა-მარჯვენა და სატევარი,
საიმქვეყნიო მირონ-იაზმად
გულს დამანურეთ ოქრომტევანი,
ვაზის ჯვარით და ვაზის ფოთლებით
შემიმკეთ კუბო და ტახტრევანი!
რომ საფლავიდან ისევ ვაფეთქო
ახალ ყლორტების სისხლი მჩქეფარი
ქართული სულის საგალობელი,
ჩემი მიწის და მზის საქებარი!



ვინ დააოკოს...

ვინ დააოკოს ძველთუძველესი,
 უფლით ნაკურთხი სისხლის ჩქერალი,
 ჯვარს რომ აცვეს და ცეცხლი აყარეს,
 მაგრამ სანადელს მისწვდა ვერავინ!
 სხვამ ვინ შეუთქვას თავი ზვარაკად,
 უფლის გულამდე კიდეც ვინ ივლის,
 შეეზიაროს გოლგოთის კალოს
 დამყურებელი ყველა ტკივილის?!
 მზარავს დაცემულ ხეთა გოდება,
 სადღაც ითლება ძელი საჩემო,
 აზვირთებული ბრბო მოქუხს ჩემკენ,
 რომ ჯვარზე მაცვას და შემაჩვენოს!
 სხვამ ცათა შინა დასცეს კარავი,
 ტანთ აღიმოსოს კვართი უზადო,
 მე მიწის ტკივილს გაფუხსნა გული
 და სისხლის ყივილს მსხვერპლი ვუმზადო!
 ნუ იტყვი „მიყვარს“, თუკი ტკივილი
 გულს არ გიკორტნის, როგორც მიმინო?
 გამიხსენ გული, რომ გესალბუნო
 და სიყვარული შემოგლიღინო!
 მე ჩემმა ოფლმა მირწყულოს ძვლები,
 გულზე სალენად მიმზადოს ულო,
 სხვამ ბაგე-პირი აიყირმიზოს,
 ოქროს სამურვლით თმა დაიურვოს!
 მე ეკალწნული მიმკეთ სარქმელად,
 სისხლმა წალეკოს შუბლი სპეკალი,
 გადამიმტვრიეთ ორივე მკლავი,
 ზეციდან ზართა ჩამომრეკავი!
 სხვამ სასახლეში მოირთხას ფეხი,
 სული მიაგოს ვერცხლის გირაოდ,
 მე ბებერ ციხეს ვუსინჯო ფხა და
 დანგრეულ ტაძრებს ველოლიავო!



ამ მიწის მაღლით მიდულე სისხლი,
გულზე მომკიდე სახნის-ერქვანი,
სანამ ზეციდან მოჩქეფს წყალობად
უფლის სამრეკლოს ზართა რეკვანი!
სანამ ამ მიწის ნახანძრალ ზურმუხტს
წმინდა ქალწულის ედემი ჰქვია,
სანამ მამულში ქვითინებს ვაზი
და დედის ცრემლზე ამოდის ია!

ანვიმს ბერცინეს

ანვიმს ბერცინეს, ალბათ ზეცაში
ისევ ცრემლობენ ანგელოზები!
უფალო ჩემო, მოვსულვარ შენთან,
შენს სასოებას ლოცვით მოვები!
ჩამომეყამა სულის ტრამალი,
რით რა ვუნამლო ბნელსა და ხრიოკს,
ეუცდი განთიადს, ბროლის მკერდიდან
თაღხი საკინძე ჩამოიხიოს!
ველარ ინათა, ცის ამბიონზე,
ისევ ცრემლებით ინყება დილა,
მზე, ვით ხოხობი, ფრთამოტეხილი,
უცხო მხარეში ჩამოვარდნილა!
წამისად მომწვდა მონატრებული,
თაკარა სხივთა უცხო სილაღე,
ის, რაც ბორგავდა სისხლის დუღილში,
დამისხლტა, გულში ვერ შევიწინახე,
და ახლა დადის კლდე-კლდე, წყალ და წყალ
და ნანგრევებში დაეხეტება,
მიდის მიაპობს ნისლის უდაბნოს,
უკან მოხედვაც არ ემეტება,
ხან არწივების ჭვრეტს გადმოსახედს,



ხან ვეფხვთა ბუნაგს შეეფეთება,
 და ძველთუძველეს სისხლის ყვილში
 ჰყევს რკინისმკვეთელ ხმალთა კვესება!
 მის ფეხთა ხმაზე დაგმანულ კარებს
 აყურადებენ სარკოფაგები,
 საუფლო სანთლად მოჩანს ტაძარი,
 ჩემი სისხლით და ძვლებით ნაგები!
 ის კი, სამოთხის ბჭეთა მჭედელი,
 ცხრა მთა, ცხრა ზღვათა გულში დამტევი,
 დაეხეტება გვირგვინაყრილი,
 ხელში მტრის სისხლით ნაწრთობ სატევრით.
 მტრით ნამუსრევი ბჭენი ლავინის,
 ამოუკემსავთ სამოთხის ჩიტებს,
 სისხლი მოჟონავს გულის ლუსკუშმას
 რომელიც ამდენ ნამებას იტევს!
 დამხობილი ვარ მის ნატერფალზე,
 როგორც ქადაგი, ვინმე ბოგანო,
 ვემუდარები, უკან მობრუნდეს,
 რომ ჭრილობიდან სისხლი მოვბანო,
 თუ მობრუნდა და კვლავ ნათლისღებად
 შენ გყოს ემბაზად, ნაგვემო გულო.
 სხვა რა ვინატრო უფლის წყალობად,
 რომ ვენამლო და მივესალბუნო?
 და თუ მზემ ისევ გაშალა ფრთები,
 და ცა სმარაგდე კვლავ მეცარგვალა,
 ჩემი ცხოვრების დარჩენილ დღეებს
 ამიერიდან დავწერ სხვაგვარად!



ანგანით თქმული

აღებრწყინა აღსავალი
ათინათთა ალაფითა,
აღიონმა გააბრწყინა
არე ამბრთა, აღმასითა,
აირია არვე არჩვთა,
ასხლეტილი არანითა,
ანეული, ამოდქმნილი,
არჩივ-არჩივ ამაფლითა!
ბაღჩა-ბაღთა, ზვარ-ხილნართა,
ბუღბუღების ბუდედ ბმულთა,
ბაბილოთი ბურავს ბოყვთა
ბაყილოთა ბორჯღეულთა,
ბნელსა ბრყვილობს ბუკი ბუთა,
ბუჩაობა, ბუჩქით ბზისა,
ბაზმაღამპრობს ბნელნაკრთობში
ბაიათობა ბუღბუღისა!
ბაზაფხულის გაელვება
გულში გლოვად განმენონა,
გრძნობას ასე გავეთელე,
გეფიცებით, არ მეგონა
ვერ ვიფინე გულზე შვებად
ია, ვერცა ვარდის კონა,
გავეტირე, გავედევნე,
გლიმიც კიარ გამაგონა!
ღრომ დამღალა და დუმილმა
დამამსგავსა დარდის დორანს,
დამთრგუნა და დამამდაბლა,
მაგრამ ვერკი დამიმონა,
გავედევენე დამაშვრალთა
დაღმა დაქანებულ ბორანს,
დამისხლტა და ველარ მივჰყე,
უღონობამ დამაღონა!



ერი ერობს, კვლავაც გულში
 ღვთაებრივი უდულს ნება,
 კვლავაც თეთრი ერკემალი
 შავ ერკემალს ერკინება,
 არა საქმე არ ეგების,
 თუ არ არის უფლის ნება,
 თუ ტკივილში, სიყვარულით,
 გული გულს არ მიეგება!

ზზივარ ციხეს, ცად აზიდულს
 გორის ფხაზე ანაგებსა,
 გორდას ვგავარ, გაუდგრომელს,
 მტერთა სისხლით ფხანალებსა
 სისხლი უნდა ვაზღვევინო
 მახვილს, ხელში ანალებსა,
 მტრის მახვილთან ვისაც ავი
 მუსაიფი ალალებსა!

ზვარი ზეობს ზურმუხტპნკალა,
 ზილფ-მტევნებით დაზინული,
 ვაზის სურნელს ეზრახება
 ზეცით საღვთო ხმათა ზრუნი,
 ზამბახისფერ თვალთა მზერას
 მაფენს მეზვრე ალვადრგული,
 ზარდახმანი საგანძურთა
 მდუმარებენ რაზახშულნი!

თავო ჩემო, თავგზას გირევეს
 თქმულებათა სათვალავი,
 დრო მიდის და ვერ შლის გულში
 შავს თეთრი და თეთრს კი – შავი.
 დავბერდი და ისევ მტკივა
 გულში გაჩენილი ბზარი,
 ყმანვილს კვნესად რომ ჩამესმა,
 დარეკილი გლოვის ზარი!

იმა მთაზე, ირემთაზე,



იმდულრება იათამზე,
ია ვთესე, ვარდი ვიმკე
ირემლალთა იალაღზე,
იალონი დავაფინე
იაგუნდის ფიანდაზზე,
იაზმის ნყლით ვარწყულებდი,
ვირჯებოდი ნეტავ რაზე?
ირმის ჯოგი შეჩვეულა,
ამოსული ივლიანზე,
ვარდს ჰკორტნის და იას მისძოვს,
ნამი ცრემლობს ირმის რქაზე,
ია ტირის, ვარდს სისხლი სდის
ქორბუდების ნაძოვარზე
იამანი მოჩქებს მდულრად
იასპისა იარაზე!

ჰვლავაც ქვრივის კემსოს კალთა,
კვლავაც კევრით ლენოს კალო,
და პურ-ღვინოს ოფლისა და
მინის გემო ჩააატანოს,
აკვანში რომ სახარე წევს,
მტრის კრძალვა არ გააკაროს,
იზარდოს და უფლის ბაღნარს
გული ზღუდედ შემოავლოს!

ლეგენდების ლაბირინთებს
ლაციციტით და ლოციციტით მივდეგ,
ლანდების და ნანგრევების
ჩამოვიხსენ გლოვის რიდე,
გადავლახე სისხლის ზღვები,
ჩოხის კალთა სისხლით ვშიბე,
ცას მივყუდე უფლის ტახტთან
ამავალი ზეცის კიბე.!

მარბიელი მამლუქების
მშიერ მგელთა მომყეფს მზერა,



მოვცხენლალობ, მაგრამ მხარ-ბეჭს
მიწვავს უცხო, ავი წყევლა!

ტყვედ გაყიდულს, თუკი გულში
ჩაგენავლა ყრმობის კერა,
რალას აქნევ, სად მოკვდები,
სად დაგმარხავს ბედისწერა?!

ნასაყდრალს და ნავენახარს
ვერ წავშალე ნახანძრალი,
ცრემლით როდი იკურნება
გულს ნაბუდი ცოდვის კვალი!
გალენილი სისხლის კალო,
კალო ნათათრ-ნალეკარი...
ალავერდის ზარი ჰგოდებს:
ირანს მიჰყავთ დედოფალი!

ოლთისიდან ოპიზამდე
ღვთაებრივი შთაგონებით
ვქარგე ოქროს ომფორებად
ოქრომკედის ორნატები,
ქართულ სულით ხელნაქარგი
ოქსინონი თუ ნატები,
ოპიზრების ხელთუქმნელი
ქართულ სულის მზეხატები!

ჰალატები და ციხენი
აღმართული მიწით ცისკენ,
მზის სხივები ეფინება
ანგელოზთა ნაბილიკრებს,
ტაძრის ყელთან, მერცხლის ბუდედ,
შეხიზნული პატრონიკე
შუქსხივებად მაფრქვევს ჰანგთა,
პატივდებად რაც მოვიმკე!

ქლერდეს ეჟენად და საყვირად
სიყვარულით სავსე გული,
ჟამმა ლეკოს ბნელ-უჟმურთა



უჟამობა უამური,
აჟღურტულოს, აჟუჟუნოს,
მზერა, ტრფობის ცრემლთა მჟური,
ყველა ტკივილს ნამლად ეცხოს
სინანულის ფერთა ჟრუნი!

რად მინდოდა, რომ მოვედი
ვის ველოდი ან რა მსურდა,
თუ სიბერის გარიჟრაჟზე
კიდევ ერთხელ გაზაფხულდა,
თუ ტრფიალის ცრემლმდუღარი
გულზე მანვიმს იაგუნდად
და ბულბულმა ჩემი ყელის
ვარდ-ზამბახში დაიბუდა!

სად გავექცე ანგელოზთა
სავანეთა სამან-საგებს,
დედის ნალკოტს, საარაკოს,
ქართულ სისხლით ნაფარდაგებს,
ჭრილობიდან სისხლმჩქეფარე
ჩამოგლეჯილ სალბუნ-სადებს,
ჩემი სულის სიმაღლეს რომ
ისევ სევდით ასევადებს!

ტირის ჩემი უწმინდესი,
ცრემლი ალტობს ოშკის ბზარებს,
ტირის, დედას მოსხლეტილი,
ტაო – ტურფა საბალნარე,
ტყვეობისთვის გაყიდული,
ტკივილს ვერსად დავემალე,
საქართველოვ, სად გაქვს მინა
საფეშქაშ-საარმალანე?

უბირთათვის უსაგნოა
სალამო და საღვთო დილა,
მათგან მწუხრი გაშავბოლდა,
დილის მადლი მეუნდილა,



უნდობელმა უნდომელი
 მასურვა და გულს მცხო ტკბილად,
 უნასივით მომესია
 და უღმობლად გამანზილა!
ზიქრით ვფურცლავ ფოლიანტებს,
 ვეფერები ერთობ ნაზად,
 გოლიათთა ნატერფალებს
 ამ გულს ვუფენ ფიანდაზად,
 მათი სულის საოხებლად
 ცრემლის მარგალიტებს ვფანტავ,
 ვისი მკერდიც უდრტვინველად
 მტრის მახვილით გაიფატრა!
ქალდეითგან ქართველობის
 ქედზე მადგა ქვაჯვარსვეტი,
 ქრისტეს ჯვარცმით ნაგოლგოთარს,
 რა მქონია გლოვის მეტი?
 ქვა ვიყავი, ქვადვე დავრჩი,
 კაჟი-ქვისგან ანასხლეტი,
 მტერი ვმუსრე, განვადიდე
 დიდგორი და ერუშეთი!
ღვინობისთვეს, ბადაგობას,
 ჰაერიც რომ მაჭარღვინობს,
 ღვთაებრივი სურნელება
 ეღვენთება გულის ღიობს,
 პაპის გულის ფეთქვა მოგაქვს,
 ფესვნაკურთხო, ვაზის ძირო,
 მინდა ხელი მოგხვიო და
 პაპის გულზე დავიძინო!
ჟმანვილობას, ყანაში მყოფს,
 მომეჩვია ყვავი ყმასა,
 ყველს მპარავდა ყარყუმი და
 ყრანტალებდა ყვა-ყვა-ყვასა
 უყველპუროდ, უმი ჭინჭრით,



ვიყორავდი პირს და ყბასა,
ქვას ვაყრიდი, ყვანჩალა კი
მიგინებდა ყველაყასა!
შავლეგ, შამქორს ხმალშემართულს
გული მოგიოხებია
შარავანდის შუქში ლეგა,
სისხლიანი ჩოხებია,
გულს რომ გიფქევავს და ტკივილი
უმრეტ ცეცხლად მოგდებია,
ღალატია თუ დოლაბის
მოსაკოდი ლოდებია?

ჩემი სულის ჩალანდარებს
წლებმა ჩუმად ჩამოთოვა,
რაც არ აუნდა სისხლში აწრთო,
ვერ იქცევა ჯვალო თორად.
ის დრო სჯობდა, ხმალჩაფრენით
ჩავკაფავდი ძვალს და ფოლადს,
ვაგლახ! სისხლიც აღარ შემრჩა
იმ დღეების მოსაგონად!

ციხევ, ცეცხლით დამდულრულო,
გალენილო სისხლის კალოვ,
ციხევ, ცრემლის ზღვით ნალეკო,
ციხევ ნათათრნალეკარო,
მოყმევ, მხარ-მკლავ ჩასხეპილო,
რისხვით ცას შენაყეფარო
თუ იუდას ვერცხლის ფასად
შელენილო ტაძრის კარო!

ძველ ტკივილებს განმიახლებს
სიძულვილის თვალთა მზერა,
ძაძებს ძენძავს სიცოცხლისთვის
დამზერილი გულისძგერა,
ძმის ღალატი, ძოლანდელი,
ძვალთ მიღენავს ახლაც ძნელად,



მტრისად რა ვთქვა, გაჩენილა
მოძულედ და სისხლის მსმელად!

ნყალთა წესთა, წასვლ-წამოსვლის,
წუთისოფლის წუმპე-მწვირე
წაილეს და წამოილეს,
წყლულზე წარღვნად წამადინეს,
წარბ-წამწამთა წალკოტობით
სისხლის ცრემლი მოვიწვიმე
წამლობათა წადიერი
უნამლობით გავიწვირე!

ჭილ-ეიტრატი ვისაჭურვლე
ჭირთა ჩემთა თქმად და მჭევრად
ლილოჭრელთა საჭვრეტელად
გავიჭერი მინდორ-ველად
ჭალა-ჭალა თვალსა მჭრიდა
ყოჩივარდა ჭიაფერად
მივიმღერდი, ჭირთ სიჭარბე
თამაშად და მიჩნდა ლხენად!

ხარკამეჩი, ხარირემი
ხარჯიხვი ხახმატის ჯვრისა,
ხოდაბუნი ხნას ხარლალმა,
ხარ-რქამ, ხერხეულიძისამ,
ხმალს ხედნოს ხევსურული
ხელმა, ხმალდაუღლეღისამ,
ხევისბერმა ხანჯლით ხატოს
ხილვა ხართა ხორუმისა!

ჯავარდნოსან ჯვაროსანთა
ჯარი, მიჯრით მოჯარაული,
ჯვარ-ხატობა ჯარობათა,
ფერხისაი და ჯვარული,
ჯავრის ჯარა, ჯავრის ძახვა,
ჯვალო, ჯეჯიმ-ფარდაგები,
ჯვარცმა ჯავარშუქიანი,



ციხე – ბურჯად ანაგები!
ჰაეროვნებს ჰარმონიკის
ამო ჰანგთა ჰარმონია,
არფა ჰიმნობს, არად ჰგიებს
განწირულთა აგონიას!
ჩემი, რაც სხვამ დაიბრალა,
ცრუთა გამონაგონია,
ჰუნე მყავდეს, ქართლის ველებს
ქარად გადამარონია!

ფანდურო...

რა ლეგენდებზე ჟღერტულებ,
ჩემო ჰანგო და ფანდურო,
ლამის მეხრეო, ფხიზელო,
ცისკრით თვალამობანგულო?
გალობ და უფლის ჩიტივით
გულთან მიკენკავ ტკივილებს,
ხან ცრემლით იბან ფრთა-ნისკარტს,
ხან ლაჟვარდებში ლივლივებ!
ხან მინას ებმი სახნისად,
მიუთხრობ ერქვან-ჭაპანთა:
რა ტკივილები იარგნეს
იმქვეყნად მამა-პაპათა!
ახლა ჩემი ვთქვათ სათქმელი,
ბედო, ლოდინით ნაბურო!
ხან შვებას ვექცეთ ტკივილად,
ხან ტკივილს მივესალბუნოთ!
ერთი ხარ, ჩემო უფალო,
ჩემო შვებავ და ტკივილო,
თუ ატირებულს გიხილავ,
მე როგორ ვიპირღიმელო?



მე შენი ბერიზვარა ვარ,
პატარა ხბო ვარ, სახარე,
შენ – ჩემი წმინდა საყდარი,
ჩემი ხატი და საზარე.
დედას ამსხლიტეს ძუძუდან,
ცრემლი იმედით ვაქარვე,
ყელს საკადრისი შემაბეს,
შენს კალთას შემომაფარეს,
ქედმოდრეკილი გეახელ,
ჩემო ლოცვაჲ და არაკო,
გულის ლუსკუმა გამიპე,
რომ სისხლი შემოგზვარაკო!
გადმოსკდი გულის ბარძიმით,
სისხლო, ჯვარ-ვაზის ბჭიანო,
რომ მამა-პაპის ფერფლისკენ
სიცოცხლედ გაიმზიანო!
წინ დამიფინე ნათელი,
უფლის ბილიკო, ბზიანო,
რომ მერე პურ-ღვინის მადლში,
ქრისტეს სისხლს შევეზიარო!
ან მზარდე შვინდა ხარივით,
მიმზადე გუთან-სათარი,
ქედზე უღელი დამადგი,
მუხის გულისა ნათალი!
შენი ტკივილი ვლოლნო და
ცრემლის გილოკო მარილი,
მთას ვზიდო ლოდი სატაძრე,
ვაბრწყინო შენი არილი!
კარგ ყმას ვეცალო უღელში,
ჯვარცმით ავლიო გოლგოთა,
რომ სასოებად ვესაგზლო
სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!



მერე კი... მერე სიცოცხლე
გასრულდეს, როგორც წესია,
შვილიშვილებმა მოიმკონ,
პაპას რაც დაუთესია!

ალავერდიან ფერეიდნამდე

ალავერდიდან ფერეიდნამდე
გოდებით მოგდევ გლოვის კედელო,
რა სისხლის კალო გაგვალენინე,
ქართველთა ბედის დამბადებელო!
უკან მომბლავის გრემ-ალავერდის
ნამდულ-ნალენი გუმბათ-თალები,
იავარქმნილი და ცეცხლის გუთნით
გადაბელტილი ედემ-ბალები!
მილურსმული ვარ გულით ჯვარცმაზე,
დალენილი მაქვს ოთხივ კიდური!
რა უღმობელი გახდა სოფელი,
თვალში სისხლისფრად შემობინდული!
ეკლის გვირგვინით ნაგვემი სისხლის
მეც მომესხურა მდულარე ცვარი
და ვით უხორცო, ვიშივი ხელახლა.
სულამონვდილი და უშიშარი!
გზა გზა ქართველთა ძვლები ვაგროვე,
შემომაგებეთ გლოვის მგოსანნი,
ლახვარდაკრულმა როგორღა ვზიდო
ურვა-გოდების კრიალოსანი?!
ობლის ცრემლებით შემომეტირა
თათრის ნაგვემი, ჩემი ქართული,
გულიდან ძალით ამოგლეჯილი,
სისხლიდან ცეცხლით ამოშანთული,
მაგრამ სულს ისე დანატრებული,



ტკივილშიაც კი წელგამართული,
 როგორც მთის წყარო წმინდა, კამკამა,
 სადღაც შამბნარში გადაკარგული!
 მადლად მიიღე ღვთისმშობლის ცრემლი,
 სალბუნ-მალამოდ წმინდა გიორგის
 სამას სამოცდახუთი ნაწილი
 და დაფლეთილი სახსარ-იოგი!
 ნუ, არ დადუმდე ჰანგო ქართულო,
 გულს ნახუტებო, პაპის ფანდურო,
 უფლის ჩიტივით ტკბილმოლულუნევ
 და წინოს თმებით ამოქარგულო!

უფალო!...

ისევ შენ გიხმობ, უფალო,
 ცრემლმა წალეკა იმედი!
 თუმცა, მე ჩემი გოდებით,
 ნეტა, ვის ავატირებდი?
 ვერ ამოვშანთე გულიდან
 ტკივილი განუკურნავი,
 როგორც უბეში ნაზარდი,
 ყელს მოხვეული მცურავი!
 ვერც ქართა ქროლას მივანდე,
 ვერც პეშვით ამოვათავე,
 გულშივე დარჩა ტკივილად,
 მდულარ ცრემლების სათავედ!
 ვუცქერ ნაწამებ მაცხოვარს,
 შუბლზე მიყვავის ეკალი,
 სჯობდა, რომ ავაზაკივით
 ბრბოს ჯვარზე მეც გავეკარი!
 თუ შავად შემენისლები,
 ბნელი როგორღა ვათენო,



გოლგოთის ცათა ზეკარით
გადმომჩქეფარე ნათელო?!
ტკივილში ვარ და, გათანგულს,
წყლულებს მიძიდგნის მიმინო,
თასი ამივსეთ ზედაშით,
ტკივილი ამოვიგმინო!
წყალი ვითხოვე, ბაგეს მცხეთ
ღრუბლით ძმარი და ნალველი,
გულშივე დარჩა ტკივილი,
გულიდან ამონალერი!
გინდ ტაძარს კარად შებაბი
სისხლმჩქეფი გულისფიცარი
და გინდა შეუზვარაკე
სიცოცხლე, დასაფიცარი,
რაც უნდა ეკლის გვირგვინად
შუბლს ქაცვი შემოინანი,
ტკივილს ვერ გაგიგრილებენ
ეს დალოცვილი მინანი?
სისხლდანრეტილი საგულე
კვლავ ღვთიურ ცეცხლით ივსება,
ნეტავი, ასე დავრდომილს
აღდგომა თუ მელირსება?

უფალო ჩემო

ვიყავი, ვარ და მარად ვიქნები,
პატარა სუნთქვა, დიდი ქარიშხლის!
ხან ავენთები და ხან მივქრები
სისხლად, რომელიც ბორგვას არ იშლის!
უფალო ჩემო, ვარ შენს წინაშე,
გაშლილი, მსგავსად ძველ ეტრატების,
შენგან ხელქმნილი, ვნებებით სავსე,



მსგავსი და მგვანი შენივ ხატების!
 ჩაფრენილი ვარ სანუთროს ფაფარს,
 როგორც ხავსს კაცი, წყალნალეზული
 და თუ ჯერ კიდევ სულს არა ვლაფავ,
 იმედად ჩემად კვლავ შენ მეგულვი!
 ნაყროვანებით მოვიტრაპეზე
 ტაბლა, საუფლო უფლის მგომობელთა
 და დავინერე გულის დიფტიქზე
 ჰანგები წმინდა საგალობელთა!
 ამომენურა სისხლის ზედაშე,
 რითაც მშვიდობის მტრედებს ვათრობდი
 და მერე მსხვერპლად ვწირავდი ზეცას,
 მზრუნველი მამის თნევა-დათმობით!
 უფლის მშვიდობის თანაზიარნო,
 ზეცას შეგწირეთ საღვთო მტრედებად,
 თქვენი მხარ-მკლავის ფრთათა ირაოს
 ანკი რომელი ცა დაიტევდა?
 ხამს უამურთაც ზოგჯერ ამება,
 ფართედ გავუღებ გულის ხანაგებს,
 თუმცა კი ვიცი, ეს მონყალება
 კვლავ უმონყალოდ გამაჩანაგებს!
 ბოროტი რომ საბოლოო ჟინით გაილომებს, –
 აღსრულდება! (უფლის სიტყვას არ სჭირდება დავა,
 ცა და მიწა გადავა და იგი არ გადავა)
 და სხვა შიში ჩაუდგება თვალში ევას ნაგრამს,
 როცა ზეცის შავ კაბადონს ელვა გადაგრავნავს,
 დაიმსხვრევა ხმაურისგან ნიჟარები ყურის,
 რადგან მიწას საყვირების ზარი გადაუფლის.
 ჩამოცვივა ვარსკვლავები თავზარდამცემ ხმებად
 და ყოველი სულიერი მიწას განერთხმება.
 ვინც იყოს და როგორც იყოს, ქვეყნის ოთხივ კიდეს –
 რასაც თესდეს, უსათუოდ, იმას მოიმკიდეს...
 წამში ბოლო მოედება უსასრულო ლოდინს



და მიხვდება ძე კაცისა, რომ უფალი მოდის!
ყველას თავისი ელის გოლგოთა,
გზა, სისხლითა და რწმენით სალამბი,
მადლ-უმადლობა უბირთა ბრბოთა,
ეკალწნული და ძვალთშესალაგი!
კვლავ ნიშანს მაძლევს წმინდა გიორგის
თავზე მბრუნავი შვიდი მნათობი,
გარეჯის წმინდა მინა, ხრიოკი,
შრომან-ზამბახთა სუნთქვით სამკობი!
მინა, წმინდანთა დედამშობელი,
წმინდათა თანა სადიდებელი,
ღვთისმშობლის ვაზის საგალობელი
და ქართველობის რწმენის კედელი!
ახლა სუდარად თულა მარგია
მშვიდობის თეთრი ბაირაღები,
გახუნებულა მათი მაგია,
მამა-პაპათა სისხლით ნაღები!
ო, კარგად მახსოვს, ვიყავ გვემული,
როცა პირველად გამომეცხადე,
ვერ მოგწვდი, მაგრამ გულის სინრფელე
ამოგღალადე ლოცვით ზეცამდე!
ახლა იმ ადგილს, ვით სანთიობოს,
ახალსულობის გალობს ებანი,
მე კი, ამ ქვეყნად, მწირსა და ობოლს,
მიუსაფრობის მთანგავს ვნებანი!
გვიანლა მივხვდი, რა თვალთმაქცია,
ის, ვინც მეგონა სულის მკურნალი,
როგორც კეთროვანს, ზურგი მაქცია
და სიყვარულზე მითხრა უარი!
დავალ ბოგანო და უნუგეშო,
უპოვარი და მიუსაფარი,
ჩამსაფრებია უკვლო, უგეშო,
დრო უღმობელი – ავი ჩაფარი!



ცა დამინალმეს ომის მსტოვრებმა,
 ისევ მწიფობენ რისხვის მტევნები,
 გოლგოთა სისხლით დამეტბორება,
 ჯვარს მაცვამენ და ისევ ვევენები!
 რისთვის მინდოდა ტრფიალის ფანდი,
 ღვთაებრივ ჰანგთა ხიბლი ზემოდან,
 თუ აღვლენილი, მიწიდან ცამდის,
 ისევ მიწაზე დაეცემოდა!
 თუ ჩემი სულთქმა და აღმაფრენა
 გაილეოდა ვით ღამის ლანდი,
 ჩამიქრებოდა ცეცხლი და მზერა
 და სრულქმნილებას ვერ დავიცავდი!
 კვლავ შურისგებად აიფაფრება
 სისხლი, ტკივილით ანაყეფარი,
 ნაილეკება რისხვა და ვნება,
 მთის ნაკადულად გადმომჩქეფარი!
 ზეციდან ცეცხლის მონვიმს შროშანი,
 სისხლფერ სუდარებს ქსოვენ ხელები,
 ფრთებდალენილი, როგორც ფრთოსანი,
 ნანგრევთა შორის ჩავესვენები!
 ქვა აღულდება კიდით კიდემდის,
 დამესევთან ცეცხლის ენები,
 დედო ზარივით ჩამოვრისხდები
 და მთელ სამყაროს გადავევლები!
 მოდი, მომწმინდე გვირგვინის ეკლით
 ძონი, შუბლიდან ჩამოზნეული,
 ნეტარებისგან სუნთქვაც კი მეკვრის,
 რადგან სიკვდილი ვნახე ძლეული!
 ვიყავი, ვარ და მარად ვიქნები,
 პატარა სუნთქვა, დიდი ქარიშხლის!
 ხან ავენთები და ხან მივქრები
 სისხლად, რომელიც ბორგვას არ იშლის!

**წყლული თითები...**

წყლული თითებით ვინევ ჭირნახულს,
პურს ჩემი ოფლი და სისხლი სცხია,
გულს მთხოვს სამსხვერპლო და ამიტომაც
მკერდზე ჭრილობა შემომრჩა ღია!
ნაჯაფარ ხელთა ნაპრალეებიდან
ზღვად ამოხეთქილ ზვარსა და ყანობს
შუბლს ჩამოცვარულ ოფლით ვარწყულებ
და ზეცით მდინარ ზემადლით ვხარობ!
ვიცი, ერთხელაც დამსეტყვავს ცა და
გულს დამიზაფრავს მეხთა კვესება,
დანყლულებული ხელისგულები,
ქვიშით და ღორღით ამომევესება!
დადუმდეს იქნებ ყველა ტკივილი,
ჩამოერეცხოს გულს ყველა წყლული,
და წყალმა რიყოს ამ ქვეყნად ყველა
დაფნის გვირგვინი და ეკალწნული.
მარტოსულობის ავგაროზებად
ბაგეზე ვიფენ სევდის ბარათებს,
წინაპრის სისხლით ნაწერი სიბრძნე
ვერ შევახდინე უძლებ წარმართებს,
ვინძლო, შენ მაინც, მაგ შენს ბაგეთა
წყლულებზე მფინო ამო სალბუნი,
ცრემლი მომწმინდო გულის სიღრმიდან
ღანვზე მდუღარედ ჩამონაჟური!
გულში ვინახავ გაუმხელ ფიქრებს,
ლაბა ხარივით ვლოღნი ლოღინებს,
სადღაც სულს ვითქვამ, ღონემიხდილი,
თითქოს მთელი დღე ქვა მაკოღინეს!
დამშრალა ჩემი თასი და ქვევრი,
ქარს გაჰყოლია ზეცით ზარის ხმა,
თუ ჩემს ტკივილში შემოდგი ფეხი,
მერე იცოდე, ვერსად წამიხვალ!



გადამენისლა სულის სამზერი
ჩამომეთოვა ვაზი და დაფნა,
ველარც ტკივილთა ვიფონე სალტე,
ვერც ოცნებათა გავშალე აფრა!
პირშეუკრავი მკორტნის ჭრილობა,
გულში მტრის სისხლით ჩამოსაბანი,
თუმც უფლის ბაღში მიყვავის ვაზი,
პირზე მახურავს გლოვის საბანი!
ეკლის გვირგვინად და ჯვარცმად იმკი,
რა ზაკვაც დასცდა ბაგით იუდას,
დაგასამარებს გველის ამბორი,
თუ კვლავ უბეში შემოიბუდა!!
აღბათ, სულ მალე, ცხენთა ჯირითით,
არაგველები ამომივლიან,
შევეკიდებით ახადის აღმართს
და ცაად ავიტანთ ბილიკს ივლიანს!



სულში ვუცოცხლე უფალი

*წმიდაო მოციქულთა სწორო დედაო ნინო,
ვეედრე ღმერთისა ჩუენთვის.*

გზაო, უგზოვ და მთიანო, მზეო, იმედო ხვალის,
ამ ცისკენ უნდა ვიარო, ვატარო ვაზის ჯვარი!
ქვეყნად ქროლისგან დალილო, ქარო, ქცეულო სიოდ,
ლოცვაჲ, სიზმარშიც ნამდვილო, დილაჲმდე უნდა გდიო.
სადლაც, ღრუბლების გადაღმა, ერთი ქვეყანა არი,
სადაც ცამეტმა ქადაგმა ცამეტი ზიდა ჯვარი.
მე კი ათასჯერ დაგლოცავ, წყაროვ, ნასვამო პეშვით,
უფლის ხმა ღრუბლებს გამოსცდა ივერთა ქვეყნის მთებში.
ჩემთვის ქცეულა სამშობლოდ, მე – მოვგლენივარ მშობლად,
კურთხეულ ქვეყნის საობლო ბედისკვერების მცხოვლად.
მთაში ხანჯალი ავლესე, ფერი ვანურე ნართავს,
ბარში ვაზს მიუჟალერსე და ხორბლის მწიფე თავთავს.
სანამ მზე დაიღამებდა, ცეცხლის ალს სცემდნენ თავყანს,
სანამ უფალი გამეფდა, სწირავდნენ გაცს და არმაზს.
სულიც ხომ უნდა დაღვინდეს, როგორც ცრემლები ვაზის...
ჩემს კეთილშობილ მასპინძელს მხარზე მიმინო აზის,
მოუწევს რწმენით ეახლოს სწმინდეს ღვთის და კაცის,
უფლისად ლოცვით შეახოს ბაგე უწმინდეს ბარძიმს.

მოვდივარ, სისხლის ცრემლი მდის, ეს მერამდენედ მოველ!
რწმენის და მიტევებისთვის უფალი ჩემში ვპოვე.
ვანთებ, თუმც ზოგჯერ უალოდ, ღვთით მირონცხებულ კანდეღს
და ჩემი ლოცვა, უფალო, იცავს ქვეყანას ნათელს.
აქ სიყვარული მკურნალი ვისწავლე თმენით მშობლის,
სულში ვუცოცხლე უფალი ერს, რწმენით ახლად შობილს.
და დავანათლე განდგომილს ფლობა სულიერ განძთა
და ჯვარცმისა და აღდგომის ასიათასჯერ განცდა.
როცა ამ ბუდის არწივი ამაყად უფრენს ამ მთებს,
ასკილისფერი აპრილი გაზაფხულის მზეს ანთებს



და ერი როს ღვთისმოსავი აღდგომის ღამეს ათევეს,
 ასიათასი მონამის საშვილიშვილო ნათელს
 სულით ატარებს უხილავს და სანთელივით იწვის,
 უფალი ჯერ არ უხილავს, მონმეა უფლის სიბრძნის –
 მკვდრეთით აღსდგება ლაზარე, ტაძარში ექო ისმის
 ვაზის ჯვარივით ნატარებ, ჯერ ამოუთქმელ სიტყვის.
 ძველს გაპოვნინებს საუნჯეს მუდამ ძიება ახლის...
 საუკუნეებს გაუძლებს პატარა ბუჩქი მაცვლის.
 მე კი ვლოცავდი ნიადაგ, დღესაც ვლოცულობ მათთვის,
 უფლის ნათელი მიადგა უწმინდეს ტაძრებს ქართველის.
 დილით ხატის წინ დაჩოქილს ვინ დამავიწყდა, ნეტავ,
 ვისი ნატვრა და ნათრთოლი მაქვს მისატანი ღმერთთან?!.
 მადლი ანთებულ კელაპტრის ჭირშიაც უნდა გწამდეს,
 ქალი დედაა ყველასთვის, როცა ღმერთს უნთებს სანთელს!

სანთელი, უფლის ნაკურთხი, აქ ჩაუმქრალად ენთო,
 ღვთისმშობლის წილხვედრ ამ კუთხეს კალთას ვაფარებ, ღმერთო!

რომაელი ჯარისკაცის აღსარება

აქ უფლის ნებამ მომიყვანა, წმინდა დედაო,
 სად არ ვიარე, ბედისწერის გზებს რა ჩამოთვლის.
 მე აღარ ვიცი, გოლგოთაზე როგორ აღმოვჩნდი,
 ჯერ გონებაში ბურუსია, თუმცა, ვხედავ, რომ
 აქ უფლის ნებამ მომიყვანა, წმინდა დედაო.

გაელვებისას, როცა ღვთისთვის კვლავ ვიბადებით,
 სულ ერთი წამით მოვასწარი მეც შეშველება...
 ახლა სხეულით დავატარებ ბედნიერებას –
 მონათლული ვარ იმ შეხებით და იმ ნათებით
 გაელვებისა, როცა ღვთისთვის კვლავ ვიბადებით.
 ბაბუანვერას ფიფქებივით უფაქიზესი



და თბილი იყო ჯვარს დახსნილი უფლის სხეული...
ეს სიყვარული, სამყაროში მიმოხვეული,
ჩემი გონების გარდამოხსნის გახდა მიზეზი –
ბაბუანვერას ფიფქებივით უფაქიზესად...

და ეს სურათი გონებისთვის გახდა სანიშნე –
უსამშობლოო, სხვისი ომის ვარ მეომარი,
ახლა კი ვიცი, ღმერთი ჩემთვის სამშობლო არის,
ჩემი წარსული მომავლისგან ველარ გავმიჯნე
და ეს სურათი გონებისთვის გახდა სანიშნე:

ირგვლივ ხორხოცი გაისმოდა ღამის ხიზანთა,
ვთრთოდით, თუმცაღა შიშიც გვექონდა ჩვენ აკრძალული,
გამომშრალ ხახას გვწვავდა ცხელი მტვერი სამუშის,
ბროწეულივით დამსკდარ ფეხებს ქვიშა გვიწვავდა,
ირგვლივ ხორხოცი გაისმოდა ღამის ხიზანთა.

იმ უდაბნოში, იმ სიცხეში დედას სციოდა,
ახალშობილ ჩვილს რომ აგლეჯდნენ ცხელი მკერდიდან,
გულისპირი კი სველი ჰქონდა დედას ხსენით და,
ჩემს ძმას, უსუსურს რომ ვტოვებდით შორის ქვიშრობთა,
იმ უდაბნოში, იმ სიცხეში დედას სციოდა.

თქვენ, დედოფალო, უსათუოდ გეცოდინებათ,
რადგან გერგუნათ საამსოფლო ტვირთის ტარება,
რომლის საჭურჭლედ დედამინაც მეცოტავება,
თუმც ყველაფერი სამყაროში ღმერთმა ინება...
თქვენ, დედოფალო, უსათუოდ გეცოდინებათ,

რას გრძნობდა დედა, როცა ყურში ჩამჩურჩულებდა
ნაცნობ ლოცვას და მიცხელებდა ლოყებს ალერსით,
გადაეწყვიტა, რომ ძნელ გზაზე მარტო გავეშვი,
ძალაგამოცლილს მოუხმობდა რადგან სულეთი...
რას გრძნობდა დედა, როცა ყურში ჩამჩურჩულებდა:



– უნდა დაბრუნდე და ნაყოფი უნდა მოიხსა,
შენი სხეული აღმოცენდეს უნდა სულიდან,
არ დაგავინყდეს, შენ ხარ კოლხი, შენ ხარ ურიდი,
არ შეგეშინდეს არც მანძილის, აღარც დროისა,
უნდა დაბრუნდე და ნაყოფი უნდა მოიხსა!..

ახლა ბავშვობას დროის ნისლში აღარ დავეძებ,
სულით ჯვარცმული ვდგავარ თქვენს წინ იმის დასტურად,
რომ გოლგოთაზე გამახსენდა ჩემი წარსული,
დავინყებუი დედის ლოცვაც, დედის ანდერძიც
და ჩემს ბავშვობას დროის ნისლში აღარ დავეძებ.

უფლის აღდგომა ამ სამყაროს შეცვლის სრულიად,
მტრედს გამოატანს იმედის რტოს და მიგვიზიდავს.
მან ნოესავით წამოკრიფა დედამიწიდან –
საკუთარ სულში დაატარებს ყველა სულიერს...
უფლის აღდგომა ამ სამყაროს შეცვლის სრულიად!..

სანამ მზის ფერად ბილიკებზე გავიფანტები,
იქ დავბრუნდები, მიყვებოდა სადაც არაკებს
მამა და სადაც ჩემი სული მოავარაყა
იმ მიწის ნატვრით, სადაც სხეულს სურს დავანება,
როცა მზის ფერად ბილიკებზე გავიფანტები.

ნება მომეცით, თქვენს უწმინდეს კალთას ვემთხვიო,
სანამ სიყვარულს მივიტანდე განთიადამდე
და სამყაროში ყოველ დილით მიმოვფანტავდე,
სანამ მუხლმოყრით ვეახლები უფლის მხედრიონს,
ნება მომეცით, თქვენს უწმინდეს კალთას ვემთხვიო.



იესუ

გურამიშვილის მოტივზე

ტაძრად კრძალული მოველ და... ლოცვით გავედრებ
მშიერ სულს.

გამიღე შენი კარიბჭე, შემოსვლად ღირს მყავ, იესუ!
ვერ დამითვლია ცოდვანი, ვნებებმა ჩემს სულს სძლიესო,
გთხოვ შემიფარო შენს ფრთებქვეშ, კაცთმოყვარეო, იესუ!
ისმინე ჩემი ვედრება, გულით გთხოვ, გულთმეცნიერსო,
დავეცი, სულით ვნებული, შენ აღმადგინე, იესუ;
ჭირი ბევრი მაქვს... თუმც შენით, დარდებმა ველარ მძლიესო,
სიმხნე შენ მომეც კეთილო, ავსულს თავისი მიეზლო...
შენით ვწერ... ვუმღერ სიცოცხლეს, ხან ციურს, ხან მიწიერსო,
მგონობას შენით მოველი, ტკბილო მამაო, იესუ;
ბევრჯერ მებრძოდა ბოროტი, დამცეს და დამაქციესო,
მაგრამ სულით ვერ გამტეხეს, მცველად შენ გასახდი იესუ;
მამით ობლობა ვიგემე, დარდს და სატკივარს მწიესო...
შვილად მიმიღე, მშობელად შენ მომეველინე იესუ;

.....
მარადიულო ნათელო... სანთელო ჩაუქრობელო...
ტკბილო, სულისა დამხსნელო, ჩემდა ნუგეშისმცემელო.
მომიძიე, არ დამკარგო, შენკენ სვლით მუხლებნაკანრი...
განმიღე ბნელი გონება, რომ გითხრა სიტყვა საკადრი.
ვითარცა სავსე თავთუხი, მასწავლე დგომა თავდაბრით.
არც ერთი ჩემი ნაბიჯი, არ იყოს სხვათა საძრახი.
რომ შენკენ სავალ ბილიკზე, არ გადამიცდეს ტერფები,
სიკეთის სხივად ამანთე, შენს ღირს შვილს, ვითარც შეჭფერის.

.....
აღვაწლენ ლოცვებს... იმედით, ვუცქერ ცას, თვალსაწიერსო,
მოვილტვი შენკენ, აღმართზე, შენ მომეშველე, იესუ;



თვალახელილი მატარე, მინდა ვაკეთო რაც შენ გსურს.
არ მიმატოვო, გეძახი... იესუ!.. იესუ!.. იესუ!..

შიშველ ფახეთან გინყოზ სუსამბრებს

სონეტი ქრისტეს

შენი ტერფების მოფერება სურდათ გვირილებს...
ნაკადულები გამორბოდნენ... რომ შეგხებოდნენ,
კრძალვით, ამბორად იხრებოდნენ მათათა ჩრდილები
და შენს ფეხებთან ნაგაზივით უხმოდ წვებოდნენ.

გზებზე ტკივილებს ეჩვეოდი თანდათანობით...
და იწყებოდა სისხლიანი დიდი ნერტილი,
სინაის მთაზე ქანაობდა მზეში ქანობი
და მენამული ფერით იყო დღე გაჟღენთილი.

ხვიდოდი ხალხში... სიყვარული გქონდა ულევით...
მშობლიურ მიწის ცვარ-ნამს სვამდი ფეხის გულებით.
იტანდი თმენით, ტკივილებით წამებულ სვე-ბედს,
ეს ფიქრი ახლა მტკივან სულს ამღვრევს...

მოვდივარ ხატთან, ვეფერები შენს შიშველ ფეხებს
და სასაოებით გინყოზ სუსამბრებს....



საქართველო, სამყაროსთვის იყოს წმინდა ნაკრძალი

ისევ ღელვა... ისევ ისე ღამე ფიქრით ნათოვარი...
ჰოი, ღმერთო, როგორ ვწუხვარ... დამიგროვდა სათხოვარი.
ისევ ისე მანრიალებს დროის უღმობელი ქარი.
ისევ ისე მისველდება წამნამები ცრემლის ღვარით...
ჩვენი ქვეყნის ტკივილებით... ვინვი... სიმშვიდე ვერ ვპოვე.
გთხოვ, უფალო, ჩემს მინაზე შენი ნებით ვქმნიდეთ ყოველს.
მადლს აწვიმდე მარადიულს ჯვარს, გელათს და სვეტიცხოველს.
განმამზადე, ჩემი მთები ჩემს გულსა და ჩემს სისხლს მთხოვენ...
აღალ იყოს, მაგრამ ვიცი, უხვ სატკივარს ვერ ვუშველი,
ჩემი ქვეყნის გადარჩენა თუ არ იქნა ნება შენი.
ეს ედემი – საქართველო, შენ ტკბილ სახლად ანარჩევი,
გვედრები დაიფარე, იყავ მისი მწე და მხსნელი.
კარგად იცი, რამდენ გრიგალს და ქართვებილს გადავფურჩით,
რომ სიბნელეს არ მოეცვა ეს მიდამო, ეს ცა ლურჯი.
გვედრები, უკვდავ ფერმწერს, არ გააშრო შენი ფუნჯი,
განგვიწმინდე ქართველის სული, არ წაგვექცეს რწმენის ბურჯი!
გვედრი, თვალს ნუ მოარიდებ შენი დედის წილხვედრ მხარეს.
დასაკორტნად არვის მისცე, მტარვალს გულს ნუ გაუხარებ.
გადმოხედე, დაიფარე, ოქრო ჯაჭვი შემოავლე.
ნუ ასტუმრებ ავგულს, გულღრძოს შენს ანარჩევ ზურმუხტ მთა-ველს!
მხოლოდ შენი გზით გვატარე, შეგვრჩეს, ჩვენი ზნე და წესი.
ჩვენ ჩვენს მიწას გვაპატრონე, ვიყოთ მისი მხვნელი, მთესი.
რომ გადარჩეს ჩვენი მოდგმა, ჩვენი ჯიში, ჩვენი ფესვი.
შენი რჩეული ერი ვართ, ენით, რწმენით უძველესი.
ჩვენს მიწაზე არ ახარო ბოროტი და ავთვალი,
საქართველო სამყაროსთვის იყოს წმინდა ნაკრძალი!



ბეთლემი,
 ბაგაში ვარსკვლავებს რა უნდათ?!
 და მაინც,
 ყველა ცა თითქოს აქ ანათებს,
 ღვთისმშობელს,
 სულში რომ ნათელი ჩაუდგა,
 ახლა აქ, ბეთლემში
 რომ აფრქვევს ცა ნათელს
 და ყრმაი იესო
 ანგელოზთ დასს უსმენს,
 ცას უმზერს, ვარსკვლავებს
 უღიმის, განა თვლემს?!
 დეკემბრის ღამეა
 და სადღაც, ბაგიდან,
 ყველა ცა, ყველა მზე
 სხვაგვარად ანათებს!...

.....
 გოლგოთის გზაზე
 უფენენ ეკლებს,
 ეკალზე უფრო მწარეა ჯვარი,
 არ ნაფორხილდე,
 რადგან ხარ მეკვლე
 შენივე რწმენის
 და უფლის კარიც
 უნდა პირველმა
 შეალო ზესკნელს,
 რადგან პირველმა
 იტვირთე ჯვარი...



.....
სისხლის ნაკვალევს
ანყდება ცრემლი,
შენ ცის აღმართის
იებს როს ალევ,
გოლგოთის ზეცა
ღრუბლების ცელით
მოსხიპავს და მზეს
გამოუსალმებს
იესოს,
ჯვარცმას
გოდების წნელით
მიეჭედე და
მიელურსმანე,
თითქოს სამყაროს
უდგახარ მცველად
იერუსალემ!..

ნათელს იღებს მირიან

მცხეთის ბჭესთან მოგვი რასმე უბნობს,
ვარდის რტოზე ბულბულები ტირიან,
ლოცვადა დგას მაცყოლოვანში ნინო,
შენ სად მიხვალ, მირიან?!

არაგვს თავზე წაადგება ბინდი
და ნათელიც ახლა უფრო ძვირია,
შენ კი გული რად არა გაქვს მშვიდად,
ვის დაეძებ, მირიან?!

მალლა ცაა – ლაჟვარდების ცეცხლით,
დაბლა მცხეთა, სადაც შენი ძირია,



სულში ბრწყინავს ოქრო, განა ვერცხლი,
რას შეჰყურებ, მირიან?!

ნუთუ ქრისტეს აუმღერე ქნარი,
ნუთუ ქრისტე შენი რწმენის კირია?..
მაყვლოვანში წმინდა ნინოს ჯვარით,
ნათელს იღებს მირიან.

ან ყველაფერს სულ სხვა თვალთ უმზერ,
ეს დიდებაც ახლა ბზე და წვირია,
ნინოს ჯვარს რომ ჩამოიფენ გულზე,
ნეტავ რას გრძნობ, მირიან?!

ივლისის მზე წამით წარბებს შეჰკრავს,
ეს ლერწამიც ახლა უფრო სტვირია,
მცხეთა ბინდით იმოსება, შენ კი
ქრისტეს ნათლით, მირიან!

ირგვლივ ცაა მშობლიურზე მეტი,
მინაც ახლა ასგზის უფრო ტკბილია,
მაყვლოვანში შეხველ როგორც მეფე
და წმინდანად გამოხვედი, მირიან!



გული დამრჩა

ოთხი დღე და ოთხი წელი,
მერე კიდევ — ოთხასი,
დარდი მქონდა, ფიქრი მქონდა
ბანასი და ოთხთასი...
აჰა, მოველ, მოგეახლე,
სული შემოგაფერე,
იავარქმნილს, თუმც ოდესღაც
ნალოცვეს და ნაფერებს.
მეცნო ჩემი ცა და მიწა,
ჩემი დასაფიცარი,
გადამქრალი ფრესკები და
ჩუქურთმები ვიცანი...
ხანძთა — სული ქვადქცეული
ზეცის კაცის — ხანძთელის
და შატბერდი — ნიშან-სვეტი
განსაცდელის, განცდილის...
შავშეთს — ციხე თამარისა,
იშხნის ტაძრის თაღნარი,
წყაროსთავის სავანეთი,
ვალაშკერტის ბაღნარი...
იმერხევის მთაწნულეები,
ხევი მზის საბუდარი,
ბასიანი — დიდებული,
საუფლო საჩუქარი...
არტანუჯი — კლდის ნატეხი,
უამრავ ჭირნახული,
ოშკი, ტბეთი, კარი, ბერთა,
პარხალი და ხახული...
ტაოსკარი — გაპობილი
მოლაშქრეთა ხმებითა,
კოლას გზებზე — ნატერფალი
კოლაელი ყრმებისა...



დადაშენი — დახლართული,
 დოლისყანა — ეული,
 ოპიზაში — ანაბეჭდი
 ოპიზრებისეული...
 კლარჯეთს — თეთრი ნანგრევები
 ბაგრატოვანთ პალატის
 და აჩრდილი „ტკბილი, უხვი
 დიდი კურაპალატის“...
 ფანასკერტის სანახები —
 ვარდისფერი კორდები,
 გალობა ჟღერს ჩვენებური
 ქართული აკორდებით...
 მოვილოცე, გარდასული
 წელი, ლამის ოთხასი,
 გული დამრჩა, ჭოროხის პირს,
 მადლი დამაქვს ოთხთასი.

ფერიცვალების ღამე მცხეთაში

საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელია ნინო.

იმ ღამეს, როცა მეფის პალატნი,
 წარმართთა ლხინით იყო ნათენი,
 იმოსებოდა კერპთა ქალაქი,
 ღვთივ საზეპურო ერის ნათელით.

იძრა სოფელი, ცას გადუვლიდა
 და განკვეთავდა ალთა კრებული,
 მიწას იჭერდა კვართი უფლისა,
 ებრაელ დედას შემკერდებული.



გმინვა-გოდების ისმოდა ხმები,
მეოტ ეშმათა, მით ბევრეულის,
სისხლი, სამსხვერპლოდ შენირულ ყრმების
იხილვებოდა წყალს შერეული.

ზათქი და ზვაფი კერპოვან რღვევის,
ჯერ არ სმენოდა, თურმე, არავის,
შეამდულრებდნენ ტალღებს ამღვრევით,
მდედრი მტკვარი და მამრი არაგვი.

არმაზის ციხით, ბაგინეთიდან,
შერისხულ მათათა ხმაჰყვეს გუგუნის...
უნდა მლოცველი ბაგით გეთია,
დედავ, იმ ლამეს სულის უკუნი.

უნდა მდგარიყავ ნეტარი მწყემსად,
მსახურ-დედუფლის სვებედნიერით,
და... გიხაროდენ, თვინიერ შენსა
არა არს დედა ქვეყნად ივერის!

ეუნჯებოდა ღმერთების ღმერთი,
„მუნ აღმობრწყინდნენ ოდეს მთიები“,
ჯვარნი დაადგრნენ ბოდბეს და მცხეთას,
მონანიების და პატიების.

განქარდა ურვა – ხმათა სასტიკთა,
დილა სისხამით და ნაცვარებით,
იყო მეექვსე თვეი მარტითგან,
დღე იყო ქართლის ფერიცვალების...

ახლა მთვარე წევს არაგვის კარზე,
ცურავს სანთლისფრად და ნება-ნება,



ანტიოქიის ზარების ხმაზე,
მწუხრი საცისკროდ განიბანება.

ლიტანიობის ღამე ამაღლდა,
კეთილსუნნელი აუდის მირონს,
მუცლადღებული ყრმას შობს ამაღამ
და რა თქმა უნდა, დაარქმევს ნინოს.

ამაღამ, დღესაც და ხვალის ხვალაც,
ხარისთვალათა მწვანე ბარდნებით,
საქართველოში, გულგასახარად,
ყველაზე უფრო,
ყველაზე მეტად
ყველაზე ბევრჯერ დაიბადები!

უკეთუ

*„უკეთუ თვალი შენი მარჯვენე
გაცდუნებდეს შენ, ამოიღე და განაგდე...“
(მათე 5. 29.)*

თუ თვალმან ჩემმან გაცდუნოს,
გაუჩინოვდეს, დაივსოს,
მე – ნეკნი შენი, – მხევალი,
შენ – ჩემი მწუხრის აისო.

თუ ხელმან ჩემმან გაცდუნოს,
მოიკვეთოს და დანაცრდეს,
შენ – ჩემი დღე და მოსწრება,
მე – შენი ჭირის სანაცვლე.
ენაც დადუმდეს მაცდური,
სიტყვისმიგებას ჩვეული,



მე – მარტოქმნილი უშენოდ,
შენ – პირველქმნული, რჩეული.

აი, გულს, – ნრფელგულს თუ იცნობ,
თუკი შენისად ჩამთვალე,
მაშინ სიფრთხილე სჯობია –
ნუმც დაენახოს ავთვალეbs.

არ დაგვინდობენ, ხო იცი,
მერე, მიდი და უმტკიცე,
არ დაგიდევენ სამართალს,
აღარც ფიც-ვერცხლის სიმტკიცეს.

ხოლო, სული თუ შეიტკბე,
ინებე, იყოს ალალი,
ორთავეს მიგვგვრის ქრისტესა,
ღვთისაა, ჩემი არ არის.



„იქმენინ ნათელი!“

(გენათის მონასტრის 910-ე წლისთავისადმი)

სამეცნიერო სივრცეში გაზიარებული თვალსაზრისების მიხედვით, სახელწოდება გელათი უკავშირდება ბერძნულ (გენეთიტო – შობა) და ივრითის (შარ-ლი-განედე – სამოთხის კარიბჭე) ტერმინებს.

უახლესმა კვლევამ დაადასტურა, რომ რეალურად, სახელწოდება „გელათის“ თავდაპირველი ფორმაა წინარქეართული „გენათ“ („განათება“), რომელიც შემორჩენილია დღევანდელ მეგრულში. აგრეთვე, დადასტურდა, რომ გენათის აკადემიას ამშვენებს პეტრიწონის ქართველთა მონასტრიდან გადმოღებული შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთი პირველი საგანმანათლებლო ემბლემა ნიგნისა და მზის გამოსახულებებით.

აია-ქუთათისს, მთის ფერდობს, სად სიო საუბრობს იებთან, საძვალე მეფე-ტაძრეულთა, უძველეს დროიდან ჰგიებდა.

მზეებრი წყალობა მიერთვა საბრძანისს დიდპატიოსანთა, სიონში აჟღერდა „გალობა სინანულისა“ და „ოსანა“.

სთქვა მეფეთ მეფემან: „განახლდეს, იქმნასო უმეტეს ყოველის, – მომფენად სიბრძნეთა მრავალთა, მაქებრად – სიტყვისა ცხოველის.

დე, სწავლის წყურვილმა დაანთოს ქართველთა გულეებში ხანძარი, შვენიერს, ყოვლითურთ უნაკლოს, ენოდოს „ცოდნისა ტაძარი!..“

იქმნა სიტყვისაებრ მისისა: სივრცით და ნივთითა ქებული, ყოველთა წინანდელ ქმნულთაგან შუენებით ზეალმატებული.

ვით მოსემ – კეთილადმსახურმან, ცა გარდაართხა მეორე, თვით შთააგონებდა სწავლულებს და ლაშქრად მიმავალ მეომრებს...



ემტიკიცა გენათურ ბალავარს მცხეთიდან კვართი და ხალენი,
და იქმნა „ახალი ათინა, მეორე იერუსალემი!“

ესავდნენ სოფიანმიდასა ცისკროვან-ნათელი გონებით,
ყოველთა კაცთაგან რჩეულნი: მდიდარნიც და არას მქონებნიც.

კელინში – გონებით მოხუცნი, ხანაგში – მწირნი და ობოლნი...
აქედან მოეცა იბერთა სწავლანი – საფილოსოფონი.

აქ, ცათა მომბაძავ ალაგზე საღმრთოჲს მადლისა მუშაკნი,
ენასა – შემეკულს და დიდებულს იცავდნენ, როგორაც გუშაგნი.

უფროსად ღამეულ ნუსხვითა, ხელრთვითა, კაზმვითა,
მუხლდრეკით,
გარჯილ-დამაშვრალი მოძღვარნი, თავად, მერჯულენი უდრეკნი.

მათანა ხითხურო, ქვითხურო, ხურონი რვალითა, კირითა,
სიმღერის მოქმედნი, მკურნალნი, ოსტატნი – საბოძარძვირითა.

ბერისა და ერისაგანნი, – ქუეყანის კიდეთგან პოვნილნი,
იქავე ქსენონში – სნეულნი, – მეფისაგან ნაფერებ-მოვლილნი.

კეთილადმეტყველთა რიტორთა, მოძღვართა და
მოძღვართ-მოძღვართა,
უვერცხლოდ იზრახეს გავრცობა საქმისა: წიგნთა, ლოცვათა.

აქ ქმნიდნენ ოქროვან ეპოქას – გონიერს, ღონიერს, უმდიდრესს,
სადავე ხელთ ეპყრათ ჭიმჭიმელს, იყალთოელსა და
ჭყონდიდელს.

შავთელი, თმოგველი, ხონელი გენათის ფუძეზე დაუნჯდნენ,
გვებოძა უბადლო შაირი – ვეფხისტყავმოსილი საუნჯე.



და ქვა ამეტყველდა – ჩუქურთმა – დავითის ოფლითაც სოველი,
სიმბოლო: იესო – ლოგოსი, წიგნში მზე-დედაღვთისმშობელი.

დღესაც იმ სინათლით ვანთივართ, ხან ლხენით, ხანაც კი
გოდებით,
მეათე ასწლეულს მოარღვევს ლოცვებით გამთბარი ლოდები.

არის და კვალადვე იბრწყინებს ცოდნის და რწმენისგან ნათენი,
„გაენათ“ – აენთე, განათლდი! „გეენათ – „იქმენინ ნათელი!“

**გმირი**

სამშობლოსთვის თავდადებულებს...

ქვეყანაზე, უფლის ნებით,
როცა გმირად იბადები,
თავდადების წამიც დგება...
სიმამაცით, თავგანწირვით,
რაც მარტივად ყველამ ვიცით,
იბადება უკვდავებაც...
როცა ბერი თევდორე გვყავს,
მტერს აოცებს როცა ცოტნე...
აღარ უნდა დაჩიავდე
ერო! – აღარ უნდა მოკვდე!..
ეჰ, რამდენი უსახელოც,
ეჯიბრება სახელიანს...
(ლაჩრებთან და გამცემებთან
უკვდავებას რა ხელი აქვს?..)
უსახელო უფლისციხელს,
მხარს უმაგრებს მარაბდელი...
მებრძოლი და წამებუღი,
ერიც გმირებს მარად ელის...
გმირს ნატრობდა არაერთი
დიდებული წინაპარი...
გმირს ეძებდა... რადგან გმირი,
გზას გვინათებს, ვით ლამპარი...
გმირი ქვეყნის ჯავშანია,
გინა ხმალი, გინა ფარი...
გამოაჩენს გმირს დრო-ჟამი,
მეორდება ისტორიაც...
და იმათთან ჩემი სიტყვაც
ზედმეტი და ლიტონია...



აღარ მინდა... (გევედრები
მხედრობას, ცაში მყოფო...)
არც სამშობლო უგმირო და
აღარც გმირი უსამშობლო...



ამბავი მოგვთავან ყრმა იესოს ჰოვნისა

დეკემბრის ცივ-ცივ ღამეში,
ფერი რომ ედო კამეჩის,
ის დაიბადა ბაგაში,
ის დაიბადა, ხო, გუშინ,
ან, უფრო მართლად, ღარიბი,
ხელმოკლე კაცის გომურში,
სწორედ ამდარს და ამგვარში
გიოს რომ უდგას ხომულში...
კი! ნერენ, მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთით აღმოხდა,
აღმოსავლეთში იხილეს მოგვებმა,
ცაზე ეკიდა...
სდიეს და სდიეს იმ ვარსკვლავს
ვირით, აქლემით, ფეხითაც
და ვიდრე მას იპოვიდნენ,
ბარე ორმა რომ შესცოდა,
ბევრი იარეს თუ ცოტა,
იერუსალემს მოვიდნენ...
იკითხეს: იუდეველთა მეფე სად არის,
რომ იშვა?!

მოვსულვართ აღმოსავლელნი
თაყვანისცემად რომლისა...
შეძრწუნდა მეფე ჰეროდე,
მღვდელმთავარ-მნიგნობარები იხმო,
განუხვნა ურდულით დახშულ-დაგდული
კარები და ვიდრე, ცნობისნადილით
ნაიგრძელებდნენ კისრებს,
ჩაჰკითხათ:

ამ ჩვენს მხარეში თუ გსმენიათო ვისმეს
გინდ სოფლად, გინდა ქალაქად, გინდ
მიყრუებულ ფარეხში დაიბადაო ქრისტე!
დიახ, ბეთლემში, იუდეას მიწაზე მოხდა,
ყრმა დაიბადა ღარიბულ ქობთან



მიდგმულ გომურის ვინრო ბაგაში –
 თხების პეტელში და ქათმების
 კრიახ-კაკანში...

ახდა წინასწარმეტყველება:

„შენ, ბეთლემო, იუდას მიწავ,
 შენგნით გამოვა წინამძღოლი,
 მწყემსი ხალხის და ისრაელის!“...

„კაცმა არ იცის, ვის რა ელის“.

ხელმწიფემ მძიმედ აილო თავი,
 ვერავინ ჩახვდა, რატომ და რისთვის,
 იხმო მოგვები მეორე დღისთვის...

რადგან მეორე დღეც ჩამოდგა

წესით და რიგით,

მოგვები, როგორც შეშვენოდა,

კრძალვით და რიდით,

წარუდგნენ მეფეს, გაიმართა

სჯა-მასლაათი...

ჰეროდემ: რაჟამს გამოჩნდება

ვარსკვლავი ცაზე,

მნადსო, ვიცოდე დრო და საათი...

შემდეგ პატივით გააცილა, დაამლ

უნათა:

ყველაკა კარგად გაარკვიეთ!

ამათ, სტუმართაც, დაუდასტურეს,

ვიპოვითო იმ ყრმის სამყოფელს,

გამჩენის მიერ წარმოგზავნილს

მეფედ ამ სოფელს...

– უკანა გზაზე, როცა მოხვალთ,

ზუსტად მიამბეთ, სად, როგორ ნახეთ,

როგორ ჰპოვეთ, როგორ მიაგნეთ,

მეც რომ ვიცოდე, ვეწვიო და თაყვანისცემით

დავუდასტურო

მოწინება, პატივი ჩემი...



ბოლო სიტყვაზე შემობრუნდა,
კარს რომ მოსცილდა,
მოულოდნელად,
შებარბაცდა და შებორძიკდა,
ძლივს მიაღწია, ტახტზე დაჯდა,
ზურგით მიეყრდნო,
დავიბადეო, გაიფიქრა,
ძალზე ცბიერ დროს...

2.

გამოვიდნენ,
გზას დაადგნენ აქლემების ტაატით;
გვერდ-გვერდ მრებთა გააგრძელეს
უბნობა, მასლაათი...
დღე იარეს, ღამეც ვლეს-და,
კვლავ ათენეს, აღამეს-და...
სახლს მიადგნენ, გომურის წინ
ძალღი, ერთი, ღავღავებდა...
ბინდიც მალე ჩამოშვავდა,
მყეფრის ფერებფერებაში
კაცი ვინმე გამოშავდა
გაბლიგვებულ ეზო-კარში,
ტყავი ესხა, ტყავის გარე
აჩნდა ჯვალოს ნაფლეთები,
მუხლქვემორე ბანჯგვლიანი წვივი,
კოჭი და ტერფები
შიშვლად ჰქონდა... უცხო-უცხოთ
შესცქეროდა თვალფეთებით...



3.

ვიდრე ამ სახლს მოაღწევდნენ,
 ვარსკვლავი წინ-წინ უძლოდათ,
 ასე მსწრაფლად მოაგნებდნენ,
 ვის ეგონა, ვინ უწყოდა,
 მეტისმეტად გაეხარნეს,
 სიხარულის ცრემლი ღვარეს...
 ჩაცხრენ, დაიმშვიდეს გული,
 მიეხალნენ ღრიჭო კარებს,
 კარი შეხსნეს, შეაბიჯეს,
 ნახეს, თვალებს აყვარყვარებს
 ნული, ყალმით დახატული,
 ჩატკბილული დედის მკლავებს...
 პირველყოვლის, თაყვანი სცეს,
 მერე გახსნეს საუნჯენი,
 თავდრეკილად ძღვენი უძღვნეს,
 აქომამდე არუძღვნელი...
 იქ ეშმაკი რას იქმოდა,
 გასძვრებოდა შურით სული...
 ამოიღეს, დაულაგეს
 ოქრო, გუნდრუკი და მური...
 ტერფთა სწორად კაბის ქობას
 ძაფს წინკნიდნენ წინილები...
 მკერდში ჩვილი ჩაეკრა
 და თმას შუბლიდან იცილებდა,
 ფეხზე ადგა მარიამი,
 ბრწყინავდა და ციმციმებდა,
 ხარჯისათვის, გარჯისათვის
 მადლი წყნარად მოახსენა,
 იქვე ცეცხლი ღუზღუზებდა,
 ჭერს ლოკავდა ცეცხლის ენა...
 ერთხელ კიდევ ეთაყვანენ,
 უკუ-უკუ მოხრით ვლიდნენ,



კარი ფრთხილად გაიხურეს,
ჰაერივით გალივლივდნენ...
ყინვა იყო, ბული დადგა?!?
აქლემმა რომ ჩამოშარდა,
ძალლი იგი, კაცი იგი
გაქრა, თვალით აღარ ჩანდა...

4.

რაკი ძილში სიზმრად ნახულ
ანგელოზებს დაუჯერეს,
ჰეროდესკენ პირი არ ქნეს,
სხვაგნით, სხვა გზით გაუბერეს....
სიხარულის ფრთები მალე
სინანულმა დაუტეტკვათ:
მივატოვეთ ქვეყნის მხსნელი
ქვეყნის გადამთიელ მტერთან!...
უმალ უკუშემოქცევა დაადგინეს,
გადანყვიტეს,
თავზე უფლის ანგელოზი
ნამოადგათ, ცრემლსა ღვრიდნენ...
– ნუ გეშინით! – ანუგეშა. – არ მიბრუნდეთ,
თქვენს გზით ვლიდეთ,
ნული იგი, მარიამის,
ეგვიპტეში განვარიდეთ...
ნათქვამია, იქ დარჩება,
მამალმერთი ვიდრე შესძლებს,
ბრძანოს: „აჰა, ალესრულა,
ეგვიპტიდან ვუხმე ჩემს ძეს!“



5.

ჰეროდე, განზილებული,
 ბრძღვინავდა და ცოფებს ჰყრიდა:
 იმ მოგვებმა მომალორეს,
 მოლორება რად უღირდათ?!?
 რა საუნჯე მიუთვალა,
 ვინც იყიდა, რას იყიდა?!
 ძელი მზად მაქვს,
 მოუხდებათ, ძელზე გასმა, ჩამოკიდვა.
 მერე ბრძანა: ორ წელს ქვემოთ,
 სულ-სულ ახალშობილამდე,
 შეაგროვეთ ყრმა ჩვილები,
 სამსხვერპლოსთან მომილაგეთ...
 ერთნაირად ამოჟღიტა,
 აკეპა-და, აჩეხა-და,
 ეშმას სისხლი გაეყინა,
 რო იხილა, რა შეხარბდა...
 ტირილმა და ვაი-ვიშმა
 შესძრა ბეთლემი და რამა,
 ცრემლის ტბაში ტივტივებდა
 ზე – ცარგვალი, ქვე – ქვეყანა...

6

ისევ უფლის ანგელოზი
 გაეცხადა, სიზმრად ნახა:
 ჰა, იოსებ, დადგა ჟამი,
 ეგვიპტიდან წამოასხა,
 შენს მხარეში დააბრუნო
 ცოლი, შვილი, რაც გაქვს სხვაცა,
 ვინაც მაგ ყრმის სულს ეძებდა,
 კუპრის ზღვაში კუპრის წყალს სვამს.
 შეეკაზმა, წამოვიდა,



მოჰყავს
ყრმა და დედამისი,
ყური ჰკიდა: იუდეას
მართავს ძეი ჰეროდისი...
შეუშინდნენ იქით წასვლას,
ფეხქვეშ რყევა იგრძვნეს მიწის,
„ბეთლემი თუ ნაზარეთი?“
გულმა უთხრათ მეორისი!
მივიდნენ და იქ დასახლდნენ,
დაეფუძნენ, დაეკარვენ,
ახლა ხელი მოემართათ,
აქამდე თუ ცრემლი ჰყარნენ,
ღმერთმა წაღმა მოუბრუნათ,
უკუღმა რომ ბედი სდევდათ,
აღსრულდა წინასწარ თქმული
და იწოდა ნაზარეველად...
მანამდე კი, ტოლ-სწორებში
ჯოხის ცხენით ჯირითობდა,
რიკ-ტაფელას ახურებდა,
ხან უბელო ვირით რბოდა...
ზოგჯერ მამას შეგირდობდა,
შველოდა და ხელს უწყობდა,
ფიცარს ისე გარანდავდა,
ლამის, ოსტატისას სჯობდა.
სიყმაწვილის ლალი წლები
თვალ-ხელშუა გაუფრინდა,
წესად ექცა, საკუთარ თავს
წმინდა წერილებით სწვრთიდა.

7.

მოდოდა იოანე,
წელს ქამარი ერტყა მეშის,



ტანს აქლემის ტყავი ესხა,
 უკეთესზე უარესი...
 კალიებით საზრდოობდა
 და ველური გოლეულით,
 იუდეას უდაბნოში
 თვალზე ცრემლებმორეული
 ქადაგებდა: „განუმზადეთ
 უფალს გზა და ბილიკები...“
 სიცხე იდგა?! ქვას ხეთქავდა,
 გადარუჯა ხვილიფები;
 ცა არსმენილ ხვატისაგან
 პურპურებდა?!. ლამის, გასკდეს,
 ბული იდგა?! ქელთა ესე
 გასწვდებოდა ასჯერ ას დღეს...
 ხელებს შლიდა, ქადაგებდა,
 განუნყვეტლივ ქადაგებდა,
 ხალხი მისკენ აიძრა და
 მეც, მათ ამყოლს, გზა დამებნა...
 იორდანეს ნაპირებთან,
 მოხდა, ერთად შევიყარეთ,
 ის განათვლას გვიპირებდა,
 ჩვენ ცოდვები შევინანეთ...
 გვეგონა, რომ წყალი ცოდვებს
 სამუდამოდ ჩამოგვებანდა,
 მან კი ბრძანა, იგი მოვა,
 არა ვლირვარ ვისსა სანდლად,
 ის მოგნათლავთ სულიწმიდით
 და უქრობელ წმინდა ცეცხლით,
 ეს ცაშია დადგენილი
 და მიწაზე ახლა მე ვთქვი...
 განუმზადეთ გზა-სავალი,
 მოდის, მოდის, უფალია!
 მოასწორეთ ბილიკები,



ვისაც როგორ უხარია...
კაცი იყო თუ ქალია,
ბავშვი ხარ თუ ბებერია,
მოდის, მოდის... უფალია!
ჩვენი ნათლის მცხებელია...
პირისახით მწუხარეა,
თვალში ცრემლის მდულარე აქვს...
ამ ხალხს კიდევ უხარია,
ნათლისღება უხარია...

8.

ის, ამ მიწაზე, ამათ შორის,
არავის ჰგავდა,
მას სიყვარულის უსასრულო
გზები გაჰყავდა...
ისმოდა შორი გალობანი
და ქილოფებში
იორდანეს წყალს
იპყურებდა იესო პეშვით...
მაღალი ციდან
უფლის თვალი დააშტერდება.
აჰა, მიიხმობს ძეს თავისას,
ასწია ხელი...
სხვა გზა არ არის,
ეს გზა სხვაგან არსად ჩერდება,
გადაიაროს
უნდა ჯვარის ულტობი ძელი.
მან აღსასრული იცის, მოვა,
უნდა მოვიდეს,
განშორების ჟამს
მისგან თქმული ეს იყო ლოცვა:
ვინც მეძიებდეს,
გულით ვუნდე, მუდამ მპოვიდეს



და ერთნაირად
 უურვებდეს სულსა და ხორცსა...
 ის, ამ მიწაზე,
 ამათ შორის არავის ჰგავდა,
 მან სიყვარულის
 უსასრულო გზები განაღდა...

9

და სხვაგან არსად წასულა,
 ის ჩვენთან, ჩვენში დარჩა,
 აწმყოდ, მომავლად, წარსულად...
 ის სხვაგან არსად წასულა;
 მერე რა, თვალით ვერ ხედავ,
 მერე რა, თვალით არ ჩანს,
 ის სხვაგან არსად წასულა,
 ის ჩვენთან, ჩვენში დარჩა..
 მადლსა გვძღვნის, არც როს გვივიწყებს,
 სულს უდგამს ურწყულ ქვასაც...
 ის ჩვენგან არსად წასულა,
 არსად წასულა, არსად!
 ვუყვარვართ, მართლა ვუყვარვართ,
 ყველა, ვის სწამს და არ სწამს,
 ცოდვილთა შორის ცოდვილი
 მეც! უკადრი რომ დამცდა.
 მიწყვიტე სურს ჩვენი მკვიდრობა
 მიწაზე, ცასთან ახლოს –
 სულიწმიდაში, მამაში,
 ძესა და სინანულში...
 ამ ჩვენს დახატულ მამულში,
 ჩემო ლამაზო ხალხო,
 ვზრდიდეთ პატარა იესოს,
 ვზრდიდეთ პატარა იესოს,
 ვზრდიდეთ და ვზრდიდეთ გულში.

**თიქვლორა**

*„ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი,
ვიდრე განცემა მეფისა და განირვა საქართველოჲსა“*

შესდგომია აღმართს – აღმართ,
ჩქარი ნაბიჯებით,
მოდღვარს მიძიმე ფიქრად, დარდად
გულზე მარწუხები...
ადევს, როგორც მზით და ქარით,
დაშაშრული ლოდი,
უკან მისდევს მტრის ლაშქარი
ცეცხლის შავი ბოლით.
ცხირეთისკენ, თევდორეო,
მოვიტოვოთ კველთა,
აკანკალებს, გეგონება
დაეგესლოთ გველთა...
ანაფორას ივნისის მზე
შუქად ადგას კვართის,
დასავლეთის ციცაბოებს
შორს ჩამორჩათ ქართლი...
მღვდელი მეფის შარავანდედს
ხედავს გულით, წმინდას,
ჯერ ადრეა, ნუ გადარდებს,
ლოცავს სულიწმინდა...
ღმერთთან მეფე ლუარსაბსო
შენ მიასწრებ, ხუცეს,
მღვდელი გახდა უასაკო,
გული ყელში უცემს.
სულ ცოტაც და მივედითო,
სიხარულით გარბის,
მტერს თევდორე ეჩვენება
ვერცხლეულზე ხარბი.



დასცინიან, – „ეს საბრალო,
 გვიპოვია სნორად“,
 მაგრამ გზასა იწროსა და
 ძნელგასავლელ კლდოვანს...
 როს მრავალნი მოლაშქრენი
 ფოთოლივით მოსწყდნენ,
 მიხვდნენ, რიხით მიმავლები
 გაუვალს რომ მოსდგნენ.
 ორად გაყო ზეცა ელვამ,
 უვარსკვლავო ღამის,
 მივედითო, ბრძანა მღვდელმა,
 ჩემს ღმერთამდე ღამის...
 სული სხეულს აესვეტა
 თითქოს ჯავშნად იქცა,
 უტკივილოდ დაეხეთქა,
 დაესვენა მინას...
 მივედითო! – ბრძანა მღვდელმა,
 აელვარდა ხმალი,
 მივედითო! – და განიხვნა
 ზეცის ყველა კარი!

მზის სათნოება

მზემ იყვავილა ზედაზენზე,
 გვირილის ფერად,
 შეხსნა გვიანი სტუმარივით
 სამთავროს კარი,
 უფალო, ჩემო,
 ნინოს დრომდე ვინ იფიქრებდა,
 დასრულდებოდა
 ქარიშხლებით გაცი და გაიმ.
 აღიგვებოდა



უძლეველი კერპთა დროება,
ცისარტყელა და შვიდი ფერი
მორთავდა მცხეთას,
რომ არა „ძალა ლომისა“ და
„მზის სათნოება“,
ვინ მოუვლენდა კვართის მიწას
ძის გულისფეთქვას...
„ხეთა კეთილთა ნაცოფმა“ შვა
რწმენა გულეებში,
ფარავნის ტბასთან, მწყემსებისთვის
ჩიტი – მზენვია,
ვით მთის ნაჟურის – წყაროს წყალთან
შებმა უღელში
აჭიკჭიკდა და...
წმინდა ნინოს ჯვარი გვეწვია.
უფალო, ჩემო,
ანდრიას და მატათას კვალზე,
ასკილის ველურ სიტურფიდან –
სვეტამდე ნათლის...
ნინომ ხელები შეაშველა,
ვით ქრისტეს, ჯვარზე...
და ჩამორეცხა, ნათლისღებით,
ცოდვები ქართლის...



მაჭახლის სტვირი

მე ერთი უბრალო, უმწეო სტვირი ვარ
 მაჭახლის მოკვეცილ ფერდიდან აჭრილი,
 კარჩხალი* მტკივა და ნამსხვანში მატოკებს
 ეს ნაოხრალი და ნაფეხვი აჭარა.
 მე გუდასტვირი ვარ, ნაგვემარ-ნაკვესი
 სხვის კარზე მაკვნესეს, შენს ქოხზე მოდერდალს,
 ჩემსავით მრავალი განწყვიტეს ყიაში
 მამალი, ჯინზე რომ არაფრით მოდედლდა.
 იმ ღამით, ტაძრიდან ჯვარი რომ ჩამოხსნეს
 მესტვირემ სიმწრისგან ინდაყვზე იკბინა,
 მახსოვს, როს ჩამბერეს, ისე ვიხრიალე
 რომ თხები დავუფრთხე ჩვენს კილდიკიკინას...
 მას მერე ვტირი და
 მას მერე ვკანკალებ,
 სხვის მკერდზე მიკრული შენს უბეს მოველი,
 რომ გულზე დამისვა,
 რომ სული ჩამბერო,
 რომ აღსდგეს თანდათან ღვთის ნებით ყოველი
 და მერე ფეხდაფეხ მოვივლი შენს ბებერ
 თვალვერმიუნვდენელ კლდეებზე საოცარ
 ნაშენებ,
 ნაოხრალ,
 ნასისხლარ ციხეებს
 და ტაძრებს, ოდითგან ჩვენს წმინდა სალოცავთ...
 რომ ღმერთი ვადიდოთ,
 რომ ღმერთი ვირწმუნოთ,
 რომ ღმერთი ვეძიოთ ნატაძრალ ჯამეში,
 ჩუქურთმის უბეში მოხვენილ ვაზისებრ

* კარჩხლის მთა მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო კილდიკიკინას მთა ჩვენს საზღვრებშია საბედნიეროდ.



ბრწყალით მოგეჭიდე, რომ არსად გაგეშვი
რომ აღარ მემღერა სხვისი სამღერელი
და აღარც მეცეკვა მავანთა დაკრულზე...
მიტომაც ღმერთივით ვენამე და ჯვარზე
შემოვრჩი ბარაბას მხარდამხარ გაკრული...



ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო!

ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
 ქვეყნის მწარე ბედზე მგლოვიარე,
 ისევ შენთან მოველ, სანუკვარო,
 ცა და ხმელეთი რომ მოვიარე.
 ნუთუ სიზმარია ყველაფერი,
 ჩუმად ავტირდი და გავიოცე,
 მერე შეგევედრე, მუხლმოდრეკით:
 ჩემი საქართველო დამილოცე!
 შენი წილხვდომილი მიწაწყლიდან,
 დედავ, სანუგეშო სიტყვას ველი,
 ცხადად შემომესმა: კურთხეულ ხართ,
 გიხსნით ჭირისაგან ღვთისმშობელი.
 ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
 უნდა გეამბორო, ჩაგჩურჩულო:
 როგორ მოენატრე საქართველოს,
 თეთრი შროშანივით გაფურჩქნულო!
 დედავ, უფლისაო, შეგვეწიე,
 დედავ, უფლისაო, მოგვიარე,
 ჩემო ნაღვლიანო ღვთისმშობელო,
 ჩვენი ტკივილების მოზიარე.
 ივერთა მოდგმის წინმყოფელო,
 ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო!..



ერის მამა ილოცება

კავკასიის მთების ძირში
მოფუსფუსე ჩემო ერო,
ქრისტესმიერ სიყვარულში,
დამაშვრალო, შორსმჭვრეტელო.
ღვთისმშობელი შეგნეოდეს,
მადლი ილიასი, მართლის,
დავითისა, თამარისა,
ჩვენი ბრძენი პატრიარქის.
მზიან ღამის გამნათებელს,
ბიბლიური ხიბლი მოსაგეს,
რა ვარდები უკრეფია,
ეკლებიან გვირგვინოსანს.
ხელთ უპყრია ერის მაჯა,
სასთუმალთან ღამეს უთევს,
იმის ლოცვა საღ კლდედ აქცევს,
საქართველოს ყოველ კუთხეს:
„ძნებით, ჩხებით, სიყვარულით,
გამრავლდითო, ტეხეთ ახო,
გიხაროდენ ქართველებო,
ღვთისგულში გვაქვს სამოსახლო“.
ახლა უნდა ვითამაროთ,
ახლა უნდა ვიდავითოთ,
ღმერთიც გვლოცავს, მოშენდითო,
სულ მარადის იყავითო,
გამობრწყინდი, დიდგორო და
აელვარდი ბასიანო,
უნმინდესის კურთხევითა,
დღე თენდება სასიამო.
რაც ქართველმა ინადინა,
რაც ქართველმა იოცნება,
აგვიხდება, რადგან ერის,
ერის მამა ილოცება.



ზარი რეკავს და გუგუნებს,
მოგვიწოდებს დედო-ზარი,
გიყვარდეთო, გიყვარდეთო,
ქართველის მაჯის შემტყობარი.
იბარდნება ხარდანი და
ვაზი ფიფქით იკოცნება,
გაბრწყინდება საქართველო,
უნმინდესი ილოცება.



ნეკრესი

გაზაფხული ფრთებსა შლიდა,
მოვიხილე როცა შილდა,
მთაზე იდგა ეკლესია,
მითხრეს, „ძველი ნეკრესია“.

ხალისობდა მზე აპრილის –
რაში, უფლის დარახტული,
სერი-სერ და მინდორ-მინდორ
მოცოცავდა გაზაფხული.

გზას შევყევი აღმართიანს,
გავცქეროდი გაღმა მთიანს,
სადაც ჩანდა თრდატის ლანდი,
ცაზე – ნისლის ხილაბანდი.

ყვავილების ნვიმა ცრიდა,
სულში ნვიმდა, გულშიც ნვიმდა
და აბიბო ნეკრესელი
ნეკრესივით გამობრწყინდა.

კედლებს ხავსი შეგლესია,
მაინც მკვიდრობს ეკლესია,
ეს ხვითოა, ჩვენი რწმენის,
ჩვენი სულის ნეკრესია!



**წარდგომა და ვეღრება – წინაშე,
მამისა და მოქლევრისა თვისისა –
უქლებისაგან (დაბრუნების შემდგომ)
და სინანული**

ქღვინება უწმიდეს და უნეტარეს პატრიარქთა ხსოვნებს

მამულს – მადლი: მზე და წყარო,
ერსა, ბერსა – ცა და შენა,
ღვთიდან – მთელი ეს სამყარო,
შენთან – ჩემი გადარჩენა!

შენ გვიმყარებ რწმენის ზღუდეს,
მით მიღვივდეს მადლი სანთლის; –
სავედრებლად ფერი მსურდეს,
ალი – სულის დახსნისათვის.

აღში ჩემი ცხროა, თრთოლა
(ვცოდე, ვნანობ, ვცოდავ ისევ), –
ბედისწერამ მომაქროლა
უმეცრებით მოთავისე.

ბედისწერამ შემაშინა
(რად არ ვმონე, უმაღ, ქრისტეს!) –
ამა სახლსა შევალ შინა, –
ხოხვით მუხლნი გადამიცვდეს!

ამა სახლსა ეკვრის სული...
მუნ პატრონი ხარ და გშვენის;
ამ სახლამდე ვერ მისული
ვერ ვცნობ იმედს გადარჩენის.



ეგე ჩინნი შენნი, შენნი,
ჩინად ჩემად მეძვირფასა;
წვეთნი მწველნი ვერ ვიშრენი
(ღვარად ეცრა ცხელნი თვალსა!).

ან, მეხოტბე ფიქრთა შენთა,
ჭვრეტად შენდა გავყრი წამწამს
(ეს ტაძარი წვით აშენდა,
მეც დავინვი, – აი, რა მწამს)!

თმოზა ვანთე მეც, აქ, ლოცვად
(მენტოს თმოზაც კვლავ და კიდევ), –
გულ-უფიცხოდ ვესახლო სად,
უგულობის გადამკიდე!

მდევს უძღებთა ავი სენი,
წყლულმან ფერი შემილახა,
სხივნი მსხნელნი მალირსენი, –
პეშვით, გული ჩემი – აჰა!

მე შენებრთა ვაქე თქმული:
ჩაჰყვა ეშმა წყალს და მენყერს,
კაცი აღდგეს დაცემული,
ანგელოზი არ დაეცეს!

აღდგეს, – წარხდა რა წამს, რა დღეს,
რამდენ გზისცა ბედი მისთვლის,
იგი, რომელ ველარ აღდგეს,
მოყვრად მეცნა შენი მტრისთვის.

ძელსა ურჩი თავი ვცემე,
კვლავ თვითგვემა მეუფლება...
რისთვის სრულად დავიქცე, მე, –
ვლოცე შენი მეუფება!



მე ვარ მარტო და ვარ სუსტი,
ახლოს, – გარეშენი, – არვინ!..
შემიფარე, რაღას უცდი,
აქ, სუფევა შენი, – ამინ!

შემიფარე, შენ გენუკვი,
ფეხქვეშ მინას მაცლის ელდა;
ზღვად ვედრება ვშობე (უტყვი), –
ამოსუნთქვა გამიძინელდა!

შეიფარე პატრონმა ყმა,
ვით არ გეცნოს ყმაი ბატონს!
– გკადრო: ყლორტი რატომ გახმა, –
მეზვრემ, სხვა ვინ გაგვიმარტოს!

ჰკრებენ ხორცნი, – ლეშნი, – ცოდვებს,
სული ხატთან მივა ღირსი:
ნმიდას ერთის ეშინოდეს,
არანმიდას – სიმრავლისი!

ამ ზედაშეს შენ გვინახავ,
ჭემმარიტად, იგი, ღირს არს
(ან-ლა ვუნყი, ვისთვის რა ხარ,
წყენისას თუ ღიმილისას)!

კურთხეულმა მოგვაველინა,
მზედ შენა და კვირტივით – მე...
გულსა შენსა – მონამ – ბინა!
აი, რა და რითი ვრითმე!

მოგვაველინა სრულმან ყოვლად,
ყოვლი სათნოც მან გაუნყოს!
შენ ერთი ხარ, სულ მახლობლად,
გემათხოვრე, განა უცხოს!



შენ ერთი ხარ, აქა, სხვა – შორს...
ხარ, შენ ესრეთ წმინდა, წმინდა...
ვგავარ იმ ზღვის სათამაშოს,
სად შენი სვე გამობრწყინდა!

ან, აუხდა ამგვარ დაღლილ
თვალთაც შენის ნახვით ნატვრა,
ამა წყლულსა დამკარ მახვილ,
წყლულმან ვითარ, მახვილ დამკრა!

სასოს სხვაგნით ვუნცი ვერსად, –
გიდივის და გადმომმადლე;
შენ შობილ ხარ უწმიდესად,
ყველა წმიდის მათხოვრად – მე!

შენ მხნე ხარ და მე – სანყალი,
მხნევ, შეგწევდის მადლის თესვა
(აგრემც, სულ არ მესვა წყალი,
რაც უშენოდ წყალი მესვა)!

ან, საკმაოდ უკვე, გვიან,
სული ძრწოლის გზაზე დგება; –
ოდეს ქირნი მუქედებიან,
ღმერთიც მაშინ გვახსენდება!

სისხლით ვბანე ქვანი რა-ცა!..
გზა ვანითლე, – რა დლით (მრუდი)!
შეიგნებდეს, ამინ, სხვაცა, –
მე განძრცვილი დაგიბრუნდი!

თვალნი ჩემნი მოგესალმეს
(თვალმან მზის წილ, რა აზადოს! –
შეგთხოვ, ჩემდა, ოდენ საბელს, –
არა რასმე სააზატოს)!



ლოცვა საყდრად წარვთქვი, შენდა
(ჰგიეს სხვაცა – მშენებარე)
მოძღვარს ცრემლი დაგიშვენდა,
„გზად“ ყარიბი შეგეყარე!

საყდრის ქვებად სიტყვა ვნირე,
ქვა – სიტყვებად (პირიქითა),
დავგმე ჩემი სიყმანვილე, –
უშენობა რად მიტვირთა!

უქმად მოვვლე ყოვლი მხარე,
ცდომით წერამ დამასაქმა,
ღვთის წინ მუხლნი მოვიყარე, –
ხსნა შესთხოვა ავაზაკმა!

ალალ ცრემლთა ცვენად მოველ,
ზნე ვამსგავსე შენი, წყაროს...
ზნე-სრულია რწმენა რომელ,
სხვათაც მანვე შეინყნაროს!

ყოვლად ბრძენმან, სამი სახე,
სამად, სრულად ასამსახა!...
გამომხსნელი დაგიძახე, –
გიორგულო, რადამცა-ლა?!

უკეთურთა თრგუნვად მოხველ,
ღვთის სიტყვათა მაცნე, ხმა ხარ!
მევე დავრჩე მუნ, მაღლობელ,
სად შენი მტრის მაცხრეს ლახვარ!

წინ ლოდინის არის ძაფი,
მეც ლოდინზე ლოდინს ვაბამ,
ძილში, ცხადში გავიძახი:
მიხსენ, უშენობისაგან!



წმიდა ნინო

ნუში ჰყვაროდა მას ჟამსა,
დედოფალო, ორბის მზერით
როს აერთა სიმაღლიდან
ფრთები მცხეთას მოუტევენი.
საკვირველი, საღმრთო სრბაჲ
დედოფალო, ნიშს დაიდებს
ნაკლებ – დედაკაცობით და,
მეტად – მამაკაცებათ.
ხედავ – ღმერთად ხადენ რკინას,
გამობერვით განჭედელსა,
ხედავ – ჩვილებს ვითარც თივას,
ვითარც თივას ესრეთ თიბვენ;
და დაუბრდღვენს ძალი შენი
ძუ ლომივით რვალის ქვევრებს,
დაუბრდღვენს და იმავ კერპებს
აქეთ-იქით მთარეკებს.
დააცხრება სეტყვის ქვებად
წამხდარ ვაზებს, ქვევრის დურდოს,
თუ ვიგლოვოთ, ჩვენვე შევსვათ
იმ კერპების ნაცარტუტო.
დედოფალო, ძალით შენით,
სრულის მამაკაცის ძალით
ორშიმოთი ამოგვექონდეს
დროშმის* ჩამოფქვილი რვალი.
დედოფალო, ბაგით შენით,
ბნელის ნათლად გარდამქცევით,
ჯურღმულით აღმომდინარით,
წყაროთ დაუნყუედელით;
დედოფალო, ხატით შენით,
თეთრად აფეთქილი ნუშით
ტკბილი უფლის თანალმობით
ქართლი ნულარ მოიქუშვის.

* დროშმი – ყოელთა კერპთა სახელი არს

**უფლის საყდრამდე**

კაენი ისევ ბოგინებს,
აბელი ისევ ტირის,
მზე ყინვის ამსხვრევს ბორკილებს,
სიცოცხლე წვეთშიც ღვივის.
ცა ისე გასუდრულია,
როგორც გვირილა თოვლში,
სამყარო თოთო სულია
დროსთან უვალო ომში.
ვდგავარ, ბნელ უფსკრულს ჩავცქერი,
ცისკენ გამირბის თვალი
და ცოდვის მღვრიე ლანქერით
ფიქრი მაქვს ნამენყრალი.
მხარმარჯვნივ – უფლის სახეა,
მხარმარცხნივ – ემმას მახე,
და ქარ-ყინვების ჯირითით
დასერილი მაქვს სახე.
ავს ვინ მოუსრას სათავე,
მართალს განუხსნას ცანი,
უფალო, შენს დიდ საყდრამდე
მიმოასწორე გზანი.



საალილო იავნანა

არ შეგეშინდეს სიცივისა, იავნანინა,
დადგა სალამო – შობისპირული,
შენი სარკმლიდან
ანგელოსი შემოფრენილა,
შაქარყინულად უქცევია მყიფე ყინული.
შემცვივნულია ანგელოსიც, იავნანინა
და ფრთები უკრთის.
ცივ სახლში ჩვილი ავად არისო, იავნანინა,
ნუხს და პირთამდე
ალიცლიცებს გათოშილ სახლს
შობისპირულით:

მოგიყვები ქრისტეშობის ღამისასა
და გიმღერებ საალილო ნანინასა,
ნუ გეშინის...

ცაზე ვარსკვლავია, როგორც კერამიკა
მიწაზე თოვლია – ფაფუკი ჩითილი,
რომელსაც შობისთვის
ლოცვით და გალობით,
რგავს უფლის მეზალე –
მშვიდი სერაფიმი,
და ქარიც, საშაროდ, საავდროდ მოსული
უსტვენს ამ სალამოს სამოთხის ჩიტივით
ბაგასთან,
იქ, სადაც ჩვილის თეთრ სახვევებს
აცვივა მთიების და ხომლის ნაფხვენი.
დღეს მოდის იესო –
შენსავით პატარა,
ბაგეზე უბრწყინავს სიკეთის ნამცეცი,
ხვდებიან ბატკნები ეყვნების ჟღარუნით,
თოვლის აქვთ დრუნჩები, თოვლის აქვთ კრაველი...



გზა ისე ძნელია,
 რაც უნდა გაიაროს,
 შენამდე მოვიდეს,
 ვინ იცის, რა ელის...
 გზა ისე ძნელია,
 რაც უნდა გაიარო,
 მასთან რომ მიხვიდე,
 ვინ იცის, რა გელის...

არ შეგეშინდეს, იავნანინა,
 საალილოა ყველა ნანინა,
 რაც ამ სალამოს იმღერება,
 თბილია სახლი,
 ანგელოსს ფრთიდან ჩამოეწვეთა
 როგორც შემდნარი კარამელი,
 იესოს მადლი,
 გერგება ნამლად
 და ყველაფერი:
 პანია კოვზი ბლისკუნულიან ჩაის ჭიქაში,
 ღია სარკმელში მოჭვრიტინე ლოლუები,
 მშვიდი ფშვინვით აცეკვებული ზანზალაკი
 საწოლის თავთან...
 იმღერიან ქრისტეშობის ღამისასა,
 იმღერიან საალილო ნანინასა.

შობისპირულია და
 კეთილი იყოს შენი მოსვლა,
 იესო...
 მალე ალილოა და
 კირიე ელეისონ,
 კირიე ელეისონ,
 კირიე ელეისონ...



წმინდა წინოს მონატრება

დღეს უზნეობა მიღებულია თურმე კანონად,
თვალახვეული თემიდა რა ურწმუნოდ მოთქვამს...
გადუქცევია ეს ქვეყანა მონად მამონას –
რუსს – ოსეთს სჩუქენის,
დიდ აჭარას – ოსმალოს ხონთქარს.....
ამღვრეულია ჰარამხანა – ტელეეთერიც,
გამიშვლებულნი რას ლაყბობენ აღარ იციან...
აბესალომის მურმანს უზის ხარჭად ეთერი
და სიყვარული სულ ტყუილად დანაფიცია...
რას განაბულხარ საქართველოვ! ყველა მწევარი,
კბილალესილი, დღესაც შენზე დაგეშილია...
გრიგოლ ხანძთელი მიივიწყეს – ერის მწვერვალი,
საგურამოშიც სასჯელს იხდის დიდი ილია...
სატუსალოში ჩაუსვიათ ვაჟაც, აკაკიც,
უკვდავ რუსთაველს პატიმრობას მუდმივს უსჯიან...
არაბ ამირას გაუშლია ისევ ბანაკი
და ანჩისხატის სამრეკლოზეც ზარი მუნჯია...
ზოგ ეპისკოპოსს დოლ-გარმონით დაჰყავს იუდა,
აღმაშენებლის საფლავს ბილწავს ლოშნით უგვანო...
ერი და ბერი ეხლა ისე გადამთიელდა,
„მრავალჟამიერს“ ჟამთგამრიგეს აღარ ვუგალობთ...
კვლავ იმარხება ყველას თვალწინ ენა ქართული,
თვალცრემლიანი იმზირება ბერი ზოსიმე...
ახლაც გვჭირდება წმინდა წინო, ჯვარშემართული,
რომ ცის მანანამ ივერიას ისევ მოწვიმოს!..



ლექსი ეძღვნება წმინდა ნინოს შემოსვლას საქართველოში

რა სიჩუმეა მაყვლოვანში, ირწევა ტოტი
და ბუჩქზე ჩიტი შემომჯდარა ნითელისკარტა,
სამთავროს ეზოს მოსდებია მლოცველი ხალხი,
გაისმა ზარი; შუადღეა... შუქმა იმატა.
უფალო, ხომ აქ გააბრწყინა სახელი შენი
და შორი გზიდან მომავალმა რწმენა განფინა!
მოხვედი ლოცვით, ღმრთისმშობელის სიზმრად
მნახველი,
მოხვედი, ზეცის საპატარძლო ძველი ზღაპრიდან;
„სული წმიდისა ქნარო ნინო“ ევედრე ღმერთსა
და უფლისმიერ შენევნასა ჩვენსა, მოხედე!
რადგან ლხენიდან, ხორციელი ტკობის კარამდე,
აღარ შემოგვრჩეს შეიძლება გულით მოკეთე.
ააგიზგიზე გაიანეს, რიფსიმეს გულში
რწმენა – ქალწულთა წამებული გუნდიც იხილე!
მათი სულები ისე ნაზად აენტეებიან,
როგორც ნიავი ეფერება დილით ღიღილებს.
ფარავნის ტბამდე, შენი თმებით შეკრული ჯვარით,
მოხვედი: ფიქრით, სინანულით, დარდით,
სურვილით,
მცხეთელი მწყემსი მიგასწავლის საით იარო და
ურბნისამდე ტანჯვით ჩახვალ თმადაბურვილი.
წმინდაო, ნინო! რა ვედრებით, მზურვალე ლოცვით
ამსხვრევდი კერპებს და აჩენდი სეტყვის მდინარეს,
თავად კი, როგორც აღერილი ყვავილი თეთრი,
იდექი ლაღად და მორჩილად თვალებმღიმარე.
ზის დედოფალი შენს წინაშე და ლოცვას სწავლობს,
შესცქერის ნანას მთელი ერი და უსმენს მეფეც;
გაუჩინარდნენ საქართველოს ცაზე ღრუბლები,



გამთენიამდე ვარსკვლავებიც ოცნებებს კრეფენ.
რა სიჩუმეა მაყვლოვანში?! აყვავდა ბუჩქი
და ზედ კი ჩიტი შემომფდარა წითელნისკარტა,
სამთავროს ეზოს მოსდებია მლოცველი ხალხი,
გაისმა ზარიც. შუადღეა... შუქმა იმატა.



ველტყევის მონასტარი

„რაჭაში... სხარტალიდან ერთი საათი მივდიოდით ჩრდილო-
აღმოსავლეთით უდაბნომდე (განდევითა საყუდელი), სადაც
ჩვენ გავათიეთ წვიმიან ღამეში. ეს არის მართლაც
უდაბური ადგილი, სადაც ნ მოხუცი ბერი, რათა ღმერთს
ემსახურონ, მკაცრ ცხოვრებას ეწევა...
დგას ქვიტკირის ეკლესია,
რამდენიმე საუენი სიმაღლის ხის პატარა სახლებით.
გარშემო სულ ხშირი წიფლის ტყეებია, ადგილი მაღალია“.

გერმანელი მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი
ველტყევის (სხვაგვის) მონასტრის შესახებ
1772 წელი, 19-20 ივლისი

ამ მაღალ ადგილს ხან მზე დაჰნათის,
ხან წვიმიანი ღრუბლები ფარავს,
ახლა კი აკრთობს ზაფხულის ღამე,
და მთვარე მწყემსავს ვარსკვლავთა ფარას.

აქ ნამონასტრალ ლოდთა ლოდინში
ჩემი ფიქრების საღვთო ახოა
და მეჩვენება, რომ ზეციერთან
ამ ქედებიდან უფრო ახლოა.

იფიქრებ კაცი, რას გრძნობს ნანგრევი
წარსულში ლოცვად ანთებულ ტაძრის,
დრო რას დააჩნევს ღმერთისკენ ლტოლვას
ან ელვარებას ღვთიური აზრის?

საით მიდიან საუკუნენი
ზურგზე შესმული მწირი მხედრებით,



ან სუფევისკენ მიდრეკილ სულებს
თუ ვემსგავსებით ლოცვა-ვედრებით?..

ზოგჯერ შორეულ ანგელოზისკენ
გამეპარება იმედით თვალი
და მისი ფრთებით დაძრული შუქი
ჩამოიღვრება ზეციდან წამით.

ჩამოიღვრება და მყისიერად
რალაც ლმობიერ სიცხადეს მაძლევს,
შემეხოს იქნებ იმისი ფერი
და ყველა აღმართს სიამით დავძლევ...

ღამესაც ახლავს ნაზი ნათელი –
უცნაურ ელვად იფრქვევა მადლი...
მერე იღვიძებს უცნობი განცდა –
გადასულ დროთა ცოცხლდება კადრი:

ვიხსენებ – თითქოს მეც აქ ვიყავი,
ჟამების მიღმა, დიდი ხნის წინათ,
სტუმრად მიგვიღეს წმინდა მამებმა
და მთელი ღამე გვართობდა წვიმა.

იმხანად ჩემი გვარის კაცთაგან
მეფესთან ყოფნა მევალა უმცროსს,
იმ დღესაც ჩვენმა სოლომონ დიდმა
გამოგვაყოლა მოგზაურს უცხოს...

მეორე დილას აქვე ტაძარში
ვუსმენდი წირვას, სადილის შემდეგ
გამოგვაცილეს ბერებმა რიდით,
დაგვლოცეს და ტყის ნაპირას შედგნენ.



ულრანის წიაღს შეჩვეულები,
ნატვრას რომ წმინდა ლოცვებთან თხზავდნენ,
ცნობისმოყვარედ გვიმზერდნენ ერთხანს
ცხენებზე ლაღად აღმართულ მგზავრებს...

და გამოვყევით დროის მდინარეს
იქიდან, სადაც ფიქრებს მივდენი,
აქ ისევ ისე – ჰორიზონტებზე
უცვლელად თრთიან ზეცის კიდენი.

ეს საუკუნეც წყვილია მიჰკვალავს,
დუმილით უცქერს მიდამოს მთიანს –
სად მაშინ ენთო ტაძარი სხივად,
დღეს მხოლოდ მცირე სანთლები კრთიან...

იმედად ღმერთი დროდ განფენილი
კეთილს აღადგენს და ბოროტს ნაშლის,
იქნება სადმე ეს სტრიქონებიც
შემორჩეს, როგორც წარსულის ნაშთი...

დოსითეოზ ქუთათელი

*იმერთში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ
1819-20 წლების საეკლესიო აჯანყების ერთ-ერთი
მეთაური დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი)
ანანურის მონასტერში განისვენებს...*

მამულისთვის განწირულო,
ღირსეულო დოსითეოზ,
ამ შეშლილი ქვეყნის ფონზე
კიდევ უფრო მეტად მზეობ...
ფიქრს მოვყევი ანანურთან,



შენს საფლავთან დავიჩოქე,
არაგვს შეყოლილი მთები
იფერთხავენ ყვითელ ჩოხებს –
შემოდგომის ფოთოლცვენა
სხივნათელში ათოვს ქედებს,
ასეთივე ქარვისფერი
ჩვენკენ ჯრუჭს და მღვიმევს აწვიმს...
აქაური ტანჯვისათვის
ნეტარებდე იმ ქვეყანას
მარადიულ ოქროსფერში
დედა ღვთისმშობელის თვალწინ...
მეტად მიყვარს ანანური,
აქ რომ მკვიდრად განისვენებ,
გადმოუფრენს სული შენი
ხშირად იმერეთის სერებს...
გავიხსენებ წმინდა წარსულს –
თითქმის ორი საუკუნე
ჩამომდგარა ჟამთა შორის,
თვალი წვდება იმ უკუნეთს...
დაივიწყებს განა გული,
ამ მთებს ნისლით დანამულეებს,
ფიქრი მომდევს არაგვული,
ლოცვით მოვიანანურე...



მხრებდახრილი ჯვარი

როდესაც ლოცვა ჩემი
 შენი ღირსი გახდება,
 მიშუამდგომლე
 მხრებდახრილ ჯვართან,
 უფალი იგი მაღალია,
 მდაბალთა ხედავს,
 ჩემი სიმდაბლის
 ქსელს ვგონებ ვართავ.

როდესაც სავსე თავთავეები
 მოგცემს მოსავალს
 პური არსობის
 რომ გვაპოვნინო,
 მომიხსენიე, შემენიე,
 საზვერე სავალს,
 დაო, დედაო,
 ნმინდაო ნინო.

შენი თითების შეხებაა
 ივნისის დილა,
 შენი თმებია
 აშლილი სიო,
 მომეცი ძალა,
 რომ არ დავრჩე
 მხოლოდ ქადილად,
 რომ ფუტკარივით
 სკებს შევესიო.

გარშემო უცხო მიწაა და
 უცხო ხედები
 მეც უცხო ვარ და
 უცხოც არ ვარ თან...



როდესაც სული ჩემი
შენი ღირსი გახდება,
შენ შემენიე,
მხრებდახრილ ჯვართან.

წმინდა სოფია

შენს კედლებზე ქალწულეთი თვალებს ახელს,
მაცხოვარო, რწმენა ნეტარმყოფია,
დაინგრევა ადრიანე შენი სახე,
აშენდება დიდი წმინდა სოფია.

დაიდება საძირკველი პისტი, – რწმენა,
და ელპიდი სასოება გუმბათის,
სიყვარული, – ალაპისი ჩაინვნება
მასში, ვინც კი ტაძარს უფალს უმაღლის.

მოვლენ მერე ქალწულები საწამებლად
იმოდენა დამთმენელი სიმშვიდით,
ადულდება უღვთო სისხლი, აწამებ და
დემონებს სულს ფარსიანად მიჰყიდი.

დაემხოზა ნეტარი და ღირსი დედა,
ნაკუნ-ნაკუნ ამოკრებავს ქალწულებს,
გიშრის თმები ბამბასავით გათეთრდება,
წამებული ცრემლებს სისხლად აჰკურებს.

ბევრს მოერგო ადრიანე შენი სახე,
მაგრამ რწმენა ისე ნეტარმყოფია,
წაიშლება ყველაფერი რაც დასახე
წარუშლელი არის
წმინდა სოფია!



პეჩერის ლავრა

დნეპრის ნაპირებს გადაჰყურებს
 შენი გუმბათი,
 როგორც არასდროს, შენთან ყოფნის
 ხმამ მომიარა,
 ამოიტირეს ქვაბულებმა
 ლოცვა პურადი
 და მერესტოვის მთამ
 საკნიდან გამშობიარა.

ტყე კი ხვიარა, მწვანე ზენარს
 გინანილებდა,
 სიტყვას უფლისას ვერავინ და
 არა აფერხებს,
 მთას მსახურობდა ანტონი და
 უფლის არს ნება,
 მთა მსახურობდა პირნათლადვე
 ანტონს და ბერებს.

იმ უძველესი დღეებიდან
 დღემდე ასეა,
 მკერდდალენილიც გვინახიხარ
 მირონმდინარეც,
 გამმრთელებელი შენი მკერდის
 არის მესია,
 როგორც ალგაგო,
 გიმეორებს ისევ იმავეს.

შენი ბერები ყინვის გზებზე
 მედგრად მიდიან,
 დათვის შვილები აიყვანეს
 თავის შვილებად,



ადამიანს და ცხოველს შორის
ისევ ხიდია,
რადგან, რაც უფრო მეტს აჭმევენ
უფრო შივდებათ.

დატორილი და სისხლიანი
ახლაც დაგტოვეს,
სისხლის მდინარე ეღვენთება
საქრისტიანოს,
ღმერთო,
უფალო მოგვარიდე
დამპყრობელთ ტორებს,
ისე ჰქმენ ომმა რომ
მშვიდობა იმშობიაროს!



შენ, მამაჩემო...

შენ, მამაჩემო, ფერუსიზმრო ღრუბლის ღიღილო,
შენ, მამაჩემო... ვაზებს ბინდი შემოეპარათ
სად ჩამალულხარ, გაუშლელი ნისლო – მზის ღიმი
ხელისგულივით მეჩემება მთელი ქვეყანა...

შენ, მამაჩემო, სამყაროა ქარებშეშლილი,
შრება თავნყარო შელამებულ თვალეში ბავშვის...
ზენა ზამბაკის* ოცნებიდან დაღმა ვეშვები,
შავყვავილებით შემომხვდება სიცოცხლე გზაში...

შენ, მამაჩემო, ქარნატირი ესმით აქ გულებს,
სისხლი მონყვეტილ გვირილების ზეცას ატყვია.
ეს ტკივილების გაზაფხული ისევ მარგუნეს,
ბალახის ცრემლით გადავიხვევ მაჯებს ნატყვიარს...

ბალახის ძალით შემოვივლი მინდვრებს ისევე,
რომ მზიდან ფერი უხილველი ამოვიყვანო...
სად ნოემბერი ჯერგაუშლელ სევდას მისველებს,
ამ ოქროვანში მინდა მუხლი შენ მოგიყარო...

ყლორტი უბინო ამ ნოემბრის სულში მძინარე
ამ თვალებიდან იტირებს და ზღვად ივან-გოგებს...
ხელისგულეზად გადავაქცევ სიზმრის თბილ ნავეებს...
შენ, მამაჩემო, ჯვარ-ალსავლით გაიგალობე...

ზამბაკი* - სადაფი



დედაო ჩემო...

ცრემლი აია-სოფიას კართან

ცა მტრედის ლულუნს აქ აღარ ისმენს,
ნისლი დაბურავს იასამნისფერს...

ამოსევდილა მზერა ძე ღმერთის,
ამ განსაცდელზე მხოლოდ შენ გეტყვი:

თეთრი ზამბახით მიმზერ ხატიდან,
სამი წლის ხარ და მთაზე ადინარ...

დიდია კიბე ცად მიმავალი,
ლურჯია კაბა, ლოცვით ნავალი...

ამ სილურჯიდან პირველ სხივებით
მოგვეხილვები მადლმოსილებით...

მაგრამ აია-სოფიას ცრემლი...
ღალადისია, სამყაროს, ვრცელი...

მინავლულია ნათელი იგი,
„ბნელსა შინა სჩანს“ და მაინც... მიდის!

და მაინც ახალ სასწაულს ირგებს
და გაიცოცხლებს ღვთის წმინდა სიბრძნეს...

გუმბათი ისევ ნათობს სივრცეში,
კამარობს ცაში და სამოთხეში...

...დაბურულია ნაღვლით თვალები,
დედაო ჩემო, მწედ ხარ მთა-ველის...

შესამოსელი ხარ ძონეული –
ხარების დიდი დედა წვეული...



თბილისში მღერიან შაშვეები
და ჩემი ტკივილი გალობს...
ეს ცრემლი კირისგან ნაშენი
დაგვიდე ღრუბლიან თაბორს.

გამეხსნა სინათლის ჭრილობა,
მთვლემარე ვედრება მზეთა.
სიცოცხლე ტკივილით გამჭოლი
ასხივებს ჩაუქრალ სევდას...

მენატრი, შენს თვალებს ვფიცავარ.
მომყვება სურნელი ზღვათა...
როდესაც შორსა ვარ, ცისა ვარ
და ეკლის გვირგვინისთვის მზად ვარ...

გოლგოთა წითელი ვარდია,
ლექსია ნატირალ ველთა,
ქარების გულებში გავდივარ
ცხრა საფრენ წყაროსთან ერთად...

ქარების თვალებში ვანთივარ,
ვით პირველშობილა სხივი,
სიმღერით შევხვდები განთიადს,
შროშანი სინათლედ შლილი...

ეს ცრემლი კირისგან ნაშენი
დაგვიდე ღრუბლიან თაბორს...
თბილისში მღერიან შაშვეები
სევდიან სიცოცხლის სათრობს...



წმილა ქეთევან ნამიჯული

(შაჰ-აბასთან ამბად მიტანილი)

— აბა მითხარი,
რა ამბავი ჩამომიტანე,
რა ხდება შირაზს,
დედოფალი შედრკა, შეშინდა?
— ო, მბრძანებელო, მოკვდა ისე,
როგორც წმინდანი,
ზეცას უშიშრად მიაბარა
მან სული წმინდა...
— რას რომავ, ბრიყვო!
ვინ თქვა ზეცად ურჯულოს სული!
ტყუილს თუ ამბობ,
არ შეგრჩება შენც მხრებზე თავი!
თქვი რომ ყვიროდა,
რომ შიშისგან გაუსკდა გული,
ცრემლით, მუდარით სავსე ჰქონდა
ორივე თვალი!
— ალაჰის მადლმა, აბა ტყუილს
ვიკადრებ შაჰთან?
ცრემლი რა არის, ერთი ნვეთიც
არ დასდენია!
ჯალათმა ჰკეპა, ჯიჯგნა ხორცი,
მკერდი დაშანთა,
მას კი არც ერთი ამოოხვრა
არ დასცდენია.
უხმოდ იტანდა, ჩუმად საღვთოს
ამბობდა ლოცვას
და მხოლოდ ერთხელ —
უნდა გკადრო, დიდო შაჰინშაჰ, —



ამოიგმინა, ისიც მაშინ,
 ჯალათმა როცა
 შემოახია კაბა,
 მკერდი როს გაუშიშვლა...
 — წადი! გამშორდი!
 აღტაცებას ვერ მალავ, ბრიყვო!
 სასჯელს მიიღებ
 ამა ამბის შესაფერისსა...
 „ვერ მოვერიე, ვერ მოვკალი,
 ოხ, ეს რა მიყო!..“
 და ამის შემდეგ მოსვენება
 შაჰს არ ეღირსა...

.....

ვერ მოერიე, ქალს, აბასო,
 თითქოს უმწეოს,
 ვერ მოერიე მინას შენგან
 ბევრჯერ გათელილს!
 და შენს ცოდვილ სულს,
 ჯოჯოხეთის ცეცხლი უწევსო,
 საქართველოს კი ქეთევანის
 ადგას ნათელი!



მელავითნა

*ვუძღვნი ჩემს მოძღვარს –
დეკანოზ დავით შაქარაშვილს*

ღვთის მსახური ვარ,
ჩემი სიტყვა თუ ასურნელებს
ასე მასწავლეთ, ასე მიჩიეთ...
გმადლობთ, მამაო, თქვენ მაკურთხეთ,
თქვენ ამირჩიეთ!

ვალდებული ვარ
უსხეულო არსებებს ვგავდე,
უმანკობა, სიფაქიზე
ამკობდეს ჩემს სულს...
ბაგეზე მაღლი დამფენოდეს ყოველნამიერ,
მამაო, ეს მსურს!

შვიდგზის გავწმინდე სინდისი
და აქ ვდგავარ თქვენთან,
თუ ვდუმვარ – ღვთისთვის,
ვლაპარაკობ? – ისევე ღვთისთვის...
რაოდენ დიდი პატივია ვიყო მსახური,
დავიმსახურე, მამაო, რისთვის?

მიუწვდომელი სიხარულით
ვუგალობ უფალს,
ყოველი სიტყვა გულისგულში
ჩადის და მერთვის...
ლექსით მადლობის თქმა მინდოდა,
მამაო, თქვენთვის!



იესოს

ო, როგორ მინდა, ვგავდე კეთროვანს,
კურნების მაღლი რომ დაგიფასა,
და იმ ავაზაკს, ცხონების მპოვნელს,
შენი ღმერთკაცად შეცნობის ფასად.

ო, როგორ მინდა, ვგავდე მეზვერეს,
ტაძრის კუთხეში მხურვალედ მლოცველს,
მებაჟე ზაქეს, რწმენამიცემულს,
შენს დასანახად ხეებზე მცოცველს.

ო, როგორ მინდა, ვგავდე მეძავეს,
ცხარე ცრემლებით ფეხს რომ გილტობდა,
ხალხს, უფლის სიტყვის გაგონებისთვის,
უდაბნოში რომ შენკენ ილტვოდა.

ო, როგორ მინდა, მწამდე გულწრფელად,
რომ წყალზე მდგომი არ ჩავიძირო,
ვგავდე ასისტავს, სისხლმდინარე ქალს
და რწმენის ფსკერი მქონდეს უძირო.

ლოცვა

ტკბილო იესო და მეუფეო ჩემო,
შენი სიყვარული მინდა დავიჩემო,

შენი არსებობა ვინამე მე,
მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე.

ჩემო მაცხოვარო, ღმერთო, რომ იცოდე
უკვე ველარ ვითვლი იმდენჯერ შეგცოდე,



სულით დაცემულმა გინამე მე,
მინყალე მე, ღმერთო, მინყალე მე.

დამამდაბლებელი ფიქრნი გულში ვკეცე,
ასე გასვარული ვნატრობ, არ გამექცე,

სინანულის ლოცვით მინამლე მე,
მინყალე მე, ღმერთო, მინყალე მე.

გოლგოთამდე

*„წმინდა მოციქული იოანე არ მოშორებია მოძღვარს,
როცა იგი, შებორკილი, გეთსიმანიის ბაღიდან ანასა
და კაიაფას სამსჯავროზე მიჰყავდათ, თან შეჰყვება
მაცხოვარს მღვდელმთავრის ეზოში და მის
დაკითხვას დაესწრო; ნეტარი გოლგოთის გზაზეც
შეუდგა ქრისტეს, ჯვრის კვარცხლბეკთან იდგა და
ღვთისმშობელთან ერთად ტიროდა“.*

...პილატეა გაყინული გულით
და ღირსებას ფეხქვეშ ასე ქელავს,
გაფითრებულ მაცხოვართან ვდგავარ,
ვერა ვშველი და არც ითხოვს შველას.

კადნიერი მსახური ხელს არტყამს,
მიიმალა, ველარ ვხედავ გამცემს,
„თუ ცუდად ვთქვი, დამიმონწმე ცუდი,
თუ არა და მითხარ, ასე რად მცემ?“

ეკითხება უფალი და თავს ვხრი
რიბირაბო ბინდში იქვე მყოფი,



ვერა ვშველი და უცნაურ ამ დღეს
თვალთ ვეძებ იმ მოციქულყოფილს.

ვინაც ასე გაიმეტა ღმერთი,
განუწონა გულში ისრის პირი,
ვერა ვშველი გაფითრებულ ქრისტეს
მე ასეთი პატარა და მწირი.

ხელებს იბანს პილატე და ამბობს:
„თქვენი მეფე თქვენვე აცვით ჯვარზე!“
ოხ, ცრემლები მოუკლებლივ მცვივა,
ვერა ვშველი ჩემი გულის ჯავრზე.

ამღვრეული სულით ვდგავარ იქვე,
სპეტაკია უფლის თეთრი სახე,
რა შევცოდე ზეცასა და მიწას,
რომ ეს ჯვარცმა ჩემი თვალთ ვნახე...



ნინოს ჯვრით

ბოდინის ქალაში დაათოვს ასკილებს,
სად ხმაა არვისი და არარაისი,
წარმართთა კერპების დამსხვრეულ ნაწილებს,
ცა ფანტავს ნისლეზად „ცდომილი“ აისის...

ჯვრის ნიშით დაწყებულ გზას უკვდავებისას,
გზას განკურნებისას ვნებული მოგვების,
წმინდაო, მათ შენი ნათელი ეღირსა,
წმინდაო, შენთან ვართ, ფეხდაფეხ მოგყვებით!...

ჯავახეთს მზე დათბა, ვით ერთ დროს კოლასტას,
და მწუხრი არმაზის კედლებად დაიმსხვრა,
ველური ვარდები ყვებიან სონატას,
და მიწას ქართლისას ჰკოცნიან ნაისრალს...

დღეს ისევ გვჭირდები, ვით ერთ დროს მირიანს,
მზეშემობინდული ცის აიაზმებით,
დღეს ისევ გვჭირდები, სულს შერჩენილი აქვს,
იუდას ლალატის კვლავ მეტასტაზებით...

ბოდინის ქალაში ძველ სამარხებიდან,
იღვრება სინათლე, სითბოს და სინორჩის,
ნინოს გზით ქართველნო! წარსულის გზებით და
მომავლის ბილიკით, კვლავ წმინდა ნინოს გზით!



* * *

ნეტარო ნინო, ლოცვაზე მწუხრის
 ჩემი კანდელი სულ მიმქრალია...
 დგას გაზაფხული, სინათლით უხვი,
 და რომ ვერ ვთბები, რისი ბრალია...
 კერიას ისევ კვესავს ლადარი,
 გული შფოთავს და სული მდორეა...
 – სად არის მთები, წყლები სად არის...
 მოგსდევ მაშვრალი... ვით სიდონია...
 თუ გზა-ბილიკი გადაიკვეთა...
 რად ვეურჩები ქარებს, ჟინიანს...
 – იქვე დგას წყალიც, მთებიც იქვე დგას,
 ნუ გეშინია, ნუ გეშინია!..
 – ეს ჩვენებაა შორეულ ხმათა,
 არსად წასულა ნაძვიც და ფიჭვიც...
 წყალი გაჩერდა, ვით სისხლი ყრმათა,
 პირქუში მთები დაირღვა, იჭვის...
 ვისმენდი, ჩუმად დავინყე ლოცვა,
 ყველა ტკივილი ერთად მტოვებდა...
 მახსოვს მზის სხივის პირველი კოცნა,
 სახეს შეყინულ ქუთუთოებთან.
 როცა ნათელი, ცისკრის მხლებელი,
 ბროლის ნამსხვრევად მინას ეყარა...
 ვხედავდი, სვეტი, ხელუხლებელი,
 კვარცხლბეკზე როგორ ჩამოემყარა.
 ცამ მოახურა ოქროს მოვი ხეს,
 ის გაყვა ბილიკს, ვარდებთოვლიანს...
 თქვა – ქართველთათვის მაღლი მოვიდე!
 საქართველოსთვის ვქმენ, სიდონია!

ღმერთო ნუ გამიშვებ სულს!

რამდენი გაზაფხული,
რამდენი შემოდგომა,
გაქრა გავატანე წლებს...

ყინვასთან ნაბრძოლი,
მაისის მზის სხივი
საამოდ მითბუნავს ძვლებს...

თითქოს გარიჟრაჟზე
ვდგავარ ამ ცხოვრების,
სითეთრე მახსენებს წლებს...

ერთ დიდ გაზაფხულად
ვაქცევდი ცხოვრებას
ძალა რომ მოეცა ღმერთს...

რწმენის და იმედის
სიყვარულად ქცევას
მივუძღვნი სანუთროს წლებს...

და თუ კი შეგცოდე,
შენს ბილიკს გადავცდი,
ღმერთო ნუ გამიშვებ ხელს!

სამარაღუამოდ

ჯვარი დაგვყურებს
 მეფურად,
 სავსე ციური ალერსით,
 მარტო მოკეთეს კი, არა –
 მტერსაც მონუსხავს დაგესლილს.
 მწვანედ ბიბინებს
 არმაზი,
 ჭალას გაუდის ხასხასი,
 მტკვარიც მდოვრედა
 მდინარებს,
 ლაპლაპებს როგორც ატლასი.
 ორ წყალთაშუა ედემი
 სიამის გრძნობას
 გვანიჭებს,
 გაბრწყინებულა მირონით
 სვეტიცხოველის კარიბჭე!..
 აქ, შემოსულა პირველად
 ნინო, – ღვთისმშობლის
 წყალობით,
 რომ განენათლა ივერნი
 ქრისტიანული გალობით.
 ხელთ ეპყრა ჯვარი
 ვაზისა
 მოსდევდა ხევ-ხევ
 ბილიკებს
 ნასისხლარ-ნატერფალებით
 გულზე ცეცხლის ალს
 გვიკიდებს.
 ტანთ გაცვეთოდა სამოსი
 მაყვლიანით და ასკილით,
 დადევნებული ქარებიც

ახლაც ნინოს ხმით
გაჰკვივის!
მან აღასრულა ღვთის ნება
არ იყო ეს გზა იოლი,
ერთუროს უნმობენ
ზარები
ჯვარის, ბოდბეს და
სიონის.

.....

ვერ მოისვენებს
ურჯულო
(სად გავექცევით ქარ-წვიმებს),
სამარადჟამოდ ვემთხვევით
ნინო! შენს წმინდა ნაწილებს!!!

გზა ქრისტეანული

შემორჩა დროის მახსოვრობას –
თვალი და ყური...
დღესასწაული – პეტრე-პავლეს
ძველებურ მწყურის:
ლოცვა-კურთხევა ეზო-კარის
და მარან-ჭურის...
ტკბილი სურნელი ხმიადების
და ხაჭაპურის.
ღმერთზე და კაცზე წინაპართა –
მოუღლელ ზრუნვით:
გულგამლილობა სილალით და
ზეშემართულნი...
ცამდე ასულნი საგალობლით
და კრიმანჭულით.
მეც მიმდევარი საღვთო მცნების

და მიწის სჯულის...
ვით, გაცრეცილი პერგამენტი –
ქვა შელანჯული...
ადგილის დედის ალაგიდან –
ვერრა დაძრული...
სულმან ინდომა, – ეს გზა,
ეს ხსნა – ქრისტეანული.

**წმინდა ნინო**

თმებში გამონწილი ჯვარით,
ქართლის მომქცევლო ნინო,
კერპებს ფარნავაზთა გვარის,
სისხლად შეაგებე ღვინო.
სიტყვის მომცემელო უფლის,
ზვარაკ შეენირე როცა,
ახლაც საქართველოს უფლის,
შენი მოტანილი ლოცვა.
ღვთისკენ ივერიის დედავ,
მეოხ მარიამი მიწის.
ლოცვად გევედრები, ვბედავ,
ხატთან დამდებელი ფიცის.
წმინდა მოციქულთა კვალად,
პურის მომცემელო, ვაზის.
ერთი სიცოცხლე მაქვს ვალად,
მხარზე ანგელოზი მაზის.
წმინდად დავიტიე გულში,
ნინოს მოტანილი სიტყვა,
ხორბალს მივაბარებ ხნულში,
ქრისტე სახარებით ითქვა.



ეკლესია

დგას ეკლესია უელვარესი,
თვალს რომ მტაცებს და უმალ ვრინდდები,
დგას ეკლესია მკვიდრად ნაგები,
ადამიანთა სულის იმედი.

აქ მოესწრაფვის ახლა ეს მრევლი,
სად სხვა განცდაა, რა სანუკვარი,
მესმის ქართული საგალობელი,
მრავალხმიანი, ტკბილი და წყნარი.

არ ვლოცულობდით ოდეს მხურვალედ
და უარყვავით წმინდა ხატები,
ძმათა ღალატით, მუხანათობით –
გვნვაჟდა ტკივილი განუქარვები.

როცა ვეზიდეთ ჯვარი მაცხოვრის, –
წრფელი გრძნობები ძლიერ გვათბობდა,
აღარ დიოდა გესლის ღვარცოფი,
აღარ მეფობდა გაუტანლობა.

დე, კვლავაც შეგვრჩეს რწმენა უფლისა,
მივყვეთ მის მიერ მიღებულ წესებს,
და ვუერთგულოთ მამულს მუდმივად, –
ერთადერთსა და გასალმერთებელს.

დგას ეკლესია უელვარესი,
თვალს რომ მტაცებს და უმალ ვრინდდები,
დგას ეკლესია მკვიდრად ნაგები,
ადამიანთა სულის იმედი.



იესოს რწმენით...

დრომ –
კუნაპეტი დაუმკვიდრა
ნარმართებს,
ნავსებს...
ვინც არ ინამა,
მან –
საქმით და...
სულითაც ივნო...
კაბადოკია! –
ცა – ზამბახი, –
ვარდებით
სავსე...
იესოს რწმენით –
ზე, –
მზესავით,
ასხივდა ნინო!..

ბოდბეში ერგო:
მინის უბე, –
სულ,
ორი ადლი...
უსამანოა –
ნინო წმინდის
ღვთიური
მადლი!..



ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!

ქართლის ბედზე რომ გიამბეს ერთხელ,
 სიხარული გადაგექცა დარდად,
 მაგრამ, როცა გაგამხნევა ხილვამ,
 პირს ღიმილი მოგეფინა ვარდად.
 აღარ მოგცა მოსვენება ფიქრმა
 ღვთისმშობელის წილხვდომილთა ბედზე,
 თმით შეკრული ვაზის ჯვარით ხელში,
 გადმოდექი ჯავახეთის ქედზე.
 დაივანა მაცვლოვანის ქოხში
 სინაზემ და სათნოებამ შენმა,
 განანათლა ბნელი დიდმა რწმენამ
 და სიტყვამან სიყვარულის მშვენმა.
 ავედრებდი ქართველთ მუდამ ლოცვით,
 კრძალვით შენთან შესიტყვებას ვბედავ:
 – ძნელი იყო ეკლიანი გზაი?
 ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!
 ჰა, მას შემდეგ მოვდივართ და გვჯერა,
 ვაზის ჯვარი გზას გვინათებს ყველგან,
 თუმცა ბევრჯერ დაგვიჩეხა სული
 ტიალმა და უნდობარმა მტერმა.
 და ნათელი კვლავ დაფარა ბინდმა,
 მერე თითქოს დაგვაწინყეს თავიც,
 ლეგენდებად მოგვაჩვენეს იგი,
 რაიც სწამდა თამარსა და დავითს.
 სალათას ძილს დავეხსენით, მაგრამ,
 ვით ეგების, მაინც ვერა ვხედავთ,
 გაგვამხნევე და ილოცე ჩვენთვის,
 ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!



სულში ფიქრებს დავაფარე ლოცვა,
გაზაფხული წითელ ვარდებს ყვარობს.
იარები ვერადავერ მორჩა
და სარკმელთან შავი შაშვი გალობს!

ზეცას ცრემლი ჩამონმინდეს მთებმა.
ტიტებს თითქოს პირი დარჩათ ღია.
ჩაიქროლა ნიავევით წლებმა,
მე კი მაინც მარტოსული მქვია.

ისე როგორც შავ ღრუბლების ლაქა,
გულს ხალებათ ამჩნევია ფიქრი.
ჩაისუნთქა გაზაფხულმა ახლა.
თუმცა ალბათ ცოდვის ტვირთით ვივლი.

ავიკიდებ მადლით სავსე ხურჯინს!
და თუ ღმერთო უკვე არის გვიან.
შეენიე ჩემს სულიერ წუხილს!
მვედრებელი ლოცვანი რომ ქვია.

ამამღერე როგორც მთებში წყარო.
გამინელე გულში შავი ფიქრი!
ნება დამრთე ყველა შევიყვარო!
მერე უკვე სულ შენი გზით ვივლი!

ფიქრებიდან წავიკითხე ლოცვა,
გაზაფხულის გული ისევ ხარობს!
იარები სულს ლაქებათ მორჩა.
სარკმელთან კი შავი შაშვი გალობს.



პაცხის ტაძარი...

მარტის ჭირვეულ ამინდებით დადგა ავდარი,
ცას მტრედისფერი, გაზაფხულის კაბა აცვია.
დგას ცას და მიწას გახიდული ძველი ტაძარი
და მის თალებქვეშ საძვალეთა ქვები აწყვია.

დროის მტარვალ ხელს შერკინებულ ოსტატის
მარჯვენს.
თითქოს ზედ ცაზე უკიდია თლილი გუმბათი.
მის წმინდა ჯვარზე ცა-ფირუზი ღრუბლებად აწევს.
თრთის სამუდამო სამყოფელის ჩუმი სურათი.

სავედრებელი სიტყვებივით იწვის სანთლები
როგორც მლოცველნი მთები დგანან ფოლიანტები.
ფრესკებზე დროს სვამს აქა-იქა მწიფე მტევნები.
ხავსის ფერ ჯავშანს შეუმოსავთ გოლიათები.

ზღვა ვერ დაიტევს იმდენ ქვიშას, ვერც ცა
ვარსკვლავებს.
ამ აზვირთებულ სალოცავში რაც რომ მადლია.
ეს გაუმარჯოს მამა-პაპათ ძლიერ მხარ მარჯვენთ,
რომელთა ლოცვაც ქვებში ასე აუსახიათ.

ანგელოსებრი ხმები სტუმრობს ზარების ენებს.
კელაპტარივით ყველა დარდის მომამორებო!
დიდება შენი აღმშენებლის გადალლილ ხელებს!
ასე უტყვათ რომ შეგახსენებს; მომიგონეო!



მაცხოვარო

ეკლით გამოსავდნენ, მაცხოვარო, გტკენდნენ
ჭრილობებს,
ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი ღუმდა იუდა,
ცა შეემუსრა ცოდვის ტბორებს და უცილობელ
სიმწუხრის ზარებს დედამინის ცოდვა სტკიოდათ.

სისხლით შეღებულ განაჩენთან იდგა პილატე,
უსამართლობით კვლავ არჩიეს შენს თავს ბარაბა
და რამდენჯერაც ნანამებმა წყალი ინატრე,
ძმარი დასთხიეს, ჩირქი მოსცხეს სულის გალავანს.

(მეც თვალეზაკრულ გამყიდველთა ბოლო რიგში ვარ)
დამნაშავე ვარ, მაცხოვარო, ბევრჯერ დაგკარგე,
მაგრამ ვერ გტოვებ, შენგან შორსაც ველარ მივდივარ,
კაცობრიობის მარწუხებში არ ჩანს ავ-კარგი.

ეკლით გამოსავდნენ, მაცხოვარო, გტკენდნენ
ჭრილობებს,
ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი ღუმდა იუდა,
ცა შეემუსრა ცოდვის ტბორებს და უცილობელ
სიმწუხრის ზარებს დედამინის ცოდვა სტკიოდათ.



საალღომო

გარდამოგხსნიან ჯვარიდან სანამ
და დაიმგზავრებ ავაზაკს ცისკენ,
გასცდები ყოფნა-არყოფნის სამანს,
შეუნდობ სოფელს, ძეკაცის მიმცემს.

დავმდგარვარ ძელიცხოველის ქვეშე,
შენ გარდა თუნდაც მხედავდეს ნუვინ.
შენკენ ამონვდილ ცარიელ პეშვებს
ამოჰყვა ჩემი დაღლილი სული.

გულში დამიგე, მზევრცელო, ტაბლა,
ცხოველმყოფელი სერობის ლუკმა.
არ არის ჩემთვის ცხოვრება ალბათ
და მაინც მივსდევ მინიერს, უკმარს.

ყრუდ მიჩურჩულო პასუხი ეგებ,
ცად თუ გწვდებიან ლექსები ჩემი...
აამეტყველე დუმილი ეგე
ან დამასიზმრე გოლგოთის თხემი,

რომ ცოდვიანი მოვიკლა ყოფნა
და გადავადნო წარსულის ტვიფრი,
მეც მივეგებო საზარელ მყოფადს,
გადავაბიჯო ღამეულ ქუფრში.

შენ გარდამოგხსნეს გუშინდელ მწუხრზე,
საყდარში შენი აღმართეს ჯვარცმა.
არ მესმის სიტყვა, გულიდან ვუმზერ
ძირს სასიკვდილოდ დავარდნილ მარცვალს.



აღსასრულამდე ჩვენთან ხარ სოფლის,
მე კი ლოდინის ვარ ანაბარა,
არ დაივინყო თვალები ობლის,
წასვლამდე ვინმეს მეც მიმაბარე.

ბაგეგაუხსნელ სამოთხის კარებს
შეეხო მხსნელის ნამსჭვალი ხელი
და დარჩენილებს წარსულში გარეთ
კვლავაც განგველო კანკელი თხელი.



და როგორც მოსე, შენს წინაშე ვდგავარ, უფალო,
აღარც ცაი ჩანს, არც ხილული მთელი სამყარო.
შევდივარ შენი ღვთაებრივი ბნელის ნათელში
ზეარსებობის სახლიველად და სათაყვანოდ!

და როგორც მოსე, შენს წინაშე ვიხდი ფეხსაცმელს,
გხედავ და თითქოს შენი არის ჩემი თვალები.
არ იპოვება, ო, არრავინ, რომ შეგინაცვლდეს
სამი ჩირაღდნის ცეცხლით იწვი, ერთ ბრწყინვალეობით!

მე შექმნილი ვარ და ვერ ვუძლებ შენს უქმნელ ნათელს.
თუმც საკუთარი არსებობა მზარავს სრულიად...
და მეშინია და გეფარვი, სულს მიბერავდე
ყოფნა-არყოფნის სად ზღვარია, დასასრულია!

ო, საკვირველო, სახიერო, მარად უფალო,
ოდეს მეხები მარადისი დროი ჩერდება.
შეუცნობელი შეცნობისთვის გარდაუვალო,
თითქო გული ვარ ხორცადქნილი, შენ ჩემი მკერდი!

მანც არ ვიცი, საყვარელო, ნეტა ვინა ხარ?!
და როგორც მოსე, ფეხშიშველი ვდგავარ მე შენს წინ.
ნეტა, თუ მართლა მაყვლოვანთან ღმერთი მინახავს,
მდაბალმა მაღალს ვუპასუხე და გულით შევწვდი!

**გამალმერთეო...**

გამალმერთეო – რად მითხარი ჩემო შემშლელი?!
ნუთუ გინდოდა შენს წინაშე მუხლი მეყარა?!
მე კი ჯვარს გაცვი და არ მინდა შემოგეშველო,
ნადი... ამ ჯვარით მოიარე მთელი ქვეყანა...
როცა მიხვდები, რომ არ ვიცი როგორ ვილოცო.
როცა გაიგებ, მე თვითონ ვარ ლოცვის სიტყვები.
მერე გიპოვნი, ნატერფალი რომ დაგიკოცნო
იმ გზის, რომელსაც ჩემი მძიმე ჯვარით მიყვები...
გამალმერთეო – რად მითხარი ჩემო არჩივო?!
ნუთუ გინდოდა შენი ხატი რომ დამეწერა,
არ შემიძლია, ჩვენი ყოფა გადავარჩინო...
ჩემთვის ლექსია ღმერთი, რწმენა, ხატი, ფერწერა.
გამალმერთეო – რად მითხარი, როცა ღმერთამდე,
ჩემში ნაბიჯიც აღარ გაკლდა, თავსაც გწირავდი.
შენს სამსხვერპლოზე ვიცლებოდე, უნდა ვწვეთავდე,
რომ ჩემი სისხლი სხვა ღმერთების გესვა ინადით...
რადგან შენ თვითონ მოინდომე ჩემში ღმერთობდე,
მაშინ გიყვარდეს ჩემი ჯვარი, ჩემი გოლგოთა...
გინდა ღმერთივით მაშინებდე, რწმენით ვერ გთმობდე,
მაშ, შენც არ დამთმო,
გამწირაო ღმერთზე როგორ ვთქვა?
იცოდე თუკი გაგალმერთებ, შენი ხვედრია
ჩემს ჯვარს ეცვა და გზად შეიცნო ყველა პილატი...
აქ, ცოცხლებს შორის, ჯერ ღმერთკაცი არ
შემხვედრია...
შენ ქრისტე არ ხარ, რომ მოგკლა და აღსგდე
დილამდე....

ალილოზად თქმული*(ხალხთან ერთად ხალხისათვის ნამღერი)*

გაიღვიძე, სულო ჩემო, ალილო,
 შობა გათენებულაო, ალილო,
 ფერშეცვლილა მთლად სამყარო, ალილო,
 სიხარულის დრო დამდგარა, ალილო,
 მოყვასს ღამე დაათენდა, ალილო,
 შობის ვარსკვლავს შეეგება, ალილო,
 შობის, მანათობელსაო, ალილო,
 იქ ბაგისა გამბრწყინებელს, ალილო,
 აქ ჩვენს გულთა გამათბობელს, ალილო,
 ანგელოზნი უგალობენ, ალილო,
 მოგვნი კვლავაც თაყვანს სცემენ, ალილო,
 ჩვენც განწმენდილ გულთა მიძღვნა, ალილო,
 გვნადს და გზასაც შევდგომივართ, ალილო,
 რძისფერ ნისლი გარს გვარტყია, ალილო,
 ფიფქი ცრემლის ყვავილივით, ალილო,
 ციდან მოდის, გვათოვს ლხენით, ალილო,
 ჩიტი ჩიტსა მიახარებს, ალილო,
 წიგნი სახარებისაო, ალილო,
 თავდაპირველ ჩვენ განგვსწავლის, ალილო,
 ქრისტეს მახარობელთ მიყვავთ, ალილო,
 ზიარქმნილნი პურით, ღვინით, ალილო,
 უტკბეს ქვეყნად უმწარესზედ, ალილო,
 იშვა ქრისტე ბეთლემს შინა, ალილო,
 სულიც სხვაფერ გარდაქმნილა, ალილო,
 ვახარებთ მის არ მიმყოლთაც, ალილო,
 ლხენაც მათთვის გამოჩინდეს, ალილო,
 ქრისტეს მახარობლებს ვერთვით, ალილო,
 გული ჩვენი ნეტარ ხარობს, ალილო,

ქრისტე დაბადებულაო, ალილო,
ქრისტეშობას მოგილოცავთ, ალილო,
სხვა უნატრეს ვერსად ვპოვებთ, ალილო
სულთა ჩვენთა წრთობითა ემღერთ, ალილო,
ტაძრად ვდგავართ მთლად კრებული, ალილო,
წინაპარნიც გარდასულნი, ალილო,
შორებელნიც, ახლობელნიც, ალილო,
სულით ცხოვლით ერთურთსა ვგრძნობთ, ალილო,
ერთად ვდგავართ, ერთად ვხარობთ, ალილო,
წმინდის ნდომით ტაძარს ვაღწევთ, ალილო,
ქრისტეს ტაძარს, დამმკვიდრებელს, ალილო,
ჩვენი, ზეცის საუფლოს შინ, ალილო,
შვილნი გიმღერთ, მოგვეც ლხენა, ალილო,
უღვთო ყოფას აგვაშორე, ალილო,
სულით გლაზაკთ ძალა მოგვეც, ალილო,
ერთურთისთვის გვამსახურე, ალილო,
რომ სამშობლო აღორძინდეს, ალილო,
ძველთა-ძველი იბერთ მხარე, ალილო,
თავგანწირულ გმირთა დედა, ალილო,
ქრისტე დაბადებულაო, ალილო,
ქრისტეშობას მოგილოცავთ, ალილო,
სიხარულს ვერ იტევს გული, ალილო,
ბაგეთ გადმოსკდება თქმული, ალილო,
თითო-თითოს სიხარული, ალილო,
ერთობ მაღლობს, ზეცას სწვდება, ალილო,
ქრისტე დაბადებულაო, ალილო,
ქრისტეშობას მოგილოცავთ, ალილო.

**კვირიას სალოცავი**

როცა გაფანტავს დილის ბურუსს
სხივები მზისა,
ათასფერებად მოხატული
სინაზე მინდვრის
მთელი სიცხადით წარმოაჩენს
მშვენებას ღვთისას
და ამ სიუხვეს,
გადმონთხეულს ხატებად ცისკრის,
გრძნეულ ხელოვნის ნამოქმედარს,
ნააზრვეს მისას
ვუცქერ და... მიკვირს –
რატომ არ ვუსმენთ ყოველ დილით
გალობას ღვთისას?!
ვუსმენ და... მიკვირს.



ნანატრი დღე

დღეა ისეთი მშვიდი და სათნო,
სიზმრად ნანახი, –
მზე კორდს და ტაფობს მოაფარდაგებს
უფლის კარნახით!
რატომ მეგონა, სათნოება
მე რომ მიყვარდა,
ჩემი ქვეყნიდან სამუდამოდ
გადაიკარგა?!
თურმე აქ არის,
ფრთადაცხრილულ ოცნებებს უვლის,
რომ ამოზიდოს სამზეოზე
დამზრალი სული,
და შეგვახსენოს
ნუთისოფლის უმადურ მდგმურებს, –
ნებად ნათლისა,
სათნოება დაისადგურებს!



მოუსხდებიან სუფრას ჩრდილები,
 შეექცევიან ქარვისფერ ღვინოს...
 მხიარულობენ უფლის შვილები,
 ადღეგრძელებენ მზეს,
 წმინდა ნინოს...

ბერმუხასავით ღელავს თამადა,
 სული ივსება ცითა და ლექსით.
 თოვლი მოსულა სალოცავადა,
 ვითარცა ერთი უბრალო მწყემსი...

ცერზე დაიმხოვს გამოცლილ სასმისს,
 მზე დაისივით
 და გაილევა...
 გაიხსენებენ გმირობას ცხრა ძმის,
 რუსთაველის გენს,
 უკვდავ ქმნილებას...

შვიდმნათობიერს
 აქებენ თამარს,
 მალალი კლდენი დგანან მცველებად...
 შემოივლიან კურთხეულ მთა-ბარს,
 ახალციხელად
 და მხარგრძელებად...

ცას აათროლოებს ჩუქურთმა ვაზის,
 მხრებგანიერი სვეტიცხოველი...
 ანგელოზს ცრემლი მეჭეჭად აზის,
 ომში დაცემულთ გლოვობს მშობელი...

ხეთა შრიალში ისმის „ჩაკრულო“,
 შავჩოხიანი მღერის უღრანი...



ძვალნო,
უამრავ მტერთა დახრულო,
გჯიჯგნიდნენ მგელნი,
გხრავდნენ ტურანი!..

მაინც გადარჩა რნმენით მაღალი,
ჯიში და მოდგმა ველურ არნივთა...
ჯვარს ისახავდა ხელის კანკალით,
როცა იბრძოდა,
სისხლი აწვიმდა...

მომავლის ნერგებს იცავს მებაღე,
შვილი მზისა
და შვილი მთოვარის...
უფლის კურთხეულ გზაზე მენახე,
მეორედ მოვა როს მაცხოვარი!..

ოცდამეერთედ ივსება თასი,
ივსება სული
და სახარება...
როგორც მონამე ასიათასი,
აჩრდილებივით დგანან ჯარებად...

მირიან მეფის საუბარი წმინდა ნინოს

მე შენს თვალეებში ვკითხულობ სევდას,
ნათლიავ ჩემო, წმიდაო ნინო.
ცა ჩამომექცა ურწმუნო მხედარს,
და განსაცდელი ვით ავიცდინო?!

ვერ დამეხმარა კერპი არმაზის,
რომელსაც საწყალ მონებს ვწირავდი.



სიძვით აივსო ქართლის დარბაზი,
გასანმენდია ძირის-ძირამდე.

მუხლმოდრეკილი გვედრებ მიშველე,
უსიყვარულო ვნებამ ამრია.
საცოდავია მეფე შიშველი,
განწირულია მისი არმია!

ქარიშხალივით ვლმუი, მინამლე
და შენს თვალეებში ვკითხულობ სევდას.
ჩამოიშალა ზვაფი მინამდე
და საშველს მაინც ქრისტეში ვხედავ.



ჯვარი

*„ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი
თავი, აილოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.“
მათე 16, 24*

ვით ნიადაგი სინჯვას
მოითხოვს, ვიდრე დათეს,
ესრეთ ღვთის საქმის წინ ჯვარს
იძენ, გვარნმუნებს მათე.

თუ გიერთგულა მყესმა,
დევნა ტკივილს რომ გგვრიდა,
მაშინ იტყვი, რომ გესმა
ღვთის შეძახილი ჯვრიდან.

ზნედაცემული ხროვა
საკანში გსვამს თუ გიტევს,
მსაჯული მაინც მოვა,
მაინც ჩაამსხვრევს კლიტეს.

მართალს ჟამი რომ გსჯიდა,
თუნდაც გაძგერონ ქურვი,
უკვდავების წყლის ქიდან
შენ დაიოკებ წყურვილს.

მდევარ სანუთროს ბრძმედით
სული ცოცხლდება მკვდარი,
სულის წარმწყმედი ბედი
შეიმუხსრება ჯვარით.

არ გაგებზაროს ჯვარი,
რომელიც ღვთისგან გერგო,



თორემ იწრთობი სხვა რით
სასუფეველის ნერგო?!

შენ მანდ ილოცე, აქ – მე,
რომ შემსუბუქდეს ჯვარი,
ოღონდ აღსრულდეს საქმე,
ღვთისთვის რაც სათნო არი...

ვით ნიადაგი სინჯვას
მოითხოვს, ვიდრე დათეს,
ესრეთ ღვთის საქმის წინ ჯვარს
იძენ, გვარწმუნებს მათე.

პერიკატი

როცა მე საწუთრო შევიცან, იმ ბოლო
ჟამიდან მრავალგან ვხედავ ერთ ბერიკაცს
და სადაც ვერ ვამჩნევ, თითქოს ვით სიმბოლოს,
უხილავ დიდების ზვარაკად ვმზერ იქაც.

მას სახეს უღარავს ნათალი ნათელი,
რომელიც ცინიზმის ცუნამმა შენამა,
რომელიც ყრმობიდან სდევდა მის გათელილ
ღირსებებს, მცველად რომ მოაკლო ენა მათ.

უმანკო თვალებით ჯერ კიდევ ყრმამ დაისს
უცქირა, სალამო სხივებს რომ დევნიდა,
ჯერ კიდევ ყრმობიდან ციურ ცვარს სვამდა ის,
ღვთისმშობლის ხელებით ნაკრეფი მტევნიდან.

მზაკვარი ეპოქის მომხდური ბული მის
მამულში დოვლათს სწავას, ნალკოტი გადახმა,



ის დადის ტაძარში და ხატებს უღიმის,
ბავშვებსაც ამშვიდებს დამლოცვის სადა ხმა.

დადის და ცარიელ სამარხებს დასტირის,
ლოცულობს, სულში რომ ქერუბიმს ექროლოს,
რთულ გზაზე თუნდ ჩაკედეს, იცის, რომ ას ტირიფს
გრიგალი გამოჰგლეჯს მის ფარულ ნეკროლოგს.

სულმნათს და უშურველ – უხვეჭელს ანდე გინდ
ბელელი, იკმარებს უმცირეს ულუფას,
ასკეტურ ცხოვრებით მიაგავს განდევილს,
თქვეს: წყლის სმის დროსაც კი შეჰყურებს სულ უფალს.

სწორედ ის დააჩნდა მის ილბალს ლაქად, რაც
ემბაზის ნარნარი ტალღებით მან მუხთალ
საწუთროს მრავალი უარი აკადრა
და სულის ამო წყურვილი განმუხტა.

სათნოა მოხუცი, ყველა რომ მკვდარი ყავს,
მის სულში მინიერ სიტკბოთა ტაბუ ჩანს,
შურთ მისი სინმინდე, სოფელმა გარიყა,
ვისთვისაც ლოცულობს, ის იგდებს აბუჩად.

მე მიყვარს მოხუცი, რომ არ აქვს ღუმელი,
სამადლოდ მიწვდილ ცივს მადით რომ ჭამდა ღომს.
მეც ნეტავ, ამგვარი სიბერე თუ მელის,
სიბერემ მეც ასე თუ უნდა დამდალოს?!

როცა მე საწუთრო შევიცან იმ ბოლო
ჟამიდან მრავალგან ვხედავ იმ ბერიკაცს
და სადაც ვერ ვამჩნევ, თითქოს ვით სიმბოლოს,
ზეციურ დიდების ზვარაკად ვმზერ იქაც.



ღვთის კაცი

შენს სულს ჩუქურთმად გასდევს ზურმუხტი,
შენთვის უცხოა გრძნობები მჩატე,
შენ იმართები თავმდაბლურ მუხტით,
შენ გულში მთლიან სამყაროს ატევ.

ამიტომაც გყავს მბრძოლი მრავალი,
ჟამიც გესლიან ფიალას არ ცლის,
არავისი გაქვს შენ არც რა ვალი
გარდა შენდამი შურის და ღვარძლის.

თუმც გიტევს მტერი, როგორც გიურზა,
შენ მის მოქცევას გულით სთხოვ უფალს,
ლოცვით დებ მასთან ყოველდღიურ ზავს,
სხვის თვალში ბენვსაც არ ადებ ლუპას.

მშვიდს არ გჩვევია ემოციებად
და შფოთად სიმნრის აგიზგიზება,
ღვთის კაცს ვერ გითრევს შურისძიება
მრავალ პატარა კაცთა თვისება.



Κύριε Ελέησον *

დაბრუნება

აჰა,
მოვედი ტაძრის კარებთან
ძე დაცემული – ცოდვებით სავსე
და ღვთის საუფლოს ვუცქერ გარედან
და ცოდვის ჩაჩი მახურავს თავზე.
აჰა,
მოვედი,
მიმიღე ღმერთო,
რაც ცოდვა მანვეს მომწმინდე სულ მთლად
და აჰა,
ვდგავარ,
და ვიცი – ვყბედობ
და ეს ყბედობა მიხუთავს სუნთქვას.
მოვედი დღემდე ათასი ცოდვით
და მოვიტანე ჩემი ბილწება.
მოვდივარ მუდამ,
მოვდივარ ოდით,
თან მომაქვს ცოდვის არდავიწყება.
მიმიღე,
ღმერთო,
საუფლოს წმინდას,
მაცქირე თუნდაც კარის ღრიჭოდან.
ჩემს შეცოდებას მარადის ვზიდავ
დაბადებიდან რაც შემიცოდავს.
მხოლოდ შენა ხარ მოწყალე არსი
და განმწმენდელი ხრწნილ სამართა.
აჰა, მოვედი წმინდა ტაძარში
და ცოდვით სავსე ვდგავარ კარებთან.



სინანული

აღმივსე,
 ღმერთო,
 თვალები ცრემლით
 და ჩემი გული სინანულს გეტყვის.
 ვიყავი შენი ვაზი და მრევლი,
 ეხლა ვარ ცოდვით გადანასეტყვი.
 დე, ასე იყოს,
 დე, ვიყო მკვდარი,
 თუნდაც წამლეკოს წყალმა-ღვარცოფმა.
 შემაძლებინე, რომ გულის კარით
 განვაგდო ჩემი ცოდვილკაცობა.
 რომ სინანულად მოვიდე კვალად,
 რომ სიხარულით ავივსო მკერდი.
 დიდება შენდა...
 დიდება მარად...
 მკვდრეთით რომელი აღდეგინ ღმერთი!

სიტყვა

ჯვარს ეცვა იგი. ჯვარს აცვეს იგი.
 და იყო სიტყვა. და იყო ფიქრი.
 მილურსმნეს ხეზე სათუთი ტანი.
 თეთრი სხეული ჯვარზე ანამეს
 და იდგა მთელი ჰურრიასტანი,
 დიდი და მცირე, კაცით-კაცამდე.
 „ესე არს შვილი, ესე არს დედა“ –
 მის ცისფერ თვალებს მოაწვა სევდა.
 სამყაროს დარდი, ადამის ცოდვა,
 მხრებით იტვირთა უფალმა წმიდამ.
 „ჯვარს აცუ ეგე“ – უგნური მოდგმა
 კვლავ გაჰკიოდა გოლგოთის ძირთან.



და იგი, როგორც მეუფეს შვენის
თვალებს ილტობდა მათთვის ვედრებით
და იდგნენ მთასთან უძლები ძენი
და დაუღწენეს შუბით გვერდები.

ავაზაკი

და მეც უვიცი, ცოდვილი, ბილწი,
ვდგავარ და ვიცი, არ მაქვს შენდობა
და აჰა, ისევ სირცხვილით ვინვი
გვერდს რომ მივლიან, როგორც კეთროვანს.
ეჟვანშებმული ცოდვიან ხელზე
გოდებით მივალ აღთქმულ მინებზე.
მე ვარ, უფალო, გაკრულმა ხეზე
გულში რომ სისხლი ჩამომინვეთე.
მე ვარ, უფალო, ის ავაზაკი,
მე ვარ, რომელმან მრავალი ვცოდე
და უსახური, როგორც ვასაკა
გვედრი „მინყალე, მოხვიდე ოდეს“.

უძლები შვილი

მომენატრე და ისევ მოვედი
და შენს თვალებში ვეძებ იმედებს.
შენთან მოვდივარ ბოლოს ყოველთვის
და დასალუბად შენ ვერ მიმეტებ.
ვიხეტივალეშ შავბნელი გზებით
და ათას ცოდვას ვეზიარები
და მერე მოვალ
და შენით ვთბები
და ანთებული შენი თვალებით.
ვისვენებ შენში



და ვიკრებ ძალას
 და ვეძებ ხილვას ლამაზი წამის.
 ჩემმა ცოდვებმა შენ არ დაგღალა;
 ნუთუ არ კმარა რაც ჯვარს განამეს?!
 და უსახური ცოდვებით სავსე
 და სინანულის მადლით მოსილი,
 დავდივარ ასე
 და მადგას თავზე
 შენზე ფიქრები ანგელოსივით.
 ნუ დამავინწყებ ამ ძვირფას ფიქრებს,
 ნუ მიმატოვებ ცოდვებში ჩაფლულს.
 დიდი ხნის შემდეგ,
 ვინ იცის,
 იქნებ,
 აღარც მე ვგავდე თვითმკვლელის საფლავს
 და ჩემი სული, ცოდვებით ხრწნილი,
 ისევ აღდგეს და შენს გზაზე შედგეს.
 გმადლობ,
 რომ ქვეყნად
 არის სიკვდილი
 და სიცოცხლეა სიკვდილის შემდეგ!

*Κύριε Ελέησον (კირიე ელეისონ. ბერძნ.) – უფალო,
 შეგვიწყალებ



სამყაროს შენი იმედით ვხედავ

მე მზის ამოსვლას ყოველდღე ველი,
მინდა მიწაზე რომ ვიდგე მყარად.
სულით, სხეულით და სამშვიინელით,
უფალო, შენსკენ მოვილტვი მარად.
არაა ბევრჯერ ცხოვრება ამო,
სიმი უწყდება ხანდახან ებანს;
ვბორძიკობ ხშირად რალაცის გამო,
მაგრამ არ მაძლევ ნაქცევის ნებას.
შენით ვალამებ თუ ვხვდები დილას,
იქ მივალ სადაც შენ მიგელიან;
ათას წვრილმანში ვპოულობ იმას,
რაც წმინდაა და შენმიერია.
ჩემ ზემოთ შენი სამოსახლოა,
მაინც მოვდივარ მათოვს თუ მანვიმს;
შენამდე ხშირად ისე ახლოა,
რომ ვედარა ვგრძნობ ჩვენ შორის მანძილს.
სამყაროს შენი იმედით ვხედავ
და ვებრძვი მუდამ მტერსა და ართვალს;
ჭეშმარიტების შენა ხარ დედა,
შენ მარჩევინებ მტყუანს და მართალს.
ვინ იცის, სულს და ხორცს როდის გაჰყრის
დრო, რასაც შენი ნათელი შვენის
და შენგან შექმნილ ამ დიდ სამყაროს,
არ მოჰკლებოდეს წყალობა შენი!



საქართველოში მონაგა ქართველის სიკვდილის წინა ამოქანელი

*„ჩვენ სულელ ქრისტესთვის, ხოლო თქვენ
ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩვენ უძღურ, ხოლო თქვენ ძლიერ;
თქვენ დიდებულ, ხოლო ჩვენ გინებულ“. (1 კორ. 4, 10)*

ქრისტესთვის სულელს, სამშობლოსთვის გიჟი მიწოდეს, სულში მეღვრება სისხლად ჯვარზე გამსკდარი გული. მიჯობს შენს მიერ ადულებულ კუბრში ვინვოდე ვიდრე მახრჩობდეს მოურჩენელ ლალატის წყლული. და როს მოგწყურდეს ჩემი სისხლი დალიე პეშვით, არ მენანება სტუმრისათვის, თუმც მტერი ხარო. მინდა იცოდეთ! მე სამყაროს იმ მხარეს ვიშვი სადაც დედის რძეს თვით ღირსების გემო აქვს ძმაო. სადაც ყოველთვის გულმტკივანი დადის პოეტი, სადაც ყოველთვის ბრძოლობ რადგან იბრძოლო

კვლავაც.

მოუშუშებელ ტკივილთაგან დასერილ მკერდით დამაქვს სამშობლო, ვიცავ მოყვასს და მტკივა ჯვარცმა.

შენ ვერ მიგებ და გულზე მაყრი ზიზლით ნაკვერჩხალს, მნარედ კვნესარებ: – რა ძალა აქვს ასეთი ქრისტეს?!
– ხორცს ცეცხლში გიდნობ, ქვათა ცემით გიღენავ ყვრიმალს
და ტკივილს მხოლოდ ერთი სიტყვით – მადლობით –
იტევ.

მინის სუნთქვაა ნისლეზად რომ ატყვია მყინვარს, ცრემლთა დენაა ოდეს მინის ცვარით სველდები. შვილის სისხლთაგან გაცხელებულ მინის ოხშივარს გულს უგრილებენ განთიადზე ჩუმად დედები.



ასე რად გიკვირს, ცის და მიწის კაცთან ერთობა?
ან ყოველ სულში ღმერთი როგორ ვერ შეიცანნი?!
აქ ბრძოლის ჟინი სიყვარულის ცეცხლში იდნობა
ხმალი გულია, ფარი კიდევ გულის ფიცარი.
და შენ ურჯულოვ! თუ არ გესმის გიჟი მიწოდე,
თუ ვერ გაიგე ქრისტესათვის დადრეკა ქედის,
მაშ, ცეცხლში დამწვი, გამატყავე, მაგრამ იცოდე,
შენს ხმალზე უფრო, ჩემი სისხლი მთქმელია მეტის.
შენ ისიც გიკვირს მეტეხთან რომ მზეა ნითელი,
გიკვირს კრწანისთან მთვარე როგორ ნასისხლარია.
ქრისტეს სისხლია, მონამეთა სისხლი ქართველის,
ბარძიმი მისი ვერ დაცლილი კაპილარია.
შენ ვერ გამიგებ, ამიტომაც შენთვის ვარ გიჟი
და საგიჟეთი არის ჩემთვის შენი მახვილი.
მე ერთადერთი — ჩემი ქვეყნის ტკივილი მიჭირს,
მისი ოხვრაა — ჩემი სუნთქვა, ჩემი ძახილი.
ვიცი ჩემი ხმა გტანჯავს, დროა დაღვარო სისხლი,
დაღვარო რადგან სიყვარული გულს არ მეტევა.
და შენს წინაშე ქრისტესათვის დახრილი კისრით
ჯერ ცოცხალი და მერე მკვდარიც — შენზე მეტი ვარ!

„დიდება უფალს“ — მხოლოდ ამის თქმაღა მოასწრო,
გაცხოველებით, ნაკუნ-ნაკუნ დაუნყეს ჩეხვა.
იქცა სხეული უკვდავების სისხლიან წყაროდ
და ანგელოსთა ცხრავე დასი გარს შემოეხვა.
და უკვე მკვდრისთვის როცა გული უნდა გაეპო,
შეკრთა ურჯულო, მის ცხედართან თვალცრემლიანი,
მკვდარი ქართველის სხეულიდან გული აიღო
და ნახა — ჯვარზე გაპყრობილი ადამიანი.
ატირდა, მიხვდა რითაც იყო მცირე ქართველზე,
დიდება შენს ღმერთს! — სისხლიანი ცრემლებით
ბღავის.



მარადისობის სისხლით მორწყულ ამ წმინდა ველზე
ამ ქართველივით, მასაც მოსჭრეს ქრისტესთვის თავი.

გიყვარდეს ნიშნავს — მე შენს გამო სიკვდილიც მინდა,
თავგანწირვა ხომ ეს ყველაზე დიდი ნიჭია.
თავისი სისხლით, თავის სულის გზა გაინმინდა
და ქართველივით ახლა ისიც სხვისთვის გიჟია.

ვიცი სიყვარულს ვერასოდეს გაუპობენ მკერდს,
რადგან მხოლოდ მას მორჩილებენ ქვეყნად წამები.
მხოლოდ შენ გეტრფი სიყვარულო, შენ იმ ერთადერთს
რისთვის სიკვდილსაც — სიხარულით დავენაფები.



დიდება უფალს!...

დიდება უფალს! ნამუსრი ძმები
კვლავ იხსენებენ წმიდა გიორგის...
ისევ გაბრწყინდა კაზმული ქვეები
ნეტარი ცრემლით სხალთის დიოფლის.

ისევ შემოჰყვა სამხრეთულ ქარებს
საკმევლის სუნი, ლიტანიობის...
და ბნელ ქონგურზე ნაგვემი მთვარე
გამოკრთა, როგორც სული იობის...

დღე დაინმიდა ღამის ლოცვანით,
დაჰყვა ხევ-ხევებს ღამეთა კუპრი,
ხირხათის ქედზე ძე – თოროსანი
ქათქათებს, როგორც ნაფლეთი ღრუბლის.

იციან ჩემმა გულჯავრა ძმებმა –
მალია მისი ფარი და შუბი! –
და სიკვდილითა სიკვდილის ძლევაც
ძველია, როგორც კურთხევა უფლის.

დატეხილია ვადაში ხმლები,
მტერი თარეშის სურვილს იოკებს
და აჭარლები – ნამუსრი ძმები
კვლავ იხსენებენ წმიდა გიორგის!..



შემინდეთ დედაო

*ქვ. მაჩხაანის წმინდა სამების მონასტრის
დედებს და მორჩილებს*

შემინდეთ დედაო, მოვედი თქვენამდე,
აქ თქვენში ყველაში, ხომ უფლის სძალია?!
ვმადლობ, მის ნყალობას ყოველთვის ვხედავდი,
ეს სული ურწმუნოდ მთლად ამორძალია...
შემინდეთ დედაო, რომ მიყოფთ კელიას,
თქვენი ვარ მორჩილი, (გრძელ თმასაც ჩაგინნავთ)...
აქ მოსულთ მონასტრის ხატები გვშველიან,
ლოცვებმა მიარა ნეკში თუ ლავინში...
შემინდეთ დედაო, ავტირდე, მერე რა?!
მოთმენით ცრემლების დარაბებს დავხურავ,
თუმც დედა-შვილობის სურვილი მერევა,
მე მაინც დავრჩები იესოს მსახურად.
შემინდეთ დედაო, დავტოვე ამბორი
თქვენს წმინდა ლეჩაქზე (თქვენივე კურთხევით),
ეგ ჩუმი ბაგენი ბევრ რამეს ამბობენ,
ილოცეთ არ მოვხვდე ცხოვრების კუთხეში...
შემინდეთ დედაო, მონასტერს უხდებით,
მე ცოდვილს არ მეყო ძალები დარჩენის,
დავმალე ლოცვისას ნატკენი მუხლები
და ერში დავბრუნდე – ვაკეთებ არჩევანს,
შემინდეთ დედაო!..



შენი ცხენები

ანა იაკობაშვილის ლეგენდარული ნახატის მიხედვით

ცივა ხელებში, სტრიქონებში, მცივა შენს იქით,
ლალი ზურმუხტი გაუნყალდათ ტყეებს, ველობებს,
შენი ცხენები დარახტულნი მენამულ ფიფქით
მიაქროლებენ თვალებს ციურ საქართველომდე.
მიაქროლებენ დაუცხრომელ სიცოცხლეს სისხლის,
თოვლის სიცოცხლეს, დამნუხრებულ სიცოცხლეს მიწის,
მე ღვთისმკლავება ნინოს ჯვარიც უსასოოდ მღლის
ეხეთქებოდათ ბედაურებს ომი კრწანისის.
და დედამიწას საუცხოოდ ისე კარგავენ
სიტყვა გაუნყადა გაცოცხლებულ ცრემლს და ბარათსაც,
შენი თითები ჩემს უძღურ სულს ისე ქარგავენ,
ვით დედის სახეს ვეფხისა და მოყმის ბალადა.
შეემზიანა სივრცეს ჭავლი მგზნებარ ტიტების,
დაემსხვრათ თალი, ქარვისფერი ხატება მთვარის.
ძვირფასო ჩემო თვალსანიერს, შენს ლამაზ თითებს
ედება ბროლი იაგუნდი და ავი თვალიც.
გახვითქულ ცხენებს ლურჯი სევდა და განთიადი
მძლავრი ფლოქვები ველარ შეკრა მიწის ძახილმა,
მხედრებს ძვირფასო მიეძინათ ომის წყვდიადში
დაუღაფნავი დაგრჩა მათი შუქი და ყინვა.



შავი მარბალიტი

იდგა მაშინ მეჩვიდმეტე საუკუნე,
წელი იყო საუკუნის ოცი
და მუხრანის სადედოფლო სანახებში
მნიფდებოდა, შავდებოდა მოცვი.

გრემის ახლოს დაუვარდა მზეს მტევანი,
(მზესაც ჰქონდა, თურმე ცრემლი, დარდი)
სულთათანას ლოცულობდა ქეთევანი
კახეთიდან შორს, შირაზის ვარდი.

ისჯებოდა საქართველოს დედოფალი,
სიკვდილის წინ აღავლენდა ლოცვას,
სანახელში თავს იკლავდა რქანითელი
და ცრემლები მოსდიოდა მოცხარს.

გათენდა და რა გათენდა თუ გათენდა?!
ზეცას ჰქონდა ისევ ღამის ფერი,
დაღამდა და არ დაღამდა! – გადათეთრდა...
ავარსკვლავდა ზეცა ნათლისფერით!

ააღდა და რა ააღდა, დაიშანთა,
აღარ კვნესის წამებულის გული,
ისმის ღრენა და ყიჟინი შაითანთა
(კრულნი იყვნენ, კრულნი იყვნენ, კრულნი!)

მაგრამ ჰოი, ღმერთო, შენი საოცრება!
გადმოფრინდა ციდან ორი გვრიტი,
ცეცხლში ინვის საქართველოს დედოფალი
და ანათებს შავი მარგალიტი!..



სიზმარი

ნუხელ ვნახე სიზმარში,
ლურჯფაფრიან ცხენებით
უკრაინის სტეპებში
მკვირცხლად მივაჭენებდი!..
უცებ ჩიტი აფრინდა
მზესუმზირის ყანიდან
და ბუმბულით შევიცან
მწყერი ლამისყანიდან!
ნუხელ ვნახე სიზმარში,
ლურჯფაფრიან ცხენებით
უკრაინის სტეპებში,
ლაღად მივაჭენებდი!
შემეგება ლამქარი
დაფითა და ყიჟინით,
სამშობლოსთვის დამშვრალი,
დავით გურამიშვილი.
ნუხელ ვნახე სიზმარში,
ლურჯფაფრიან ცხენებით
მირგოროდის ტაფობში
მშვიდად მივაჭენებდი!..
ცეკვავდა და მღეროდა
ლურჯი კაბით ნიავი,
სამშობლოში მომქონდა
ნიგნი „დავითიანი“...
ნუხელ ვნახე, ჭენებით
დაქანცული ცხენებით,
მოვყვებოდი დარიალს
უკვე სვენებ-სვენებით!..
მზე ჩავიდა, დაღამდა,
მთვარე ჩადგა კარავში,
ბეჯითობდა ბიჭუნა
ნიგნით ლამისყანაში!..
ნუხელ ვნახე სიზმარი...



ბაიოზა

მიმოზები, ტიტები და გვიანი იები
გეგებება მიმავალს ნყება,
ნყება,
ნყება.

ცოდვა ცოდვას მიება,
გინდა მონანიება,
გინდა მაღლით ავსება,
ბრალის დავინწყება.

გინდა აღიარება,
შვების ცრემლთა ღვარება,
(ვისაც ელი –
ამქვეყნად აღარ იარება).

მოთმინება იობის,
ჟამი ლიტანიობის,
წრფელი, საყოველთაო
ლოცვა-ზიარება

გეზიდება, გინდება,
გეყოს გამბედაობა,
მასთან აღარ დაება, ვინც უფალს ედავება,
სული დაიობა.

ნულარ შეგემინდება, შენც ითხოვო შენდობა,
ლოცვა ნუ მოგწყინდება!
ზეცა მაღლით ბრწყინდება,
უხმობს ყველას ტაძრისკენ ბზობა-ბაიობა.



„დე იყოს ქართლოს“... ჩამსახეს ფრაზად,
მტკვარს მიმაბარეს, წყალს ქართა მდევარს...
მე დავიბადე მცხეთასთან ვაზად
და ჩემმა ლერწმა აჯობა მტევანს...

ქალწულის თმებმა მაქციეს ჯვარად.
ხან მწვავდნენ, ხანაც მიგებდნენ ტაძრებს.
სინათლის მტერი მეხვია ჯარად,
ქვაში შევედი და ველარ დამძრეს...

ხან ვიყავ ლოცვა, ხან უფლის ძღვენი,
ხან ამოვსულვარ საყდარში ცაცხვად,
ხან შემიგდია ენგურში ცხენი
და სიამაყით ვქცეულვარ შავ ზღვად...

ვყოფილვარ ვეფხი, ვყოფილვარ მგელი,
ალგეთზე მტერი მიხრია სამხრად,
მხატვარი-ხურო და სატრფოს შველი...
ერთს მიმღერია უფლისთვის სამ ხმად...

ისე ვინამე, თავად მიწამა:
მიწოდა ქართი, სვანი და ლაზი...
მე თიხა არ ვარ, მე ის მიწა ვარ,
სადაც საჯვარე იზრდება ვაზი...



მამულს მიმიხედეთ

მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!
 ეს რა გასაჭირი გვჭირს,
 სამშობლოს ხელიდან გვაცლიან,
 სხვა რამ ნაუღია ჭირს.
 მცხეთას ეტირება არაგვი,
 ილორს თეთრი ჩადრი ჰფარავს,
 რამდენ გადამთიელს გავუძლოთ
 თურქს, ირანელს თუ არაბს?
 ყინწვისს ანგელოზი დამფრთხალი,
 შიშით გადაჰყურებს მთებს...
 მეჯვრისხევს ლორთქო ალუჩას
 რუსის ჯარისკაცი კრეფს.
 შვილები გვიკვდებიან შიმშილით...
 ანჩს სისხლის მირონი სდის.
 ძმები, ბანკის რიგში სირცხვილით
 დგანან, ფულს ელიან დის.
 დედები, სიღარიბეს გაქცეულნი,
 სხვის კართან პირისფარეშობენ.
 სამშობლო კოჭამდეა დაქცეული
 და ავაზაკები თარეშობენ.
 მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!
 ვაჟას ლექსს, ცოტნეს ბაირაღებს,
 ვარძიას თმოგვის ციხით უდარაჯეთ,
 ქსანზე ქართლის მინდვრებს, ატმის ბაღებს.
 ენგურს, ამორძალთა საბანაოს,
 ჭოროხს, სისხლი რომ აქვს ხალიბების,
 სოფლებს, წინაპართა სასაფლაოს,
 მიწებს, ხარკში გვართმევს ხალიფები.
 საყდრისს, გულგაფლეთილს მგლოვიარეს,
 გარეჯს, უტყვ გუშაგს და მდუმარე ბერს,
 მთელი საქართველო მოვიარე
 თითქოს, ვედარ ვშველი ვედარაფერს.
 მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!!!
 ბიჭებო, საქართველოს მოუარეთ!!!



ვეღრება

დედა ღთისავ შენს კალთაში
თავი ჩამადებინე,
გულთან ახლოს ჩამიხუტე,
ლამე გამათევიანე.

ქრისტე ღმერთის სალოცავი –
ყველგან ამაგებინე,
საღმრთო საქმის გაკეთების –
თავი გამართმევიანე.

მეცხრე ცაზე დამავანე,
ფეხი დამადგმევიანე,
ოქროსფერი ვარსკვლავები –
ბლომად დამაკრეფინე.

მართლმორწმუნე ქართველთათვის –
ფეხქვეშ დამაფენინე,
ყველა დარდი და ვარამი –
მშვიდად დამათმენინე.

ჭირთაშიგან გამაგრების
ძალა შემაძენინე,
მტერთა ზედა გამარჯვების
ლხენა, შემაგრძენებინე.

ყოველი დღე მშვიდობით და
ლოცვით გამათევიანე,
სიყვარულის ჩირაღდანი
ქვეყნად ამანთებინე!



მცხეთა

ტაძართ შორის უპირველეს –
 მერცხლის გუნდი ესევა,
 მზე დანათის სვეტიცხოველს,
 სხივი ეალერსება.
 როცა ირგვლივ არემარე,
 ბნელით შეიმოსება,
 მის გუმბათზე ჯდება მთვარე,
 ცისკარს ესხვიოსნება.
 ხალხის ლოცვა ადის ღმერთთან,
 – დაგვიფარე უფალო,
 არაგვი და მტკვარი ერთად,
 ძილისპირულს უგალობს.
 იმედები ჩნდება ტკბილი –
 გულო, სევდით მოცულო,
 მაყვლოვანში დაჩოქილი,
 წმინდა ნინო ლოცულობს.
 ხმას გამოსცემს გულის ძგერის,
 გაცვეთილი სამოსი,
 მრგვალ კოშკიდან გადმოგვცქერის
 წმინდანი და სალოსი.
 ნელა, მაგრამ საქართველო,
 სულ თანდათან ბრწყინდება,
 ღვთისმშობელო არ მოაკლო –
 შენს წილხდომილს დიდება.
 მოდუდუნე მტკვრის ტალღა ქუხს,
 არაგვს ამბებს უყვება,
 სამთავროში მირონი დულს –
 აქ მობრძანდით სუყველა.
 თუ ვინდომეთ – გვეხერხება,
 ჩვენ გატანა ლელოსი,
 მცხეთა არის უწმინდესი –
 გული – საქართველოსი!



გზა რა შორია...

რა სიდიდეა, რა სიმიდრეა,
სინმინდეს რომ გრძნობ ხეში ყოველში.
სულ სხვა ხიბლი აქვს, სულ სხვა მადლი აქვს,
სანთელს ანთებულს სვეტიცხოველში.
ვერ ვინ დაგვამცროს, ვერ ვინ დაგვეჯანოს,
მტერს – მოყვრად მოსულს ჯანი გავარდეს,
რა სილაღე აქვს, რა ტკივილი აქვს,
არტანუჯს, ტაოს, იშხანს და ხახულს.
რატომ დასცდება ფარული ოხვრა –
მტკვარს-აქაფებულს მეტეხის ხიდთან,
მტერს ყველაფერი დაურჩა ოხრად,
ნანამებ ქართველს ვინაც სულს ხდიდა.
რა საიდუმლოს ინახავს ზარზმა,
რომ დგას ამაყად – არ იჩენს ბზარებს,
სულ სხვანაირი ნკრიალი გააქვთ –
საცისკროისას შემოკრულ ზარებს.
რატომ გვიზიდავს გარეჯის მადლი,
უფალს რა სთხოვეს დიდმა მამებმა?
იმედად მოჩანს ელიას მთაზე
წამომართული – წმინდა სამება.
რა საუნჯე აქვს სიონის ტაძარს –
სიოს მონაბერს თოვლიან მთებით,
სულ სხვა ძალა აქვს – სხვა ანდამატი,
ვაზისჯვარს შეკრულს ქალწულის თმებით.
რატომ სდის ცრემლი სურამის ციხეს,
რატომ ბობოქრობს კრწანისის მინა?
რატომ მღელვარებს სიოს ქროლვაზე –
ბავშვის ცრემლივით კაშკაშა მინა?
სიმაღლეები დასაძლევია,
რახან, ქართველო, ღმერთს ბედი ანდე,
გზა რა შორია, გზა რა ძველია,
გზა რა ძნელია – გზა ბედიამდე!



**ო, ღმერთო ჩემო,
მინყალოზე იობის რწმენა!**

ო, ღმერთო ჩემო, მინყალოზე იობის რწმენა,
და მერე თუნდაც გამახვიე უდაბნოს ნისლში,
დე, აიშალოს ყვავ-ყორნების წყება და წყება,
ვიცი, მოხვალ და სასოება დაკარგულს მიხსნი.

ტკივილი, ჩემი, უსაზღვროა და უნაპირო,
და-ძმა დავკარგე, გალესილი ხმალი მცეს კეფას,
ჩვენს მამულს მუმლი შესევია, ხრავს და ნადიმობს,
ყურში ჩამესმის საზარელი ურჩხულის ქშენა.

ამოშანთულა დედამინა წელთა სიავით,
ბოროტეულის არ კლებულობს ძალა, სიმძიმე,
ისევ განიცდის ზნეკეთილი ავთაგან გვემას
და ვეზიდებით მძიმე ლოდებს, როგორც სიზიფე.

პირგამშრალი და დამაშვრალი სამყაროს წიაღს
შენი ნება თუ გადაარჩენს, მოურჩენს წყლულებს,
იობის რწმენა აღგვადგენს და არ მიგვცემს ზიანს,
უკვდავების წყალს დაგვაპკურებს ქართველებს გულზე.

და რაღა არის სიყვარული, თუ არ გინამეთ,
ან და რა არის ჯოჯოხეთზე მეტი ნამება,
ცეცხლში გახვეულ დედამინას თუ არ ვუნამლეთ,
მაშინ აღარც ღირს ცხოვრება და სულის წვალება.



ყვავილს ვგავარ ბრონეულის

ბზობის მადლით ავსებული
ყვავილს ვგავარ ბრონეულის,
გულში ღვივის სიყვარული
ღვთის შენევნით მოწეული,
ყვავილ-ყვავილ, ბურქებ-ბურქებ,
ვენახ-ვენახ, ეზო-ეზო,
ხელებს გვინვდის მადლით სავსე,
ყველა ქვაზეც მადლი ძევსო.
ბზების სურნელს აყოლილი
გული თითქოს ზეობს ცაში,
ზნეკეთილი ნაყოფივით
ზურმუხტოვან ტოტებს გაშლის,
მოლაღურის მოძახილით
ხარობს ზეცა, სამოსახლო,
ზეანვდილა უფლის ხელი, –
ჯვარი უნდა გადმოგვსახოს.
ატეხილი ტყე-ჭალები
მიელტვიან ღრუბლის ფთილებს
და ტაძრები, მზენაფერი,
სამომავლოს გვგვრიან იმედს,
რომ იესოს მზერა მნათი
ავგაცილებს ტკივილს ბედად,
ცისარტყელა ფერებს გაშლის,
ვერ გაგვტეხავს დრო და სეტყვა,
არ ექნება დასასრული
სიკეთეს და სიტყვას უფლის.
ბზობის მადლით ავსებული
ყვავილს ვგავარ ბრონეულის.



წმინდა ანოტ კურაკალატს!

საკურთხეველში განგმირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
ტანჯვისთვის გამოგიმეტეს, სისხლი იღინეს კედლებმა,
წმინდაო, ზეცად ამალღდი, აღმოცენდები კედარად,
თესლი ჩვენს გულში მარხია, სიცოცხლე შენით

გვედარა.

მონამეობრივ აღსასრულს საღვთო საქმენი უძლოდა,
სამშობლო მიწის ტკივილებს ეფარებოდი სუროდა,
აღმშენებლო ტაძრების, დიდი გრიგოლის რჩეულო,
მეფეთა შარავანდედში სიქველით გამორჩეულო.

მეფეო, ქართველთ სარდალო, სიამაყევე და აბჯარო,
ჯაჭვის პერანგი გემოსა, არ ახარებდი არაბსო,
დევნილს ღვთისაგან გეუწყა, – ერი გრჩებოდა

სარჩენად,

ვერ დატოვებდი სამშობლოს, მან დაგილოცა მარჯვენა,
ფარავნის ტბასთან გამართე ბრძოლა სარკინოზთ

ჯარებთან,

პატარა რაზმით სძლიე და სახლში ირჩიე დარჩენა.

საბერძნეთს აღარ წახვედი, შავშეთ-კლარჯეთში

დასახლდი,

გორგასლიანი მახვილით იბრძოდი კუბოს კარამდი.

საკურთხეველში განგმირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
სისხლის წვეთები არტანუჯს ჩამოღვენთია ცრემლებად,
მოგიხელეთეს და გაგწირეს ღალატით გმირი, მზისდარი,
დოლისყანელთა მისდიეს, არ დარჩათ ამბის მიმტანიც.

ბაგრატიონთა მამაო, კარგი შვილების აღმზრდელო,
აღდგომას ისევ აღსდექი, მადლი მოჰფინე მთა-მდელოს,
შენს აშენებულ ტაძარშიც, მოციქულთ პეტრე-პავლესი,
აღვლინდეს ლოცვა ქართულად, კვლავ გვეზეიმოს

პასექი.

ფაქიზი გქონდა გულისთქმა, შეუბღალავი სახელი,
ღიაცი იგი სიძვისა, დასთმე, ღვთის კაცთა დაჰყევი,
თითქოს წყლის პირას გაგიტყდა უძვირფასესი ხელადა,



ემშაკსა სძლიე, ვაჟკაცი ვერ გაივლიდი ცერადა.
ზარით გიტირა ქართველმა, შარავანდელით შეგმოსა,
ერისკაცს გადმოგაყარა ცრემლი შენდობა-შელმობად,
საქრისტიანოს ჯავარო, მარჯვენავ გრიგოლ ხანძთელის,
მან დაგიტირა მდულარე წმინდა ცრემლების

დაფრქვევით:

„ჰოი, მეფეო, ძლიერო, ეკლესიათა ქვითკირო,
აღმოსავლით და დასავლით სრულ მორჩილებას მკიდო,
ჩრდილით ანუ სამხრეთით ხელმწიფეთ იწყალვიდო...
დაგვინყვდიადდა ნათელი, ცას გადაეკრა ბინდიო.“

დიდი ბაგრატის აღმზრდელი, მამავ და ძეო გმირების,
სხეულში შენი სისხლი ჩქეფს, სული გვიდგია

ვიდრემდის.

მეფეო, კურაპალატო, დიდებულებით აღვსილო,
ქველო და აღმშენებელო, სულის საზრდოვ და ნანდილო,
შენს დიდ საქმეებს შევნატრით, გაგვიცისკროვნე

სავალი,

მნედ და მფარველად დაგვიდექ დათრგუნვად

ემშა-სატანის,

მზის წილ სინათლედ მოჰფინე ღვთივკურთხეული

საქმენი,

ლომი იყავ და გაბრწყინდი წმინდა ხანძთით და

შატბერდით.

საკურთხეველში განგმირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
ტანჯვისთვის გამოგიმეტეს, სისხლი იდინეს კედლებმა,
წმინდაო, ამალლებულო, აღმოცენდები კედარად,

თესლი ჩვენს გულში მარხია, სიცოცხლე შენით

გვედარა.

განკითხვის ბელტით მასამარებენ,
 შურის სკივრიდან ნალველი მერგო,
 ვერც ფოთოლცვენის გავიგე რამე
 და ვერც გაზაფხულს გავუგე გემო.
 უფალო, ნეტავ შენი სამოთხის,
 ღობის კუთხესთან მარგუნო ჩერო,
 თიბათვის წვიმის ჩამონაჟურით,
 რომ სინანულის ლექსები ვწერო.
 ახლა ცრემლებით მწყურია ლოცვა,
 მინდა, რომ ისევ ედემს ვსახლობდე,
 ლექსები უნდა სულს შემოვაცვა
 და უფალს ასე მიუახლოვდე!

ჰაინდუ უფალო

დღეს მე ათასგზის,
 ცოდვილმა და
 ფარისეველმა,
 ისევ დავღვარე
 სისხლი შენი, ჩემო
 უფალო,
 ისევ შეგცოდე
 უთვალავჯერ, ურჩმა
 მხევალმა
 და სისასტიკე თან
 მოოცებს ჩემი
 უგვანო...

ვიცი რომ ვცოდავ,
 მაგრამ მაინც ვეხები

შენს მხრებს,
ტკივილს ცრემლები
ემატება ვხვდები
უძალო,
შემადლებინე
ღირსეულად ვძლიო
ტკივილებს,
ნულარ გამომცდი,
მომიტევე, მტკივა
უფალო...

ჩემი ცოდვები,
უდაბნოში ქვიშის
მტვერსა ჰგავს,
შენ კი ყველასთან
პირმართალი და ხარ
უფალო,
მე კი ათასგზის,
მოლაღატე ცოდვის
შვილი ვარ
და შენ ათასგზის
ჩამიხუტე მაინც
უფალო...



წარმოსახვა

სხივშემოსილთა სავანე ვნახე,
წარმოსახვაში ზეცას ვსტუმრობდი,
იქ საოცარი სიმშვიდე იდგა,
სულ, რომ ვნატრობდი – სწორედ ისეთი.

ღვთაებრივ ნისლში იდგა სურნელი,
მესმოდა ჩემი ძარღვების ფეთქვა,
ჯვარი, სანთელი და საკმეველი
ცისკენ ილტვოდნენ სხეულთან ერთად.

გაოგნებული დავეძებდი ნაცნობ ადგილებს
ვერ გავერკვიე თავს რა მხდებოდა,
მივდევი აღმართს ფეხშიშველი უცხო სამოსით,
ცის სასანთლიდან იღვრებოდა ცრემლები ლოცვად.

თან არაფერი არ მიმქონდა, მარტოდ ვიდოდი,
განვლილი წლები მომყვებოდნენ მხოლოდ მეგზურად,
მე მქონდა შიში, უფლის შიში, სხვა არაფერი,
სიყვარულის და მზის გვირგვინი თავზე მეხურა.

მწვერვალს გადმოდგა ზეციური დედა ქალწული,
თვისკენ მიხმობდა, მიძახოდა გაღიმებული,
ვგრძნობდი სიყვარულს, მაგრამ შიში მაინც დამჩემდა,
ღვთისმშობლის დედა უსამართლოდ ხომ არ განმსჯიდა?!

სხივშემოსილთა სავანეს ვიყავ,
ისმოდა სულის საგალობლები,
ზე კარს ეწერა ჭეშმარიტება,
გზას მინათებდნენ ანგელოზები.



**უღმერთობისა ჟამს ტაძრის
მშენებელთა – გაბუასა და
დიდავას სულის მზის
საბალოგელი**

დიდება შენდა!
ნაბოსლების მთავ,
კურთხეულ იყოს შენი ტაძარი,
ჭახჭახა მზე რომ ჩაგეფიცხება,
შემომენტება სულში ხანძარი.
პაპის ნაშენი ქვეყნის საუნჯე,
მზისნილხვდომილი, როგორც გელათი,
მოედინება მდინარესავით
დროში...
და უფლის მაღლი შეჰნათის.
როცა ტაძართა ლოცვა-ვედრება
ყვავევით კორტნეს ეშმას მდგმურებმა,
იავარყოფილ მშვენიერებას,
დიდება ფუძედ მის გულს უდებდა.
...და მისტერიულ ზენარსულიდან
შუბლზე აფენდა მზეს ნაზიარებს,
რამდენ აგურსაც ხუროს აწვდიდა,
იმდენჯერ გვრიდნენ ტანზე იარებს.
არ ვიცი, მაშინ ეს თავგანწირვა,
ღვთის ძალა იყო, თუ სასწაული,
როცა გათანგულ სოფელს ეძინა...
მინას აფრთხოვდა ტყვიის ხმაური.
სად გაფრენილხართ,
ყველანი ერთად,
შორიდან ისევ მეიმედებით...
თქვენგან მომყვება სადა ცხოვრების
მინდიას სიბრძნე და იმედები.
თუ გესიზმრებათ



პატარა გოგო,
 თქვენი ძარღვის,
 რომ სისხლია ცხელი,
 დიდება უფალს!..
 გვიგზავნის ნათელს,
 ჳვარზე მიკრული იესოს ხელით.
 ...და ახლა როცა,
 საფლავებს ვუმზერ,
 ჩაძირულს ტაძრის ეზოში დარდით,
 ო, ისე ჩუმად,
 როგორც ცხოვრობდნენ,
 აქ მუდამ
 მათი
 აჩრდილი დადის.
 ...და მეჩვენება იგი ტაძარი,
 ჩვენს სულის სვეტზე არის შემდგარი,
 აქ ცა და მიწა ერთიანდება,
 აქ მოჩანს ძველი დიდების კვალი,
 აქ საქართველო დგება ტაძრიდან,
 სავსე მთვარესებრ მშვიდი და მკრთალი,
 ქრისტესშობისთვის...
 და ვარდობის თვის,
 და...
 გაზაფხულის
 დილაა
 ნყნარი.

დიდება შენდა!
 სჯულის ტაძარო,
 შენ ხარ ნუგეში პირმშოთა შენთა,
 ჩემს სამშობლოში ჩემი სამშობლო,
 რომ დავიბრუნო,
 მე მოვალ შენთან.



ნუ მიგვატოვებ განსაცდელის ჟამს,
მრავალჟამიერ, დიდება შენდა!
ოღონდ გვაშორე
და სულს არ ღრღნიდეს,
ერის რაობის მსახვრელი სევდა,
როგორც გლახაკი,
როგორც დიაცი,
მუხლებზე ჩოჩვით
ათიათასჯერ

მე
მოვალ
შენთან,
ჩვენი მეობის გადამრჩენელო,
დიდება შენდა! დიდება შენდა!



მამაო
 სუ, არ შეშინდეთ,
 არ დაგიფრთხოთ მხარზე
 ანგელოზს,
 მე თქვენს თვალებში
 ავიშენე ბროლის ტაძარი,
 სუ, არ შეშინდეთ,
 არ დაგიფრთხოთ მხარზე
 ანგელოზს,
 ღმერთია ჩემში
 აღადგინა როგორც ლაზარე...
 და როცა ცოდვებს დაგაფერთხავთ,
 ფიქრებს აგიშლით,
 ლეგიონია ამ დროს სულში,
 იცით მამაო, ხელს ნუ გამიშვებთ.
 სუ, არ შეშინდეთ,
 არ დაგიფრთხოთ მხარზე
 ანგელოზს,
 მხოლოდ სიმშვიდეს მოვიპარავ
 თქვენი მხრებიდან...
 ხო, მე თქვენ ღმერთით
 დამაპურეთ, როგორც ბელურა,
 ახლა ვხვდები და
 ავიშენეთ რწმენის ტაძარი.
 იცით მამაო,
 არ დაგიფრთხოთ მხარზე
 ანგელოზს,
 მხოლოდ სიმშვიდეს მოვიპარავ
 თქვენი მხრებიდან.



მამაო

თქვენი გზა ჩემს გზაზე ვინროა, ეკლიანი
და მაინც ცოდვები გვამძიმებს მამაო,
მე მოგდევთ კვალდაკვალ, ცდუნებებს ვერკინები,
რომ ჩემი მცდელობა არ იყოს ამაო.
მინდოდა თქვენი ხერხემალი, ხიდი
ყოფილიყო უფალთან, მსუბუქი მქონოდა სავალი,
მაგრამ ეჭვისფერი გამიხდა თვალები
და მძლია დემონთა ამალამ.
თქვენი გზა ჩემს გზაზე ვინროა, ეკლიანი,
გთხოვთ საბუხრეებს ნუ შეიხსნით მამაო...
და ეს ამბიონიც არ არის ტრიბუნა,
რომ პირი ვიბრუნო და გზა იყოს ამაო.
ეკლებმა დაგვამჩნია წვივებზე ნასისხლარი,
ერთ გზას მივუყვებით და მაინც ცალ-ცალად,
მწყურვალი ეჭვები ჩამიდგა ძვალ-რბილში
და ჭიქა წყალივით დამცალა.
კისერს არ გიმძიმებთ მამო ოლარი?
მხრები ჩამოგთალათ ფილონმა?
ეშმაკს ნუ დავისვავთ ცოდვების მოლარედ,
ვინამოთ ღმერთი და მირონი.
თქვენი გზა ჩემს გზაზე ვინროა, ეკლიანი,
მე ვინ ვარ — მტვერი და ნაცარი,
შემინდეთ თქვენ წინაშე ჩემი აღსარება,
განკითხვა, ბრალდება თუ... რაც არი.



დეკრესიული...

(სიზმარი?)

სიმართლეს
 გროშის ფასი აქვს,
 „ათასი ოქრო“ – სკანდალს,
 ყავლგასულია
 სიკეთე –
 ეს სრული „ანაქრონიზმი“
 იმ საუკუნეს გაჰყვა...
 ჩვენი სული და სილალეც,
 როგორც ზედმეტი ბარგი...
 (აქ უადგილოა დარდი!)
 „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
 და – „ნეტარ არიან მორწმუნენი!“

სადღაც ქარია,
 ქარი ქარია,
 განუკითხავად
 დაძრწის,
 მიანგრ-მოანგრევს,
 მილენ-მოლენავს,
 არავისი აქვს დარდი.
 სულშიც ქარია და –
 კოშმარია,
 გაუცხოების სუსხი,
 გაბოროტება დამთრგუნველია,
 სიკეთე — სუსტზე სუსტი.
 „ნეტარ არიან მორწმუნენი...“
 და – „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“

ადამიანებს გვმართებს,
 ადამიანური ფიქრი:



ჩაჩეხილია ფესვი,
დაშრეტილია წყარო,
ბინული – ცრემლიანი,
შაშვიც კი მოთქმით გალობს...
ჭაობებს მიაქვს ჭალა,
გასხვისებულა — მდელი,
შენც რომ ჩვენ გვერდი, ტყეში
ველარ ეტევი, მგელი?
ნამხედურობით უტევ,
ადამიანთა მგლობას?
დავთრები აგერია,
ველარც შენ არჩევ
მოყვასს?!
შენსას და სხვისას,
მგლისას და ცხვრისას.
„საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
და – „ნეტარ არიან მორწმუნენი!“

ჩვენ კი, ჩვენ რაღა გვეთქმის,
დილა არის თუ – ბინდი,
გადაგვარება ელის
„მთელი სამყაროს გვირგვინს?!“
ხიდჩატეხილი ძმობა,
ნაცარმიყრილი ცეცხლი,
ალარ შემოგვრჩა ნუთუ,
ალარც – ზიარი ლხინი,
ალარც – მხარ-და-მხარ დგომით
შემსუბუქება ჭირის...
დიდსულოვნება ჩვენი,
დაუნჯებული სადღაც...
ვილას სჭირდება?!
დღეს ეგეც
ყავლგასულია,



– მახლას!
 „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
 და – „ნეტარ არიან მორწმუნენი?!“

ახალი საუკუნე
 ახალ გამონგებებს
 „ანონსებს“:
 ახალ ათასწლეულს
 ახალი განსაცდელი
 გვაახლოვებს:
 სრული ცინიზმია
 და — ირონია ბედის,
 ნუთუ — ბოლო არია გედის?!
 ჩვენი ნატვრები და იმედები,
 როგორც შემოდგომის სიმღერები,
 ჩვენი მინდვრები და ენძელები,
 ჩვენი ფერხატულა ტყე-ველები,
 ცისკრის აალება თუ —
 შებინდების ნისლი,
 ოცნება ღამით
 ვარსკვლავებამდე მიდის...
 „ცერიან ბალახზე
 მამულის“ ფეხშიშველი
 განცდა...
 ახალ იუდა ისკარიოტელს
 კვლავ 12 ვერცხლად დარჩა?!
 „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
 და... „ნეტარ არიან მორწმუნენი!!!“ ...

„ყავლი გასვლია“
 წინაპრის ლოცვას,
 სინდის-ნამუსიც „გაცვდა“
 (ვით ძველი გროში?!),



მაცილთა დროში
მამის სახელიც გაქრა,
სადღაც დავთრებში ჩაგვრჩა...
მამების ცოდნა, ანდერძი,
ლოცვა,
ნინა საუკუნეს
გაჰყვა...
მათ ნაოფლარს და ნაღვანს
„მოღვანეობის პოზიციიდან“
წყალსა და მენყერს ვატანთ...
დღეს მაზანდა აქვს სიყალბეს,
გაუფასურდა სიტყვა,
ეკრანებიდან იღვრება
„აქტუალური“ სიძვა.
გროშის ფასი აქვს ნიჭს და გენს,
არ იყიდება ლექსი,
მამულის შესანდობარიც
ათას მეერთედ შევსვით...
მკერდზე ვალაჯებთ
დავითს და
სულს ვუნრიალებთ
თამარს,
გმირობას გროშის ფასი აქვს,
„ათასი ოქრო“ — ღალატს.
„საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
და – „ნეტარ არიან მორწმუნენი!!!“

მუქ ფერებშია მამული,
უნდო გამხდარა ზეცა,
ამ დიდი ცოდვებისათვის
ვისჯებით თქვენც და მეცა...
ქვეყანა გადადინაცვლდა,
სამსალად გვექცა ბედი,



ნაკუნ-ნაკუნად – სამშობლო,
 თითოკაცების ხელში.
 ქვეყნის ხვალე და იმედი
 და მომავალი ჩვენი,
 ახალგაზრდობა გაგვირბის
 საზღვრებმორღვეულ
 ქვეყნის...
 უცხოტომელთა მარაქას
 შეერევიან დარდით,
 ჩვენს წილ
 სიყვარულს
 უძღვნიან,
 ჩვენ –
 „არ გვცალია მათთვის...“
 „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
 და მაინც: „ნეტარ არიან მორწმუნენი!!!“

დღეს მაზანდა აქვს სიცრუეს,
 „ათასი ოქრო“ — ლალატს,
 ქვეყნის სვესა და მომავალს
 ქარს და ქარაშოტს ვატანთ...
 ნგრევის სურვილი გვახრჩობს,
 შენების მცოდნე — არ გვწამს...
 ომი — ღირსებას, წმინდას;
 ავსულს, უგუნურს – დაფნა...
 მიტომ – საშველიც არ ჩანს:
 ჩვენი სილაღე და სილამაზე
 ახალ იუდას, ისკარიოტელს,
 კვლავ 12 ვერცხლად დარჩა...
 „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“
 და მაინც – „ნეტარ არიან მორწმუნენი!!!!“



P.S.

ღმერთო,
გვაკმარე
„ბედის უკუღმა ტრიალი“,
წყალს გაატანე
ქვას და ხეს,
ქვას და ხეს,
ეს კომმარი და
დეპრესიული სიზმარი...
გა-მოგ-ვად-ვი-ძე!!!



გზაჯვარედინი

სახე ჰქონდა ბრბოს ალესილ დაშნის,
 გზა-გზა თესდა ტკივილსა და რისხვას,
 მოჰყვებოდა მაგდალინელს დასჯილს,
 განანამებს იმ ქარიან სისხამს.
 შიშველ სხეულს, ნაკანრსა და ვნებულს,
 იფარავდა დაფლეთილი ტილო,
 ქალი ჰგავდა თითქოს მიცვალებულს,
 ამ მიწიდან გაქცევას რომ ცდილობს.
 და ცვიოდა ქვების მძიმე სეტყვა,
 მის ნაფერებ, ნაქანდაკარ მკერდზე,
 უფალოო, შემინდეთ! – ძლივს თქვა,
 ჩემს ცოდვილ სულს შენ ერთს შეგავედრებ!
 რა მწარეა სინანულის განცდა,
 თითქოს ჯალათს უკავია ხორცი,
 დიდი ხანი ის ელოდა ამ წამს,
 სხეულს ნაგესლს შხამიანი კოცნით.
 რამდენჯერაც წამოდგომა სცადა,
 კვლავ დაცემულს უთავაზეს წიხლი.
 ბრბომ ხარხარით გააგრძელა სვლა და
 ქალს თქრიალით მოსდიოდა სისხლი.
 გაჰკიოდნენ – მოვკლათ მრუში ქალი,
 არ დავინდოთ ასპიტი და გველი
 და ჩავექოლოთ, როგორც კეთროვანი,
 აღვასრულოთ ძველი განაჩენი!
 შეჩერდითო! – ხმა ჩაესმათ უცებ,
 გზად სვეტივით აღიმართა კაცი
 და იესომ ძლივს მოუსწრო სულზე
 მაგდალინელს, სისხლისაგან დაცლილს.
 და სთქვა სიტყვა – შეუვალი მართლაც:
 – სულ პირველმა მან ასწიოს ხელი,
 ვინც მიიჩნევს თავს უცოდველ კაცად
 და არ არის უფლის გამყიდველი.



თითქოს ყველა ერთ ქანდაკად იქცა,
თითქოს იმ წამს შეზანზარდა ზეცა...
– არ ვარ ღირსი შენდობისა, ვფიცავ! –
და მარიამს გულს მოედო ცეცხლად.
მხოლოდ ერთ წამს, დაიჭირა მზერა,
მხოლოდ ერთ წამს, ცის ნათელი სხივი.
– მჯერა შენი, სინანულის მჯერა,
რადგან შენ ხარ წამებული შვილი!
აჰა, ჩემი ყოვლისშემძლე ხელი,
წამოდექი და იარე მედგრად!
...და აღსრულდა უფლის განაჩენი –
მარიამი ღმერთის გზაზე შედგა.

წერილი ღმერთთან

გამარჯობა!
მე, მხევალი შენი,
წერილს ვატან შემოდგომის ფოთოლს,
ახლა მართლა ლოცვასავით მშველის
ეს ლექსები... და ვსაუბრობ, როგორც
კაცი კაცს რომ საიდუმლოს უმხელს,
უკანასკნელ ამოსუნთქვის ფასად,
ღამე თეთრად გავათენე წუხელ,
რომ ეს ლექსი ამომეთქვა ახლა.
მოვალ შენთან და გამიგებ ვიცი,
მაპატიე ეს ცრემლები წრფელი,
ო, რამდენჯერ მიგემია სიმწრით,
ამ ცხოვრების შხამიანი წვენი,
გეტყვი, ვერსად გავექეცი ჩემ თავს,
ვარ ცოდვილი, ცოდვილებზე უფრო,
მეც არ ვიცი, როგორ შემოგბედავ,
რომ ზეცამდე მოვალწიო უფროოდ.



ოღონდ ახლა... ამარიდე ტანჯვას,
 ოღონდ ახლა... ამიხილე თვალი,
 ღმერთო, იქნებ, ბევრიც აღარ დამრჩა,
 ამ ცხოვრების გასავლელი გზანი...
 მიწა ვიყავ, მტვერი ვარ და ქარი,
 ანდა, მხოლოდ, ძვალთა უტყვი გროვა,
 ღმერთო ჩემო, ზოგჯერ ნვიმის ნამი,
 დამაბკურე ყვავილად თუ მოვალ,
 მადლობა, რომ მაზიარე სიტყვას,
 პოეზიის უკვდავების ზენას,
 მე, რომ ქვეყნად მოვსულიყავ ჩიტად,
 მე, რომ ქვეყნად მოვსულიყავ მტრედად...
 უფრო მეტად ვიგალობდი, იქნებ,
 უფრო ახლოს ვიქნებოდი შენთან,
 მაგრამ შოლტით ვერეკები ფიქრებს,
 რომ მოგიძღვნა ლექსი, დედისერთა...
 მაპატიე, ვერ ვლოცულობ ხშირად,
 რომ დავკარგე ახლა ჩემი თავიც,
 ზოგჯერ ლექსის მოვარდება ხილვა,
 როგორც მთიდან მოწყვეტილი ზვავი,
 მაპატიე, ო, უფალო ჩემო!..
 რომ ვერ შევძელ ვყოფილიყავ სუფთა,
 მაგრამ სული, ვით ყვავილის ღერო,
 მხოლოდ შენი სიყვარულით სუნთქავს,
 გეტყვი, რაც რამ მანუხებს და მტკივა,
 რომ ცხოვრებამ დაუნდობლად მცემა,
 დამაქვს სულში ვით გამდნარი ტყვია,
 სიყვარულის ცეცხლისფერი ვნება.
 რადგან კვერი არ გამოცხვა ობლის,
 მარტოობას ტკივილამდე ვუძლებ,
 და ჩემს ფანჯრებს, როგორც ცივი ოფლი,
 ნვიმის ნვეთი შერჩენია შუბლზე.
 გზაზე ვნახე გათოშილი ბავშვი,



მისი ცოდვით დამეფერფლა ძელები,
და მიჰქონდა ცივი პური სახლში,
სახლში, სადაც მიელოდნენ ძმები,
მოდიოდა, მოჰყვებოდა გუნდად,
თოვლი, როგორც ანგელოზის ფრთები,
ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული ხურდა
და გზად ენთო მკრთალი ჩირაღდნები.
ვაი, იმას, ვინც არასდროს იცის,
რომ ცხოვრება ზურგზე გვანწევს ვალად,
ო, უფალო, მომეც დიდი ნიჭი,
ო, უფალო მომეც იმის განცდა,
რომ ვიცოდე, მომავლინე რისთვის,
რომ ამქვეყნად ჩემი კვალიც დარჩა.



მუნჯი ღაღალი

ჩვილი, რომელიც დედის წიაღს ტოვებს და ტირის, უკვირს, სად მოხვდა და ცრემლის ღვრით მოსდის იდეა, მისწვდეს სავსე მკერდს დედამისის — ასეა გმირი, ის ბრძოლით ეძებს ადგილს, სადაც ზღვა სიმშვიდეა.

დრო გადის. მას ზრდის დედის ლოცვა და სითხე თეთრი, ის იწყებს ტიტინს და ეძლევა ადამის ფორმა, მასში იღვიძებს კაცთა მოდგმის ცინიზმის კეთრი — მას გულში ბოღმა გაუღვივა გველების ჭორმა.

მასზე ამბობენ: „მახინჯია!“ უთმობენ ბილიკს, სველს, ეკლიანს და საცალფეხოს, ქარაფებიანს და ბავშვი, ჯერაც უცოდველი, აყეფებს ქილიკს, სადაც თვალს მიღმა დაკეტილი დარაბებია!

იგი ძუძუს წოვს. მასში ევას ძველი ოფლია, ღვთითმოვლენილი ამ ცხოვრების დაღალა დაღმა, მას ეჩვენება, რომ დასცინის მთელი მსოფლიო, რომ ცა — წყევლაა, აღზევება — წინსვლა თავდაღმა.

ეჰ... აღარ არის სილამაზე სულის საგანი... იგი ფეხს იდგამს და უცინის ეშმაკთა ხროვებს და როგორც ყველა მარტოსული აფთართაგანი, მას უკრეჭს კბილებს, ვინც მას ცოდნის ძუძუს აწოვებს.

და იგი, ვიდრე ჩვილი იყო, ის იყო მეფე, ზრდასრულს კი მუდამ ეჩვენება სარკე ჭაობად, მასში ერთმანეთს ხვდებიან და ერთმანეთს თქველფვენ სიკვდილის ფრენა და სიცოცხლის უმოძრაობა.

მას არ აქვს გრძნობა, ის სიცოცხლეს ძარღვებს უთიშავს, თითქოს მოყვება მარტოობა დედის მუცლიდან



და ბავშვი, ასე მიგდებული, როგორც უჯიშო,
საკუთარ სუნთქვას უსაზიზღრეს წყევლას უთვლიდა!

სიზმრებს უმსხვრევდა უსახური ცრემლების გროვა,
სულის კივილი ხვედრი იყო მისი ადრევე,
მას გაურბოდნენ, როგორც მყრალს და როგოც კეთროვანს
და მის ტკივილებს, როგორც სასჯელს, დღემდე ათრევენ.

ჩვენ ვიბადებით, რომ ვიცოცხლოთ, დავტოვოთ შვილი,
რომელიც შეგვცვლის და რომელსაც სხვები შეცვლიან,
ლოცვის ნაცვლად კი ციდან გვესმის ყვავის ჩხავილი,
რომ ჩვენი სულის მბრძანებელი თურმე ვერცხლია!

სიცოცხლე, როცა იბადება, თითქოს ფრთები აქვს,
ბაგის ბადაგებს გვიქადაგებს ბადე ცხოვრების,
მაგრამ ცხოვრების დამპალ ფსკერზე ილექებიან
მიუსაფრები, მახინჯები და მათხოვრები.

ჩვენ ვეძებთ, რაც კი იკრძალება ედემში უფლის,
ჩვენ ვტირით, რადგან უარვყავით ღრუბლები ბალის,
ჩვენი მზერიდან ჩვენ განვდევენეთ ფერი ალუბლის
და ტკივილების ჩვენმიერი დაგვესვა დალი.

აღარ იბრძვიან სულისათვის... დამთავრდა ბრძოლა,
ახლა პარპაშებს მატერიის ავი გართობა,
თითქოს სატანამ ქვესკნელიდან ამოისროლა
ცოდვის სიბრმავე და ცხოვრების უკუღმართობა.

მეფობდა ბალში სიტყვა გველთა და სხვა მცოცავთა
და ძველს, დაკარგულს, როგორც გვირგვინს, ეშმაკი ეძებს,
— თავის ქალაში დადუმებულს სწრაფად ხოცავდა
მთვრალ და ძალღივით დამონებულ ტვინის უჯრედებს.

ნულთა სიმრავლე დღეს განაგებს ცხოვრების დონეს,
 თვალებს ერევათ ქალაქების ავი მაგია,
 ჩვილი ხელიდან უვარდებათ სანტის მადონებს,
 რომ კაცს ეახლონ, ვინც სიმდიდრის სარკოფაგია.

ვერ ისვენებდა ქონი ტყავში — თვალი ხარბია,
 არ დათმობს ალბათ პურს და სეირს — ასე ერთობა
 და დღეს ედემის ბინადრები იქით გარბიან,
 სადაც დახვდებათ სხვა მირაჟი და უღმერთობა.

ვეძებდით ეკლებს სხვის სხეულში, ვკოცნიდით ქაოსს,
 ვსწავლობდით ტახტის მართვის ჩვევებს, ასე ბინძურებს,
 შედეგად მძიმე თავთავები ხდიდნენ უდაოს
 ჰაეროვანი თავთავების სიმედიდურეს.

ჩვენ ვედებოდით უნაპირო ქვეყნის ნაპირებს
 და ვერსად ვნახეთ, რწმენას დაბლა ედოს მუხლები,
 რომ სულის კივილს, ჩვენს მოცეღვას რომ დააპირებს,
 დავხვდეთ უდრეკი, მკაცრი, მშვიდი და ხელუხლები.

მუხლები დაბლა კაცის ძეო! თავი დახარე!
 და ღვთის რწმენაში დაიკავე კაცის სადავე!
 თოვლში ჩაახშე სული გონჯი და მოხარხარე,
 სადაც ქაჯები ნალკოტების მირაჟს ხატავენ!

მეფისტოფელო! რატომ მეფობს შენი ზმანება
 და თავზე ზეცადამხობილი რატომ იცინი?
 ღამეს კომმარმა რატომ თავი არ მიაწება,
 გალობად რატომ გვეჩვენება გველის სისინი?

ველოდებოდით ღმერთის სიტყვას, როგორც გალობას
 და არც ზამთარში არ გვტოვებდა სითბო ლილეხი,
 მაგრამ დავხუჭეთ ჩვენ თვალები და გვენწყალობა
 ზაფხულის ყინვა და სიცოცხლე უსიკვდილესი.



და რას ველოდით? რად გვეგონა, რომ დღის მნათობი ხვალ ვარსკვლავიან შუალამის ცაზე ამოვა?
რატომ ვფიქრობდით კაცთა სულის უნიათობით, ან დილის ნისლში რად ვიხილეთ უღიმღამობა?

არ იღრუბლება ზეცა მხოლოდ, შუბლიც არამედ, ზღვის ქაფებივით ამღვრეულებს მარტი გვანჯღრევდა, სივრცე, რომელიც ფანჯრის მიღმა გავანკვარამეთ, მარტად ტიროდა ჩვენს ღანვებზე და ჩვენს ფანჯრებთან.

ჭკუიდან გვშლიდა ფობიის ზღვა, ყრუ და ხროტინა, პარანოიის მძაფრ შეტევებს ვებრძოდით ერთობ, გველანდებოდა ბასრი ცოდვის გილიოტინა და მაინც მხოლოდ ჭირში გვახსოვს ეს სიტყვა: — „ღმერთო!“

განცდილი გვექონდა უჯრედებში სატანის ყოლა და სულს ღაფავდა სიხარულის ჩვენში იოტიც, ჩვენ ფეხისგულებს გვილოკავდა ყინულის ლოლო, ჩვენ ვეცემოდით, ჩვენ ვდგებოდით და მივდიოდით.

საით მივდივართ? რაა ბოლო? უფსკრული? ზეცა? ბოლო არ არის ახლოს აზრთან... დავთმობთ იმედებს, დავლენავთ გვირგვინს, წასვლის წინ რომ მირაჟად გვექცა, გადავყრით ფარ-ხმალს, მარცხისათვის თუ გაგვიმეტებს.

უცხო ნაპირებს გვახეთქებდა მდინარე ყველას, უცხო აზრები საუცხოოს არ ეცლებიან... ეკლებით ტერფებდაკოცნილო, არ არის შველა, ამოგხდეს სული, სადაც ტანჯვის სარეცლებია!

ცაში ღრეობდა ქარიშხლების ალღუმი შავი, იქ ჩემი ხსოვნა, ვიდრე ძეგლის ასაკს მიატანს, ელოდა ტრიუმფს, როგორც სული — მწვერვალის ყვავილს და მე — იონა, ჩავუსახლდი სხვა ლევიათანს.

ადამო, სული გააშიშვლე! იყავ, რაცა ხარ!
 ნუთუ ცინიზმის არ მოგბეზრდა მწარე თარეში?!
 ხომ ხედავ, შიშმა მყრალი სული აგიცახცახა
 და შენი ეგო მალე ჩაგთხრის შავ სამარეში?!

მე მზარავს, როგორ იჯიჯგნება ადამის მოდგმა
 და ბალში ადგილდაკარგულნი წყევლას უთვლიან
 ამ დედამინას — მათ იციან, ხვალ მათი მოთქმა
 თვალეზზე წიგნებს ააფარებს, ყვითელფურცლიანს!

გვინდა, მზის სხივებს გავუდიმოთ, ნაზს და უბროლესს,
 მაგრამ ჩვენს გულებს ავინყდებათ არც თუ პანია;
 მუნჯი ღალადი! ის ყრუ ძარღვებს სისხლს აუჩქროლებს
 — ჩუმი სიტყვების შავით თეთრზე კომბინაცია:

ამბობდა: „მწყევლეთ, უარმყავით, მინა დიდი,
 დე, ვიყო თქვენი სიყვარულის ჩუმი მზვერავი,
 თუმცა, მე თქვენზე ბატონობა ფეხზე მკიდია,
 ვერ დამაჩოქებთ ბატონებო მაგრამ ვერავინ!

ერთია ჩემზე დიდი — ღმერთი! გესმით? და იგი
 გზებს გაუკვალავს მორჩილების უხმო ქარავანს,
 ცხოვრება რალაც ჭადრაკია, მე კი — პაიკი,
 დაე, გამწირეთ, მონის მონა მაინც არა ვარ!

მაგრამ არ არის არაფერი... რატომ ვედები
 უცხო ბაღების უცხო საზღვრებს, როგორც ოცნება?
 რატომ მანუხებს უტოპიის ცრუ იმედები,
 ზღაპრის ხილვები და ხილვების გაჯადოსნება?

რა ვუპასუხო სიზმრის ჯოგებს? თავში ღმუიან!
 და ედებიან მწვანე სოფლებს, მტვრიან ქალაქებს,
 ვლენავ ბორკილებს, როგორც გიჟი! ალილუია!
 ოჰ, ღმერთო, თავში აზრებს ლოცვაც ველარ ალაგებს!



დღე ახლოვდება, გადაკარგავს ცხოვრებას აზრი,
დღე მოდის, ცხედარს იპოვიან ქუჩის გუბებში,
მინდა, ახლავე განვიცადო ტკივილი ბასრი,
მინდა, წავართვა საკუთარ თავს ბოლო ნუგეში.

კარგი... თვალები აიტანენ მაშინ ამასაც:
– მინდა ლეთაში ბანაობა, მინდა სკლეროზი,
მე სიცივემ და მარტოობამ შემომთავაზა
ჩემი ბალიდან ამოგლეჯა ცნობის ღეროსი!

მე გამიმეტა თქვენი ზიზღის უღვთო მარაგმა,
ჩემი მკვლელია მარტოობის ცელი უღესი
და ოთხ კედელში რომ იცოცხლებს ქარის ქარაგმა,
ისე იცოცხლებს მკვდარი გული ამ საგულეში.

გეჩვენებოდეთ ბინდი დილადა და დილა ბინდად
და სისხლს ძარღვებში გიყინავდეთ: მე ვიყო ლეში,
ან შემინყალებთ, ვიდრე ვცოცხლობ და თქვენთან მინდა,
ანდა მიპოვით საკუთარი სისხლის ღელეში!”

ასე ციცქნები ვადარებდით თავს ძალუმ ტიტანს
და ღრუბლებიდან ჩანდა, როგორ ვრჩებით ციცქნები,
ბოლოს ვხვდებოდით, რომ პატარებს ცხოვრება გვიტანს,
რომ ტიტანები მხოლოდ ჩრდილის ჩრდილში ვიქნებით.

ადამიანი!... ის თავის სულს ან ვნებს, ან არგებს,
ეკლესიას, ან დეპრესიას ირჩევს ფათურით
და ის სხივები, გააჩნია რაც რწმენის სარკეს,
როგორ მოხვდება ბრმა ბადეში ბრმა მეზადურის?!...



დავით გარეჯი

უდაბნო... სენაკი... კელია...
გამოქვაბული და კატები.

ამ ქვებთან მდუმარე ბერია.
თვალს ავარიდებ და გავცდები.

არ იცის, რომ მასზე მეტად მე
მახურავს დუმილი სამარის.

არ იცის, სიტყვით რომ ვენამე.
სიჩუმეს საშველი დავარქვი.

ქარია... ისეთი ქარია...
მინიდან ქვიშას ცრის ფანტელად.

სივრცეთა სინმინდემ ამრია,
კლდეების სიმშვიდემ გამთელა.

ბენვის ხიდებიდან ბილიკი,
ვინრო კიბეები, ფრესკები.

უდაბნო ზეცისკენ მიილტვის,
მე ქარში ქვიშასაც ვერ ვწვდები.

სურვილი დიდია დარჩენის...
კატები... სენაკი... კელია...

თვალს ავარიდებ და გავცდები
ქვებთან რომ მდუმარე ბერია.



მუღმივი ბედნიერება

მისმენენ, მაგრამ ჩემი არ ესმით,
უფრო სწორად კი, აღარც მისმენენ,
მხოლოდ შენ ერთი მნამხარ და გესავ,
შენს საყუდელში სული ისვენებს.
თუმცაღა დავრჩი ისევ ისეთი
განმკითხველი და სუსტი, მშიშარა,
თუ რამ არსებობს წვეთი სიკეთის
ჩემში, – ეს შენ ხარ. მწყალობ, მიფარავ.
ჩემს არსებობას ნათელს ჰფენს, სრულყოფს
სტრიქონთა მძივი გაშლილი მწკრივად
და რაც დრო გადის, უფრო და უფრო
მეტი და მეტი სიტყვები მცვივა...
მოვყვები აღმართს ცრემლით და ხვნეშით
და ბრძოლამ სული თოვლით ამივსო...
და მე ცოდვილი, უფალო, შენით
ბედნიერი ვარ სამარადისოდ...

მადლობის საბალოხელი

გმადლობ, უფალო,
რომ ამავსე ცათა რიჟრაჟით
და ზეციური ბალ-ვენახების ტკბილსურნელებით.

დაე, არ ჰქონდეს ჩემ გულს კარები
და იყოს მუდამ, სულ მუდამ ღია,
ნებისმიერ დროს რომ შემოხვიდე,
რომ დაბინავდე, დაემკვიდრო სუფევით შენით

ჩემი გულის უდაბნოეთში,
სად მადლით შენით ამოაფრქვევს



მდულარე ცრემლი – წყარო სულისა,
 უშრეტი წყარო, სიცოცხლის წყარო,
 რომ ჩემმა სულმა სული მოითქვას
 ხრიოკ, დაგვალულ ბილიკებზე მავალმა და
 მოწყურებულმა,
 რომ არ გამოშრეს, არ გაუხემდეს
 და რომ არ გახმეს,
 რომ მუდამ იყოს ნედლი და ნორჩი,
 ვითარცა ვაზი მსხმოიარე,
 ვითარცა ალუბლის ტოტი
 გაზაფხულზე აყვავებული.

გვედრებ, უფალო,
 ნუ დამტოვებ უსიყვარულოდ, უსინანულოდ –
 ეს ორი მზეა ადამიანში,
 რომელიც თავად ამოიყვანე
 ჩვენში ბნელეთის გასანათებლად,
 რომ ჩვენ მოგვიცვას ციურმა ნისლმა,
 რომ ჩვენში იყოს ციური ცვარი,
 რომ ჩვენში განეფინოს ციური სიო,
 რომ ჩვენში აყვავდნენ ედემის ვარდები
 და ელვარებდნენ, როგორც სანთლები ეკლესიისა,
 რომ ჩვენში დამკვიდრდეს სასუფევლის თეთრი წიაღი.

გმადლობ, უფალო,
 რომ მომეც რწმენა და თავი შენი შემაგრძნობინე,
 რომ შეამოკლე ჩემიდან შენამდე შორი მანძილი,
 მანძილი, რომელიც აღარ არსებობს,
 და რომ თავად დააგე გზა, შენსკენ მომავალი,
 თუმც მე კი არა, თავად მოხვედი
 და უსასრულო სიცოცხლისაკენ ხელჩაკიდებულს
 მიგყავარ ნელა, რომ არ წავიქცე,
 რადგან ჩვილი ვარ,



რომ არ წამოვკრა ფეხი რაიმეს და არ დავიმტვრე
და რომ არ ვიგრძნო თავი შეუძლოდ,
და ხშირად არის, მარჯვენა ხელი,
შენ რომ გიჭირავს, ისე მითბება,
რომ სამი თითი ერთად იკვრება,
იად ამოდის,
იასავით ყვავილდება ხელის მტევანზე
და ჩემს სხეულზე ისახება მფარველი ჯვარი:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ამინ!

. . .

გმადლობ, უფალო,
ამ მადლობისთვის,
ამ საგალობლით რომ მათქმევინე.



ცოდვილი კაცის აპოლოგია

ღმერთო, მაპოვნინე ადგილსამყოფელი,
სადაც მე ჩემს მამულს უფრო ვეჭირვები.
ღმერთო, განსაცდელი მინყივ მამყოფინე,
ჯვარი გოლგოთისკენ მიმაქვს შეჭირვებით.
შენგან ბოძებული იგი მე ტალანტი
მიწას მივაბარე უგუნურობითვე;
მიკვირს მომითმინე ჩემი ეს ლალატი,
ცოდვით დამძიმებულს ისევ როგორ მითმენ?!
უფლის სათნოებებს მტერად გავუხდი და
ცოდვის სიბილწეებს შვილად შევეყარე.
შენ არ მიმატოვე, ისევ შემეხიდე,
ასე დაცემული მაინც შემიყვარე.
ღმერთო, სიყვარული შენგან ბოძებული,
შემადლებინე, რომ მოყვასს დავუბრუნო.
ჰო, ის სიყვარული შენგან მოცემული,
შენად მოცემული, თანაც საუკუნოდ!



ტაძარი სულის

იყო დრო და...
თითქოს გუშინ და გუშინწინა
და იმის წინა,
ქარი ქროდა,
წვიმდა და წვიმდა...
ჰოდა, მეც მანვიმდა...
განა წვიმა და განა ციდან,
თქვენი მხრიდან,
სანყენად დიდად,
ქვები მანვიმდა ოდენ და ოდენ...
თქვენ მიმეტებდით და ჩემდანილად
აი, იმ დღეს, ჰო წვიმდა ოდეს,
ისროდით ქვებს, ქვებს და ქვიშას....
ქვებს და ქვიშას კიდევ რა უშავს,
ისროდით ლოდებს...
რატომ-მეთქი, მაინც როდემდე,
როდემდე უნდა მმტრობდეთ,
როდემდე მგმობდეთ?
და თუმცა შემაკრთო დუმილმა თქვენმა
და თუმცა გულში კიდევ ვგოდებდი,
არ დაგელოდეთ...
ეგ გამეტება და ეგ დუმილიც
არა, არ ღირდა ვაიდ და ვიშად
და ის ქვები და ის ქვიშა
და ის ლოდები
მოვაგროვე და სასოებით,
განა სადმე, მიდებ-მოდებით,
სულში ავიგე ტაძარი წმინდა...
მე ეს ტაძარი მინდა ხიდად
შორის
ცასა და მინის,
ღმერთსა და კაცთა, ქალთა...



მეოხად სულის
შენის, ჩემის – ჩვენის...
კიდევ მავანთა სხვათა მრავალთა...
ტაძარს ჩემსას აქვს ცხრა ბჭე და კარი...
მაგრამ ტაძარი, ჩემს სულში მდგარი,
არასოდეს იკეტება.
ტაძარი ჩემი ღია არი
ყოველთვის და ყველასათვის ნათელის მჩენი:
მორწმუნეთათვის – მოდით, ილოცეთ!
ურწმუნოთათვის – მოდით, ირწმუნეთ!
ერთად ვადიდოთ ღმერთი – გამჩენი!
ერთად ვევედროთ, მოგვიტევოს ცოდვები ცოდვილთ,
ერთად ვილოცოთ გადარჩენისთვის
სულების ჩვენის!!!



იესო

1. პილატეს
ხალხი
სათქმელს
არ აცლის
და ყვირის:
ჯვარს აცვი!
ჯვარს აცვი!
ჯვარს აცვი!

2. გოლგოთა...
ჯვარზე
გაკრული
იესო.
ბოროტის
ჩურჩული:
– მიეზლო!
– მიეზლო!

3. ლეგიონერმა
ღრუბელი
შუბს წამოაცვა
უმალ და:
– ხვატი ჩამონვა
თხემზეო!
ძმარი შესვიო,
„ღვთის ძეო“

4. — მამა ცაბაოთ,
რას იქმან,
არა უწყიან,
არ ესმით.
აპატიეო,—



იესომ,
— ვხედავ მათ
სახის იერსო.

5. — აღსრულდა!
ტანჯვაც
დასრულდა.
გარდაიცვალა
იესო.
დასარწმუნებლად
კი შუბი ტანჯულს
შიგ ფერდში
მიესო.

6. „ბოროტსა სძლია
კეთილმან“,
სიკვდილს აჯობა
სიცოცხლემ,
გამოისყიდა
ცოდვები უფალმა
იესო ქრისტემ.

7. სისხლი დის
ცოდვის პასუხად,
წვეთებად ერთვის
თიხებსო,
თან კვნესის
თიხა თავისთვის:
ი-ე-სო...
ი-ე-სო....
ი-ე-სო...

**„ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე მე“**

მე ახლა პასეჟის
ვარ ერთი სტუმარი,
ქრისტეს სისხლს ვიღებ და
ამბორს ვდებ ბარძიმზე,
რატომღაც ჩემი მაქვს
აზრი და გუმანი
თუ რატომ უარმევეს
და ვერცხლზე გამყიდეს.
დღეს მეც ზეთისხილის
ბალში ჩავიმუხლე,
დღეს მეც მამა ღმერთთან
დავშვერი ლოცვებით;
რა დიდი ყოფილა,
უფალო, შენი გზა,
თითქოს გიპოვნე და
შენ მაინც მშორდები.
ამ გზაზე მეც ვნახე
პილატე, რიფსიმე,
ხალხი ვერ მოლლილი
უაზრო ყბედობით
და სინედრიონში
ფსალმუნნიც ვისმინე,
სიტყვებიც კანონზე
დავით და ერთობით.
მხრებზე რომ ამკიდეს
ტვირთად დიდი ჯვარი,
მეც შემომეშველა
ვინმე კორინელი;
ლუციფერს არ ჰქონდა
ახლა ამის ჯავრი,
ისიც ეკლის გვირგვინს
წნავდა მორიდებით...



წყალი ვითხოვე და
შემასვეს მეც ძმარი,
მტევნები დამიხვრიტეს
ჟანგიან სამსჭვალით;
თუმც სულ არ მტკიოდა
არც ხორცი, არც ძვალი,
სული მაკივლებდა
დარდისგან დამტყნარი.
ეგოიზმს და ცინიზმს
აუტყდათ ზეობა,
(მაგრამ ზეციერთან
არა ჭრის არც ქრთამი)
და ჩემი სული რომ
სიკეთით მზეობდა,
თვალში სხივი ჰქონდა
ლუციფერს გამქრალი.
არ მერგო საფლავი,
ჯვარზე ვარ მე ახლაც
და ვბლავი უფლისთვის
მიძღვნილი ბატკანი;
თუმცა ჯერ სიკვდილიც
ვერ და არ მეახლა,
ვჩურჩულებ: „ელი, ელი
ლამა საბაქთანი?!“



ისევ გოლგოთა...

თვალეbs შენმიერი სწავდა უშენობა...
სულში ვერ გიტევდი, ჩემო მაცხოვარო...
ფერი დაგიკარგა ჩვენმა უმწეობამ
(„აღარ გვახსოვხარო... აღარ გვახსოვხარო...“)

ჩვენგან გაყიდულო – გროშად, კაპიკებად...
წლებად დადენილო ჟამთა მაჯებიდან.
როგორ არ მენვის და როგორ არ მეტევა
გულში სინანული შენი წამებიდან...

ისევ გოლგოთა და ისევ სისხლის ღვარი,
ჩვენც ისევ დუელში გინვევთ.
ღმერთო, უღმერთობის სულზე მოგვისწარი
მკლავზე მკვდარი ქრისტე გვინვეს...

მოაქვს სინანული ნიავს საიდანღაც.
თვალს ცრემლი მოსწყდება მყისვე...
ღმერთმა ხომ ჩვენ გამო ჯვარცმაც აიტანა,
მაშ, რაღად ვლალატობთ ისევ?!

ვხედავ მეორდება, ისევ ლალატია
და მაქვს მეც ისეთი განცდა;
ჩვენს სულს სინანული ვერ და არ ატყვია
ღმერთიც (თითქოს) ჯვარზე დაგვრჩა...



ცუჯიგირი

*დიდგვაროვანი სამურაები „ცუჯიგირით“ ერთობოდნენ.
გზაჯვარედინზე თავიანთი ახალი კატანას (სამურაის
ხმალი) ან ილეუის გამოცდის მიზნით უდანაშაულო
გამვლელ გლეხებს ხოცავდნენ.*

გავრბი,
გაიქეცი ჩემო თავო,
ფეხები მამძიმებს,
ვეცემი.
ვაჰმე,
რა ტიალი მინდვრებია,
ვაჰმე, შემიბრალეთ მხეცებო!
საით გავიქცევი,
თავს რას შევაფარებ,
მხოლოდ ბარდია და ენერი.

მარტოკა სიარული, გზანვრილზე ხეტიალი რა შავი
ბედისთვის დამჩემდა,
არ მომკლა გაფიცებ შენს ბატონს, სამურაი,
დაგწყევლოს ბუშიდოს* გამჩენმა.

მტარვალო,
იცოდე, წყევლით შეგაჩვენებ,
ჩადნება ზღვის გობში კარაქი –
მზე, როცა,
ამოიძირკვება მთელი შენი მოდგმა,
ფესვი არ შეგრჩება, გახმება წვეროცა.

არ მომკლა,
ნუ ჩამცემ შენს კატანას,
ახლახანს შევეყარე ქმარს,
ღმერთივით შევიყვარე,

* ბუშიდო – სამურაების მორალური კოდექსი



ზღაპრულად შემეყვარა,
მარტოკამ რა უნდა ქნას?!

ჯერ არ,
ჯერ არ,
არ მესროლო,
ჯერ არ შემახვედრო შინიგამს,*
სახლში დამაბრუნე, ქმარი ჩამახუტე,
გამოპარული ვარ შინიდან.
თვალებში შემომხედე სამურაი,
უფლის გზავნილია მოსული,

ჯერ არ,
ჯერ არ,
არ მესროლო,
სამი თვის ფეხმძიმე ვარ, – ორსული.

მინამ ყბა დაალო,
ცა ძირს ჩამოვიდა,
გზები გადაკვეთა მხედარმა,
წევს ხელაპყრობილი, წევს და ილოცება,
წყევლა ახდენილი ცხედარი.

* შინიგამი – „სიკვდილის ღმერთი“ ან „სიკვდილის სული“.



აღსარება უფლისადმი

მიყვარხარ, სულ ვამბობ და ალბათ სიტყვებით,
ვიცი, რომ ამ ჩემს გულს, ვერ ვატყობ ვერაფერს
და როგორც არასდროს, დღეს ისე მჭირდები,
დავთმობდი ყველაფერს..!

სანოლზე მიყრია ეს ჩემი სხეული,
მე ვამბობ – ეყაროს, მაგრამ არ მამშვიდებს,
„ცხოვრებით“ გავავესე კვლავ დიდი რვეული,
მჯერა, რომ გამიგებს..!

სული კი შიშველი, ვით ალვის ხეები,
ქარისგან გაძარცვეულ, დატეხილ ტოტებით,
ნინ ბევრჯერ მომელის გოლგოთის დღეები,
მაგრამ არ გშორდები..!

ვინ იცის, რამდენჯერ ჯვარს გაცვი უფალო,
რამდენჯერ მშიერი, მწყურვალი, შიშველი,
დაგტოვე რამდენჯერ, შემინდე უფალო,
ვიცი რომ მიშველი!

რამდენჯერ დედაჩემს ვადინე ცრემლები,
მპატიობს! შვილი ვარ, წლებია შემიცნო,
უფალო, შენს წმიდა დედიკოს, ვედრებით
გთხოვ, თხოვე შემინდოს!

შემინდოს, რამეთუ არ ვიცი რას ვჩადი,
ცხოვრების დინებას არასდროს მივეყვები,
გარდაცვლილ დღეები გახდება განსჯადი
და ჩემი სიტყვები..!

მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ – ისეო!
შემინდე ვით პეტრეს! არა ვარ უმანკო,



„კეისარს-კეისრის, ღმერთს-ღვთისა“ – მიეცო,
მადლობა უფალო!
მადლობა იესო!

იმ ვდგავარ...

(ქრისტიანული ლექსი)

იქ ვდგავარ, სადაც ძნელია დგომა,
სადაც მაცდურმა დააგო მახე,
და ეს ცხოვრება წააგავს კვდომას,
თუკი არა გაქვს შენ შენი სახე!
იქ ვდგავარ, სადაც გზა არის ვინრო,
ეკალ-ბარდებით, არა ვარდებით,
თუ მოხდა, ფეხი დამიცდა ვინძლო,
მომეცი ხელი, თუკი ვვარდები.
იქ ვდგავარ, სადაც კაცს ჰქვია მამა,
სადაც ღვთისმშობელს წააგავს ქალი,
იმ სიყვარულის უწყვეტი გამა,
რომ წინაპართა დიდი გვაქვს ვალი!
იქ ვდგავარ, სადაც მე უნდა ვიდგე,
დროის ქარტეხილს ვებრძოლო კალმით,
და მეღნის ბოლო წვეთამდე, ვიდრე,
სადამდეც სული იქნება ჯვარცმით!
მოვიდა ჟამი, სადაც ჭირს სუნთქვა,
და სადაც ვერცხლი ანათებს მხოლოდ,
უფალო ჩემო, დამშანთონ თუნდაც,
ოღონდ შენამდე მოვიდე ბოლოს!



შვილს

„მე უკვე დიდი ვარ!“ -
ჩამხედუე თვალეებში
და ბავშვურ მზერაში,
ნუხილი გამოკრთა...
ზეციდან
მინაზე უეცრად დავეშვი,
ოცნების გრძელი გზა,
მაშინვე დამოკლდა;
„შენ უკვე დიდი ხარ!“ -
მაგრამ მე იხტიბარს
არ ვიტეხ,
მამა ვარ,
არ ვიცი რა მომდის,
გვერდი-გვერდ ვდგავართ და
ჯერ ერთად მოვდივართ,
სიკვდილი სიცოცხლეს
სულს როდის ამოხდის,
არ ვფიქრობთ,
რადგანაც
ჩვენს ნაცვლად სხვა ფიქრობს,
ან ფიქრი ამგვარი
რას მოგვცემს წინასწარ?
ჯერ „რიგი ჩემია“
ღმერთით და გაჩენით,
„ხელადა ნაფულ“
იმქვეყნად წინაპარს;
სამშობლოს მიძიმე ტვირთს,
ჯერ შენი მხარ-ბეჭი,
ვერ ზიდავს,
ვდუმვარ და
არ ვამბობ ხმამალლა,
იღბალი,



ცხოვრების ხახაში ნალექი,
ფრთაგაშლილ ოცნებას
უსიტყვოდ დამარხავს.
არ გკითხავს არაფერს,
„ფეხებთან განვება“,
აჩრდილის ფერით და
შეფარვით ამას გთხოვს:
„ორიდან ერთ-ერთის
მოგინვეს არჩევა,
ან მხდალი სიცოცხლე,
ან „მოსვლა ყაყაჩოდ“...
„იქორის ყივილი“
წინაპრის დვრიტადან,
ვენახის ფესვივით
დაგრეხილ ძარღვებში,
ამ წუთისოფელში,
რას აღარ იტანდა,
ძუ მგელის ლეკვივით,
„აღგეთში ნაგეში“...
შენ უკვე დიდი ხარ!..

.....

ზღვისფერი თვალებით,
შეჰყურებ ზეცას და
„ბილიკზე“ კვალს ტოვებ,
მოდიხარ წინოს ჯვრით,
გვარით და სახელით,
რომ ანმეოს წარსული
მუდმივად ახსოვდეს...
...შენ უკვე დიდი ხარ!..



დიდება უფალს

ოცდაათობხმეტი საუკუნე არ არის ცოტა,
 არ არის ცოტა, მაგრამ მაინც გვეცოტავება,
 ეს ეპოქებში მიღებული, ჩვენია ცოდნა,
 თითო ლუკმად და თითოეულ სტროფად, ტაეპად.
 ზოგი შემორჩა ისტორიის „გასანთლულ ფურცლებს“,
 სხვებმა ისურვეს უსახელო სახელი გმირის,
 ზოგიც ბაძავდა მოფუსფუსე პანია ფუტკრებს
 და გაიკეთა იანუსის ორსახა გრიმი.
 აზელილია ერთმანეთში შური, სიმართლე,
 მაგრამ ირჩევა დღეს ადვილად ცრუ და მართალი,
 „შავ ტალანებში“ მაინც აღწევს უფლის სინათლე,
 კუთხეში ყრია დიდ გორებად „ჭორის ნათალი“.

აიეტს ჟამმა მხოლოდ „დიდის“ სახელი მისცა,
 ვერ გაამუქა მის მნათობზე „პატარა ლაქაც“,
 მედეასა და იაზონის ზეციურ ფიცმა,
 მთელი შემდგომი ეპოქები ღერლილად დაფქვა.
 ეს სიყვარული უწმინდესი, უთვალსაჩინო,
 „ლეგენდის ტოგით“ შემოსილი მოედინება,
 კაცობრიობის მან გონება უნდა არჩინოს,
 „ყოვლისა ნათლის“ შემოქმედმა ასე ინება.

ჩვენ ვართ კოლხები, კოლხიდაში დაბადებულნი,
 შთამომავლები ჰელიოსის უმრწმესი ვაჟის,
 იბერიელთა, შონთა, ზანთა ძმათა კრებული,
 გენეტიკური ბადიშები „ქართული ხაზის“.

მომავლისაკენ ფეხი-ფეხში ვიაროთ მწყობრად,
 ნინოს ჯვრით ხელში გავიაროთ „ხიდზე ბენვისა“,
 ჩვენს მტერს, ორგულს და მოლაღატეს ვუტიროთ ყოფა,
 სამშობლოსათვის „მკლავის ქნევა“ თუკი გვეღირსა.

რისთვის გვჭირდება ლაი-ლაი, მძლეთა-მძლეობა?
 აგერ, ბურთი და მოედანი „მწვანე მდელოთი“,
 „დიდგორის ველზე“ ჩვენ ჩავხერგეთ უკვე ხეობა,
 ჩვენი დროც დადგა, ქართველებო! რა რიგ ველოდით!



მომავლისაკენ! მერმისისკენ მივაპყროთ მზერა
და წინ ვიაროთ, რადგან „ზურგი“ ჩახერგილია,
წმინდა გიორგიმ გვინინამძღვროს, გვაკურთხოს ზენამ,
გარდაცვალება თბილ ლოგინში რა ხეირია!
ღმერთო! ამას გთხოვ: შეგვარიგე, ნუ დაგვყოფ აროს,
გვატარებინე ჩვენი მხრებით, ჩვენი სანილო,
ძე და ასულნი მოუმრავლე, უძლეველ ქართლოსს
და საქართველო არასოდეს აღარ განირო!
კაცობრიობის დასაწყისის გვჭირდება მიჯნა,
აღმოსაჩენად წინაპრების ქართული კვალის,
როცა გაბრწყინდა უკუნი და ნათელი იქმნა,
ცეცხლი აინთო კერიაში, ახრჩოლდა კვამლი.
ხელჩასაჭიდი დაგვიტოვა ჩვენ ისტორიამ
და საჭიროა გადავქექოთ ჟამთასვლის მტვერი,
სხვები არ ვიცი რას ბჭობენ და რას მისტირიან,
ჩვენ, ჩვენი ვცადოთ, გავიაროთ „ულრანი ტვერი“,
ტვერი წარსულის, ბუნდოვანი ბურუსიანი,
თუმცა აქა-იქ ჭეშმარიტი გამონათებით, –
უფლის შექმნილი სულ პირველი ადამიანი,
იყო ქართველი, დასაბამით იშვნენ ქართვები.
დიდებულება ამ საკითხზე ფიქრი და ბჭობა,
დედამ ქართველისამ დაურწია „ანის“ აკვანი,
ასეა, ზოგჯერ საჭიროა აზრები ჭროლა,
კვერცხი აქ „დავდოთ“ და ავტეხოთ სხვაგან კაკანი.
კითხვა დაისმის მიამიტი, თუმცა ნათელი:
„კავკასიონზე რად მღეროდა დიდი ესქილე?
ან „მედეასთვის“ დამაშვრალი, ღამენათევი,
რატომ აღმოჩნდა ევრიპიდე, მისი მენყვილე?“ –
სხვაც ბევრი ისმის შეკითხვა და მშველელი არ ჩანს,
არ ჩანს, რადგანაც ისტორიას არ სურს პასუხი,
თანაც საჩვენოდ მას „ენაში“ არავინ ქაჩავს,
ნუმეუმი გდია, როგორც ტახი, ჭორით ნასუქი.
სხვანი მძღაგრობენ და სიმართლეს ასახიჩრებენ,



ჩვენ კი ვიცინით და თავს ვაქნევთ უმისამართოდ, სადღეგრძელოში ქართველობას ყველა ვიჩივებთ, „ჯიხვის ყანწებით“ ვადღეგრძელებთ მამულს
სამადლოდ.

სწრაფად იღევა უმაქნისად განვლილი ჟამი და ისტორიაც სხვას არგუნებს საჩვენო „დაფნას“, დანთხეულია „გაყვითლებულ ფურცლებზე“ შხამი, დაობს ნიფნიფი და იმონმებს ნუფნუფს და ნაფნაფს! მორჩა, გათავდა, დავასრულებ საყვედურს სხვათას, თავადაც ასე ვმოქმედებ და მიმოქმედია, თუმცა ამ აზრებს, საჩოთიროს, იმიტომ ვხლართავ, ზეცის კურთხევით ქართველობა ჩვენი ბედია. რამდენი ლექსი მოუძღვნიათ მამულო შენთვის, რამდენჯერ ხმალი გადამტყდარა, ჩაშლილა მკლავი, მაგრამ ყოველთვის ჭირისუფლად გვყოლია ღმერთი, დაგვიმჩნევია წარსულისთვის ქართული კვალი. ცრემლები ბლომად გვინთხევია, სისხლის ტბორებიც, მენამულ ლაქად დაგმჩნევია ქართულო ზეცავ, კაცობრიობის ისტორიის ჩვენ ვართ ტოლები, ეპოქებს ვებრძვით და „ჰოესაც“ გმირულად ვკეცავთ. რომელი ერთი ჩამოვთვალო „მცირე“ თუ „დიდი“? მეფე, გლეხ-კაცი, სარდალი თუ შენი ასულნი? უკუნ წყვდიადში ბოროტების, ჩვენ სანთლით ვლიდით და საამაყო ამიტომაც დაგვრჩა წარსული. მაშ, ვიამაყოთ, საამაყო რადგან გვაქვს ქართველთ, ოღონდ გვახსოვდეს, რომ აწმყოდან მოსჩანს მერმისი, ჩვენ წინაპრების ნაოფლარზე რომ ღამეს ვათევთ და რომ ჩვენია უფლის-ციხე, ბანა, ხერთვისი. აქაც რომელი ჩამოვთვალო, „დიდი“ თუ „მცირე“? ვარძია, ოშკი, ხახული თუ თვით ნარყალა? რა მონასტრები ავაშენეთ, ავაგეთ ციხე, ერთი ერისთვის ეს მრავალგზის განა არ კმარა? მეტს ითხოვს სული ბოზოქარი, დაუდგრომელი,



ნიჭის, სიკეთის აღმაფრენას ფოლკლორში, ქვაში,
ღვინის, პურისა და „ჩაკრულოს“ ჩვენ ვართ მშობელი,
ცეცხლისმფრქვეველი ჩვენც გვყოლია
თეთრმუზლა რაში. –

მედეა, ნანა, შუშანიკი, მეფე თამარი
და ჯავახეთით შემოსული მადლი უფლისა,
დედა ქართველისა – ქეთევანი, სხვანი მრავალნი,
მამულო ჩემო, შემოგვევლე, შენი გულისა!
მზის ძე, ფარნავაზ, მირიანი, ვახტანგ, აშოტი,
ბაგრატ, დავითი, დემეტრე და „ბრწყინვალე ბიჭი“,
მერე ნელ-ნელა ავიშალეთ, ღმერთსაც დავშორდით, –
„პატარა კახი“ – გადაკრულად სიტყვის თქმა მიჭირს.
დიდი ტკივილი, უსამველოდ დიდი ტკივილი,
ჩინგიზის რისხვას ასხლეტილი ჯალალ ედ-დინი,
არ იყო ცრემლი, შეწყალება, თუნდაც ჩივილი,
და იყო ხიდის მოედანი გადაჭედილი.
„მზის ჩასვენება“ მარადისი, მტრისგან ნანატრი,
წინაპართ რწმენა და იქორი თითქოს დამინდა,
თავისუფლება სამწლიანი, „ბედის დანართი“,
„ნითელ ეშმაკზე“ საქართველოს ძალით დანინდვა.
სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგვე და

ყველაფრის შემძლევე,
არ მასვენებენ მუზეუმი და ფიქრი ღალატზე,
ერთ წრეზე ბრუნვას ჩვენ მუდმივად
როდემდე შევძლებთ?

„შუღლის კარები“ სამუდამოდ თუ არ ჩავრაზბეთ?
გვიშველე კვლავაც, შემოქმედო! შენი გვაქვს რიდი,
მოგვეცი ძალა, რომ ხელი ვკრათ ღალატს ქარაფით,
„იქმნას ნათელი“ გაიფანტოს, გაბრწყინდეს ბინდი
გვერქვას ქვეყანა და არ ვიყოთ „ბედის დანართი“.
„წყალნი წავლენ და დარჩებიან ქვიშანი მხოლოდ“,
ერთი მესია კვლავ არგუნე მინას ნასისხლარს,



გაგვამთლიანე და გვამლერე „ჩაკრულო“ ქოროდ,
ვფიცავთ შენს სახელს, რომ „ხის აბჯარს“

ისევე ავისხამთ.

არ მავინყდება, მოლალატე თანამოდმენიც,
უდღეურ დღეთა მათევარი ჩვენი მეფენი,
ისტორიაში რომ ვენ ნახავ, რომ ვერ მოძებნი, –
მათი უგვანო საქციელი, შეუფერები.
მონათა სყიდვა, ისტამბოლის „ტყვეთა ბაზარი“,
„შვილო, გოგიავ!“ – მოლალურის ჩუმი ტირილი,
ხვიჩას დედის თავს დაცემული მძიმე თავზარი,
„ტეხურას“ პირას ამოსული გოჩას ტირიფი.
იყო „დიდგორი“, „ბასიანი“, თუნდაც „ხრესილი“,
მაგრამ ხომ იყო „ბაზალეთი“, „კრწანისის ბრძოლა?“
და, ვილაც აღა-საჭურისი, ჭკუაშეშლილი,
„ჭრელ აბანოში“ რომ ისურვა განცხრომით წოლა?
იყო და არა იყო ესე, ჩვენი ზღაპარიც,
ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, მძლეთამძლე გმირი,
ნიქარა ხარი, სალამურა, დევის ხარხარი,
უფერულ ჟამთა შესანიღბად, მსუბუქი გრიმი.
მოვდივართ ასე უთავბოლოდ და აცაბაცად,
ზოგჯერ ამაცნი და ზოგჯერაც შესაზიზღარნი,
არ დაილია, ეს „მოიცა“, „პანახან გვაცათ!“
არა და არა, არ აღსრულდა ჩვენი მიზანი.
მიზანი რაა? ესეც მგონი კარგად არ გვახსოვს,
ერთნი რასა და მეორენი, რასა ბოდავენ,
მაინც ვქადულობთ, იმედი გვაქვს გავიტანთ ახოს,
ისიც არ გვესმის, რომ არა გვყავს ქვეყნად მოდავე.
არა, მოყვარე! მოკეთე თუ სიკეთის მქმნელი,
ვინმე ისეთი, შეგვედაოს და გზა გვიჩვენოს,
თუმცა ყველასთვის ჩვენ სავესე გვაქვს „უხადი ქვევრი“
და თავს ვთავაზობთ, რომ როგორმე გამოგვიყენონ.
მაინც ვერ ვხვდები, რა ერი ვართ, რა გვინდა თვითონ,
რა დაგვიკარგავს და რად ვქექავთ სხვათა საქექარს?



ერთმანეთს ვებრძვიტ და ამ ბრძოლიტ თავს
კარგად ვირთობტ,
ჰო! იმას ვგავართ, „შინ გლახას“ და „გარეთ საქებარს“.
დე, მომიტყევონ, წინაპართა წმინდა სულეებმა,
მახჩობს ბოღმა და ამიტომ ვარ ასე შეშლილი,
ყურს ნუ დამიგდებტ, რაც ძოღან ვთქვი
ერთმა სულელმა,
მე მხოლოდ ერთი, თქვენ მრავალი, დავსვატ წერტილი.



„პური არსობისა“

რისთვის ძმობილნო,
 რად შემყურებთ ბოლმით და შურით?
 მე ვარ სიკეთე,
 არსობისა ვარ თქვენი პური.
 ჯვარს მაცვათ უნდა,
 მოგავლინეთ ჩემს მსგავსად რადგან,
 სიყვარულისთვის
 ეკლის გვირგვინს ულმოზლად მადგამთ.
 ნუ შემიძულეებთ,
 თქვენთან ერთად ვიშივი ღმერთის ძე,
 სასონარკვეთილთ
 ცოდვებისთვის რწმენად გელირსეთ.
 ნუ გამიმეტებთ, ნუ დამჯიჯგნით,
 ნუ დამკრავთ ლახვარს!
 მე ვარ იმედი,
 თქვენი გონი შურში რომ მმარხავთ.
 ეს ხორცის გროვა
 ერთმანეთს რომ ჰგლეჯთ ნაკუნებად,
 ჩემი სისხლია, სხეულია
 და ვერ ყურდება,
 შხამ-ბალღამისგან ავსებული თასი რომ მასვით,
 ეს მე ვარ თქვენში არსებული
 სული მოყვასი.
 რისთვის ძმობილნო,
 რად შემყურებთ ბოლმით და შურით?
 მე ვარ სიკეთე,
 არსობისა ვარ თქვენი პური.



ფერისცვალება

გავკადნიერდი და შეგთხოვე ფერისცვალება,
უფალო ჩემო, გზა მიჩვენე საით ვიარო,
რომ არ მეტკინოს ხორციელი გარდაცვალება
და სულნათელი შენს დიდებას
რომ ვეზიარო.

გავკადნიერდი, შენდობას გთხოვ
მხევალი შენი,
სინანულს ჩემსას ცრემლს მივანდობ
ლოცვით ნაფერებს,

გამომიწოდე ასადგომად
დაცემულს ხელი,
ღვთიური მადლი უსასოოს შემომამშველე.
ვკადნიერდები, ცოდვილმა რომ გთხოვო შენდობა,
საკმარისია უსასრულო ჭიდილი ბედთან,
უფალო ჩემო, განსაწმენდლად სული გენდობა,
რომ საიქიოს ფერნაცვალი მოვიდე შენთან.



კვლავაც სიზმარში...

ნუხელის, ღამე მესიზმრე, ღმერთო!
 კელაპტარს ვწვავდი ხატებთან ტაძრად.
 ცოდვებზე ფიქრმა ძარღვებში სისხლი
 ზღვის გადარეულ ტალღებად დაძრა.

კედლებზე სხივი, როგორც საცერში
 იფანტებოდა სარკმლიდან ხარბად,
 ეზოში ბზის ხე გალობდა ნანას,
 რომელიც ტაძრის მოძღვარმა დარგა.

იქვე მწვანეში ცურავდა მდელო,
 კუნძულისამებრ მოჩანდა რიყე.
 ვფიქრობდი, ნეტავ, სიზმრად კი არა,
 შენს გვერდით ცხადლივ უფალო, ვიყვე.

სანთლების ალი – სურო ხვიარა
 თავს ევლებოდა ფრესკებს და ხატებს.
 ის მინათებდა გზას შენსკენ სავალს,
 რომ მოვყოლოდი ღმერთო შენს ნატერფს.

ცოდვათა ქსელში გზა-კვალ დაკარგულს
 გული მიხტოდა ღამის უბიდან.
 ტაძრად მოსულთა შორის ვიცანი
 წირვაზე იყვნენ გარეუბნიდან.

ვაყურადებდი შენს ყველა სიტყვას,
 როგორც შუქურას, რწმენის საუნჯეს.
 ღმერთო, ძლიერო შენ შემენიე,
 ან მომიტევე ან დამამუნჯე!

ხალხი ტაძარში ანთებდა სანთლებს,
 ვისთვისაც, ღმერთო, ცოდვები იდე,



მე დარცხვენილმა ვერ შემოგბედე
ჩემიც გეტვირთა და გაგერიდე.

ვიდექი ჩემთვის, თავჩალუნული,
ვინერდი პირფვარს, ვუსმენდი წირვას.
მე ზიარების ვერ ვიცხე მადლი,
მიუსაფარმა და სულით მწირმა.

ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა!
იმეორებდა ხმამაღლა მრევლი,
ვიმეორებდი მეც მათთან ერთად
ცოდვების გამო მახრჩობდა ცრემლი.

ჩემი სულიდან ვუშვებდი ექოს,
როგორც ვიცხოვრე, დე, ისე მერგოს!



ღმერთო შენ ვინ გყავს გაღმერთებული,
ვის შესთხოვ შეველას, როცა მარტო ხარ.?
როცა არავის ესმის შენი და
ადამიანებს აღარ ახსოვხარ?..
ნუთუ კვლავ შესვავ სასმელს უმწარესს
ნაღველგარეულს, სისხლის გემოთი?..
თუ ისევ არსად არ გღებულობენ,
მე სახლში გელი, ოღონდ შენ მოდი.
ფეხს დაგბან, მაგრამ ვერ შეგიმშრალე,
(რადგან თმები მაქვს ახლა შეჭრილი...)
მეც დავარღვიე შენი მცნებები
ათიათასჯერ, გადაღეჭილი.
ღმერთო, ისევე ჭრიან ხეებს და
კვლავ ჯვარს გიმზადებს, ხელები მრუდე.
გასხეპილ ტოტებს შერჩა ეულად,
მიტოვებული ჩიტების ბუდე.



ოდა ქართულ ენას

მორაკრაკე ენა ხარ,
ენა – იადონების,
კრძალვით ანაკონები,
მისხლით ანანონები!
როგორ არ შეგიყვაროთ,
როგორ არ გაგიფრთხილდეთ,
ქართველ ერის დიდებას,
სიმამაცეს, სიმტკიცეს!
საგანძურთა საგანძურს,
ღვთის ნაბოძებ სიმდიდრეს!
ქართულ ენას, მშობლიურს,
უტკბილესს და უნმინდესს!
ჯაჭვგაუხდელს, ტვირთმძიმეს,
ნმინდა ნინო უნვდის ხელს!
ანკარა ხარ, საჩინო,
უფლის ნაწყალობები,
ჩვენი აღმაფრენა ხარ,
ჩვენი საგალობელი!
გურამიშვილ – ყაზბეგის,
რუსთაველის მშობელი,
შვილებმკვდარი დედების
ცრემლი – შეუშრობელი!
როცა საფრთხე გელოდა,
მტერი გვეძალებოდა,
როცა ჩვენზე ძლიერი
შენს თავს გვედავებოდა,
იდექ – ყველას იმედად,
იდექ – უღლელ დარაჯად,
ბევრ ქართველს გაუხვრიტეს
შენთვის გულიც, ფარაჯაც,
ილია და აკაკი
გედგნენ ერთგულ დარაჯად!



ტატო, გოგლა, სულხანი,
ამ ენაზე ფიქრობდნენ,
შენი სიყვარულისას
გულში ცეცხლს ვერ იქრობდნენ!
ვინ აღარ გაღმერთებდა?
– რობაქიძე, გრანელი,
ასათიან – ტაბიძე
და დეკაცი ფშაველი!
ირაკლი და მუხრანი
ნაზ ხვეულებს გიმკობდნენ,
შეუდარებ გალობით
სულსა და გულს გითბობდნენ!
გყავდა ბევრი დამცველი,
მტერს ვინ შემოუშვებდა?
მოხუცი თუ ჯეელი
მომხდურს ისრებს უშენდა.
შენს დამცველებს, მეომრებს,
ტყვიის არ ეშინოდა,
ხმალს, თუ ხანჯალს უშიშრად,
უმნიკვლო გულს უშვერდა!
თვითვე გვანუგეშებდი,
მკლავს იქნევდი, ბრძოლობდი,
არ გინდოდა ნახდენა,
გააფთრებით ომოზდი!
დედაენის გულისთვის,
სისხლიც ბევრი დაღვრილა,
მანაც გადარჩენილა
მალალ ღმერთის მადლითა!
ტყვია, ცეცხლი, ისარი,
არ გზოგავდა არცერთი,
მაგრამ სიტყვებს დაფერფლილს –
ხელნაწერად ვაქცევდით!
ყველა გასაჭირიდან



გამოსავალს ვაგნებდით.
ქარგულწარწერებიან
სალოცავებს ვაგებდით!
სურდათ ენის დაცემა,
ვინ არ ყავდა მოდავე,
თუ გაანადგურებდნენ,
ქართულ სულსაც მოკლავდნენ!..
მანც ვერ დაგაჩოქეს,
მოდღვნილი ხარ უფლისა,
ასეთ ენას, მშვენიერს,
აბა, ვინ არ უფლისა?!
ერი იქ დაეცემა,
სადაც ენა წახდება,
გაუფრთხილებლობისთვის,
ღვთის სამსჯავროს წარსდგება!
მტყუან-მართალს, ქართველნო,
თვით უფალი გაარჩევს,
ჩვენი – ჩვენვე დაგვრჩება,
დაველოდოთ განაჩენს!



მეგობარო მიაგზა

შორსა ხარ,
თუმცა გულს უხარია
ეს მონატრება
საოცრად წმინდა.
კლავიშს ათრთოლებს
ავე მარია,
თვალი ცრემლებით
რომ დამიბინდა.
რა სიმყუდროვე
დამკვიდრდა ირგვლივ,
და რა სიმშვიდეს
იტევს კელია.
ცხოვრებისაგან
არ ველი გვირგვინს,
გზა გოლგოთასკენ
გასავლელია.
მიაგზე,
როგორ დაგწვავს მზის ალი,
და ბრწყინავს ნამი
მწვანე მოლისა,
რომ დაუკოცნე
მაცხოვრის კვალი
მინას,
ღვთიური ელენისას.
და ვგრძნობ ძვირფასო,
სამშობლოს სწუხარ,
კუეუკლიასთან
ცრემლის ფრქვევისას.
თავისუფლებას
ავედრებ უფალს,
კვლავ განსაცდელში
მყოფი ერისას.



ფრაგმენტი ლოცვიდან

ათჯერ მოვისურვე
ამოსვლა შენამდე,
ათჯერვე მოვბრუნდი,
რადგან დავმზიანდი.
რადგან დავმზიანდი,
ფესვიდან ღერამდე
გავხდი კადნიერი,
გავში, დავზიანდი.

როს დღე მეთერთმეტე
უკან მოვიტოვე,
ფუჭად დამაშვრალი,
უქმი და ამაო,
კვლავ კადნიერად
ვითხოვე: მომიტევე,
ამ მეთორმეტედაც
მომხედე, მამაო...



(მარიამობის შემოსვლის ლოცვა)

...მზე ჩასვლისას იგრძენ, წამო,
მე... სიჩუმე... და... სალამო...
მზერა მშვიდი და საამო,
აღსარება სამუდამო...
მოვედ შენდა, მარიამო,
ტკივილები დამიამო,
სული მარად ფრენას ლამობს –
ნუ შემრისხავ ამის გამო, –
მომეც შვება და მაღამო,
სინანულით არ მანამო,
სიტყვა წრფელი, მხნე და ამო,
შემინდევ და შესდექ, წამო,
უკვდავება რომ ვინამო,
ლიმით მითხარ: „ადექ, წამო!“...



ივარიის ღვთისმშობელს

შემოგყურებ, როგორც დედას შვილი,
შენი ხატი – დედის ხატი იგივე,
შენს კალთაში თავს ჩავრგავ და ვიცი
შენ უშველი ჩემს დარდებს და ტკივილებს...
მინდა გითხრა, შენი მადლით როგორ ვთბები,
ისე ვთბები, რომ ამ ლექსსაც ვბედავ,
დედაჩემის მანდილი გაქვს, ხმა და თმები,
ღვთისმშობელო დედავ, ჩემო დედავ...
შენი გულის და ხელების სითბო
გრძნობს როგორ ვარ სევდით გათოშული,
დედაჩემო, პატიებას ვითხოვ
ერთი ურჩი და თავნება შვილი...
გული ჩემი შენ გენუკვის ოდენ,
თვალნი ჩემი ესვენ მხოლოდ შენდა,
შენს დაცრემლილ ლოცვის ბილიკს მოვდეგ...
მინდა გული გაგიხარო, დედა!



გადასარჩენად

ღმერთო, მიეცი გადასარჩენად
ვისაც რა უნდა, ვის რაც სწყურია!
ცოდვილ მინაზე ღირდეს დარჩენა
მაშინაც, როცა მენამულია!

განკიცხულს – თბილი სიტყვა და მხარი,
უჭეროს – ჭერი, მთესველი – ახოს,
მოგზაურს – ნავი, მუსიკოსს – ქნარი,
ახდენა ნატვრის, სულში რომ სახლობს!

სიტყვას – გამგები, ქედმაღალს – რიდი,
პოეტს – მუზა და მწერალს – მკითხველი,
მხოლოდ უფალი – ვით ჭეშმარიტი
შემფასებელი და განმკითხველი!

ობოლს – მშობელი, უმადოს – მადა,
დამშეულს – ლუკმა, ცოდვილს – შენდობა
და ყველას ერთად – სამყარო სადაც,
კაცი კაცს, როგორც ღმერთს მიენდობა!

ყველაზე დიდი მაქვს სათხოვარი:
რაც უნდა რთული იყოს დროება,
შეგვინარჩუნე დამატოვარი
მამული, ენა, სარწმუნოება!



ოდა ქართულ ენას

შენ მოდიოდი, მზედ, წვიმად, ქარად,
ცხენის ფაფარზე ეკიდე ბრჭყალით,
ხელისგულებზე ჟონავდი სისხლად
და სიმღერებად მიჰყვებოდი მდინარის ჩქერებს.
აღზევანიდან ბრუნდებოდი მარილით ცრემლად,
კოცნით, ალერსით იხუტებდი გულში დამაშვრალს,
კვირტივით ლალად იღვიძებდი,
მწყემსის, წმინდანის, მეციხოვნის და სხვათა სულში
ამოდიოდი მაფშალიის თეთრი ყელიდან

ლოცვა-კურთხევად

სიხარულად-ოხვრა-გოდებად,
მუხის ფოთლებზე, ვარდის რტოზე ნამივით თრთოდი
ცისკრის ზარებად გუგუნებდი ენავ მზიანო,
გზააბნეულთა შუქად ენთე ენავ წყლიანო!
თამარის ლაშქარს წინ უძლოდი ამღერებული,
გამარჯვებული ბრუნდებოდი დიდგორით – გელათს
და მოაღწიე დღემდე ზღაპრულ ფრინველის დარად
ცრემლად, ტკივილად, სიხარულად, ლოცვა ვედრებად.
ქართულო ენავ სულ იმზიანე,
ფრთებად გქონდეს უკვდავება მარადიული,
სულ ილაჟვარდე,
ლხინის, დღეობის იყავ მეუფე
და შენი ცეცხლით ვთბებოდეთ მარად დარიალიდან –
პონტოს კარამდე!

ენავ ქართულო, ჩემო ენავ, ენავ ღვთიურო,
ლექსად სიმღერად ანთებულო, უკვდავება მარადიულო!



აღსარება

ღმერთო, იმას გთხოვ,
არ გამხადო ისე საბრალო, —
ჩემი ცოდვები, უსინდისოდ
სხვას დავაბრალო;

მე ვერ დავლაშქრე
ევერესტი ან ტიანშანი
და ვერც რაინდის ვერ მოვირგე
აბჯარ-ჯავშანი;

თუმცა ვერ გავხდი მე სხვებივით
ცნობადი, დიდი...
არასდროს ვიყავ მოყვასისთვის
ორგული, ფლიდი.

მუდამ ვცდილობდი, ვყოფილიყავ
მათთვის გზა-ხიდი...
არას გემდური, — ჩემს ცხოვრებას
მე თვითონ ვქმნიდი.

P.S.

ღმერთო, იმას გთხოვ,
არ გამხადო ისე საბრალო, —
ჩემი ცხოვრების შეცდომები
სხვას დავაბრალო!



რად მნუხარე ხარ, სულო ჩემო,
რად მნუხარე ხარ.
რად დამიტევებ
ურვათა შინა?!
რად მნუხარე ხარ, სულო ჩემო,
რად თრთი, კანკალებ,
რამ შეგაშინა?
უფლის ნაწილო,
უფალსავე უნდა მიენდო,
გული გაუხსნა და იხილო,
მიგიძღვება რამეთუ წინა,
რად მნუხარე ხარ, სულო ჩემო,
რად მნუხარე ხარ,
რამ შეგაშინა?
რად მნუხარე ხარ, სულო ჩემო,
რად მნუხარე ხარ?
ღმერთს თუ სასოებ,
მოვა დრო შენიც,
რომ მშვიდობით დაბრუნდე შინა;
რად მნუხარე ხარ, სულო ჩემო,
რად მნუხარე ხარ,
რამ შეგაშინა?

**შეხვედრა ქრისტესთან**

შეხვედები მას და...
გული გრძნობს სხვას...
მოსწყდები მყარს და...
ენვევი ცას...
მისი მზე გათბობს და...
ათბობ შენც სხვას...
ყოველდღე ხარობ და...
ახარებ ხალხს...
გაჩერდა შენთვის და...
ვერა გრძნობ ჟამს...
უმისოდ არც გსურს და...
არც ვინმე გწამს...
ხედები, ხელს ჰკიდებ და...
ტვირთულობ ჯვარს...

**პაციენტი – ჩემი შემოქმედება**

შენ მომენატრე, როგორც მხატვარს – თავის შედევერი და როგორც პოეტს უსაყვარლეს ლექსის რითმები, მინდა გიცქირო, შენგან თქმული კვლავ მოვისმინო: „შენ, ხომ მე სიკვდილს გამომგლიჯე, არ მავინყდები.“ მე ბავშვობაში მეოცნებე მხატვარიც ვიყავ, ყმანვილქალობის ჟამს მენვია ლექსების მუზაც, ჭადრაკში ვწვრთვენი ბრძოლის ჟინი და მოთმინება, რაც ავადმყოფის სასთუმალთან თან მახლავს მუდამ. დღეს ვარ ექიმი და დუელში, თვით სიკვდილს ვინვევ, შენთან ჭიდილი ნაადრევად რომ გაუმართავს, მოჭადრაკე ვარ, ფიგურების ნაცვლად დაფაზე, ნამლებს რომ აწყობს, იარაღად შენს სასთუმალთან. შენა ხარ ჩემი ტილო-შედევერი, უკვდავი ლექსი, მოჭადრაკისგან მოგებული რთული პარტია, რაც შევძელი მსურს გაგიმხილო, მარტო კი არა, ღმერთის და თქვენი სიყვარულით გარს რომ მარტყია. ღმერთს ყვარებიხარ, მიგიტევა ცოდვები ალბათ, ვის, რა ულხინს და ვის, რა უჭირს, ხომ თვითონ იცის, და საჭირო დროს, მე აღმოვჩნდი შენს სასთუმალთან... დიდება უფალს! ასეთია განგება მისი.



ლაზის გოდება

*შენ, ჩვენო თანაძირო, თანაფესვო, თანაჯიშო,
თანაჯილაგო, თანამოდგმავ, თანაენავ, თანასისხლო,
თანახორცო, თანაარსო, თანაგულო, თანასულო,
გაყოფილო განუყოფელო, ნანინანატრო და მოურჩენელო
ტკივილო ჩვენო.*

ლაზი ვარ სისხლით ქართველი,
ნეტავ რას მატყობთ თურქისას,
თვალეებში მედგა ზღვის ფერი,
შავმა დრომ გამიმუქისა.

სისხლის წვიმები მანვიმეს,
ჯვარს მაცვეს ქრისტე მაცხოვრის,
სამშობლოს ძუძუს მომწყვიტეს,
ქართველთა ძირძველ საცხოვრისს.

ჩემს სახლში მდგმურად მაქციეს
მკვლელი გამიხდა მსაჯული,
ქრისტეს ტაძრები მინგრიეს,
შემაცვლევინეს წეს-რჯული.

და თუმცა მტერმა ვერაგმა
ძირ-ფესვიანად გამთელა,
ენა ვერ გადამავინწყეს,
ქართველი დავრჩი ქართველად.

დღეს უცხო ქვეყნის გერი ვარ,
ვარ, როგორც ზღვაში მეჩეჩი,
ტაძარში ქრისტეს კი არა,
მაჰმადს ვადიდებ მეჩეთში.

ნუთუ არ ფიქრობს თბილისი –
დედა ყოველთა ქართველთა



ძალით რჯულშეცვლილ ლაზების
კვლავ ქრისტეს რჯულზე მოქცევას.

მე ჯერაც მომდგამს ქართული
ენა, სული და იერი,
ჯერ კიდევ გულს და სისხლს მითბობს
მოყვასი სისხლისმიერი.

ვშიშობ, ვაი თუ ჩემს მოდგმას
ამოუშანთონ წარსული,
ვაჟს დაავინწყონ ლაზობა,
გამიოსმალონ ასული.

თუ არ გვიხსენით ლაზები
სასიყვარულო არხებით,
ენასაც დაგვაფინყებენ,
თურქ-ოსმალონი გავხდებით.

შენ გევედრები, ჯვარცმულო,
მინა ლაზ-ქართველ-ივერთა
კვლავ დაუბრუნე სამშობლოს,
დარჩენილს შენდა იმედად.



ტყუილ-მართალი ლექსი

„იქნებ იყავ, იქნებ არც კი
იყავი და მოგიგონე“.
ჟადენ

გამოვიგონე.
შენი სიმშვიდე გამოვიგონე.
თორემ დღე-ღამის უღვთო ღრიალში
რომელი ზღაპარი მიშველიდა?
ანდა რომელი უშვილო დედაბერი მიშვილებდა?
გამოგიგონე!
კიდევ კარგი, რომ
გამოგიგონე.
თორემ გულქვა დედინაცვალი
შინიდან გამიშვებდა
და მანამ ივიშივიშებდა,
სანამ მამაჩემი...
ეჰ! რალა გავაგრძელო?!
ისედაც იცი.
გამოგიგონე!
ოცნებით შუა გზაზე რომ დაგწეოდი
და ხელისგულიდან გაქცეული ბედისწერისთვის
წყაროზე ჩამესწრო,
გულიდან ნუხილი მოვიგლიჯე,
ხელუკუღმა მოვისროლე,
უკან რომ აღარ მიმეხედა
და აღარაფერი დამენახა.
გამოგიგონე!
მოგონებებში ახლადფენადგმული ბავშვივით რომ
აგდევენბოდი,
კვალში ჩაგდგომოდი,
მთვარის შუქის ვერცხლისფერი –
ნაცრისფერი გუბეებიდან მეგროვებინა



და სიბერეში
გაუთენებელ განთიად შუბლზე ნაკრულს,
უთვისტომოს,
უსინათლოს,
ნისლით სავსე სათლით ხელში,
აჭრილი რძის ქაფიდან
სავსე მთვარე ამომეგორებინა
და ზამთრის გრძელ ღამეებში,
გორას როცა მიეფარებოდი,
ფერდაკარგული მუყაოს ქაღალდიდან
შენი ჩემთან ყოფნა
ხელთავიდან
ახალ მთვარედ გამომეჭრა,
გამოგიგონე!
მერე ვიქნებოდი შენით მთვარეული
და შენთან ერთად გადავივლიდი
მოთიბულ ველებს.
შენი თვალებით დავითვლიდი
ყველა იმ თავთავს,
მზით გარუჯული ხელებით რომ
თავთუხისფერ ნაწნავებში ჩამინწავდი.
მე ვიქნებოდი მთვარეზე დანინდული
და სარეცელზე ძილისპირულის
ჭრელ სიზმრებს ჩუმად მოვპარავდი
თავგასულ ფერებს.
ხელისკანკალით მოვქსოვდი
პანანინა წინდებს
და დათოვლილ ბილიკებზე
დედა ბელურას სიფრთხილით გადავაფრენდი
ჩავარდნილ თვლებს –
ფრთამოტეხილ უმწეო ბარტყებს.
შიგ ჩავაქსოვდი ყველა დღეს და სუყველა ღამეს!
ყველა ამბავს და ყველა ზღაპარს!



ყველა იგავს და ყველა არაკს!
 ტყუილს და მართალს!
 მოგიყვებოდი,
 ჩემი ხელებით ამოყვანილ მზეს,
 როგორ ვახვევდი თეთრ მარლაში თოთო ბავშვივით,
 ანდა სათუთად როგორ ვასხამდი
 რძისფერ გემოს სადღეებელაში
 და ღვთისმშობელის სადიდებელ ლოცვასთან ერთად,
 როგორ ვმღეროდი „იავნანას“
 ია-ვარდის დედაშვილობის...

და ირწეოდა აკვანი ჩვილის
 და აღარ იდგა მინური უბრად.
 გაცეხული,
 თეთრი ფრთებით მაგ სიჩუმეში,
 შენი სიმშვიდე
 მუხლებზე იდგა.

.....

კიდევ კარგი,
 გამოგიგონე.
 თორემ უშენოდ რა მოიყვანდა
 ნუხანდელ სიზმარს!



სვატიცხოველი

ათასი წელი ისმის რეკვა შენი ზარების,
ერის სულიერ სიდიადის სიმბოლოდ იდექ!
ბარბაროსები აწყდებოდნენ მამულს ზვავებად
და შენი ქვეყნის სატკივარი ბოლომდე ზიდე!..

ო, ვინ ჩამოთვლის ურჯულოთა დაუნდობლობას,
შენ უქარქაშო ხმლებს მიენდე და ციურ სიბრძნეს...
განამტკიცებდი დასაბამით ერის ობლობას
და ვზომავთ შენი შემართებით დროსა და სივრცეს...

ვერც ყაენებმა დაგაჩოქეს, ვერც თემურლენგმა,
ქრისტეს სულიერ სიდიადეს ბოლომდე ენდე!..
თუმც განყდებოდნენ ქარიშხლები მღვრიე და ლეგა,
ბზარი არასდროს გასჩენია შენს მაღალ კედლებს!

ხარ აზიდული საუფლოში მეშვიდე ზეცის,
ხან მზის ამოსვლას ეფერები, ხანაც დაისებს...
შუქი გელვრება ჩანჩქერებად ოქროს და ვერცხლის
და გაფენია ღვთიურ ნების სიდარბაისლე...



შენ ამბიონზე იდექი!

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონს

შენ ამბიონზე იდექი და ლოცულობდი მხურვალედ!
ცა იმღვრეოდა მამულის, იგრაგნებოდა ღრუბელი!..

შენ ამბიონზე იდექი ზეცისკენ ხელაღმართული
და ღმერთს ესმოდა ლაღადი – ლოცვა-კურთხევა
ქართული...

ჯარი მოადგა ურიცხვი თბილისს, მარტყოფს და
მახათას,

მოჰქონდათ დროშა წითელი და მოუძლოდა ჩაღარატი!..
სისხლის მორევში სცურავდა: დაბა, ქალაქი, სოფელი,
და დასჩხაოდნენ ყორნები მიწას გვამებით მოფენილს...
მოგადგნენ ბარბაროსები, კაცმა გულისთქმა დასძარი!
შენ ნაწილ-ნაწილ აგკაფეს და ზედ დაგამხეს ტაძარი!..



ოზკის ანდერძი

დავბერებულვარ, ნაოჭებს ვითვლი
და კვირტებივით ჰყვავის ჭალარა,
ვაითუ, ფესვში სიკვდილი მიზის,
თუმცა ამდენი ხანი მატარა.

თუ კურთხეული ვარ ქართველთაგან,
ძვლებში რად მამტვრევს მაშ, ნოსტალგია?
ქართველო, შენი წინაპრის კვალი,
ტაო-კლარჯეთის მიწას ატყვია.

მე ვინ მომირჩენს დროის ნაქუხარს,
ვინ დამიამოს დარდი, ფიქრები...
და სანთელივით ერთ დანთებაზე,
ნელ-ნელა სევდის ალით ვინვები.

ეჰ, ჩემო მიწავ, რწმენის საუნჯევ,
როგორ შორსა ვარ ქართველებისგან
და თურქის ხელში ლამის მეჩეთი –
ბნელ ღამესავით დამიძმობილდა.

ამას წინ ვნახე ჩემი ქართველი,
ჩუმად და მალვით კედლებს ჰკოცნიდა,
მაშინ ვიგრძენი, დღემდე ქართველში,
ძალიან დიდი რწმენა ყოფილა.

გამთენიისას ჩამესმის ხმები,
რომელიც ძილშიც უმალ მალვიძებს,
რამდენი ხანი ვსაუკუნდები,
ცრემლით ვიხსენებ მინდვრის ყვავილებს.

გამაკრეს ჯვარზე, ჭვარტლში მახრჩობენ,
ხან მანამებენ, ხანაც მანგრევენ...



და ქართველები დადუმებულნი,
ცრემლით ალტობენ ტაძრის ნანგრევებს.

ლამის გავთურქდი. ენით ვბორძიკობ...
იქ, ჩემს მინაზე, მეჩეთებს ვხედავ,
ვაი, ტკივილო! და ვაი, შიშო,
ჯობია ერთად ადამი გერქვას.

აიღეთ ხმალი! აღმართეთ დროშა!
დროა, ვიბრძოლოთ ჩვენი განძისთვის,
ყოველდღე ჩვენს გულს დაცემულს ვხედავ,
დრო მეხურება შავი ჩადრივით.

შენ, ჩემო ჭკვიანო, ლამაზო ქართველო,
მოდი და აღმართე ქართული დროშა,
არ მიმატოვო, მომკიდე ხელი,
თორემ მეც ლამის თურქულად გლოცავ.

გადარჯულდით და დაეცით განა,
ვინგრევი, თქვენი ბებერი ოშკი
და როცა მოხვალთ ჩემთან, იცოდეთ,
დაგხვდებათ მხოლოდ აგური ორი.

ისმინე ქართველო, ანდერძი ესე
და მოსვი სიმნარის ჩემი ფიალა,
გიგზავნი ცრემლებს, გიგზავნი ლექსებს,
რომ გულისგულთან ჩამოგიაროს.

აღბათ თქვენს გულთან მოვა ეს ლექსიც,
გამოიღვიძებს ქართველი ერი,
გახსოვდეთ, ოშკთან უფალი გიცდით...
და მომავალი სვებედნიერი.

**აღსდები სულო!**

*„არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლითა მიმართ და ჯორცითა,
არამედ მთავრობათა მიმართ და ჳელმწიფებათა,
სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის
საწუთროფსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა,
რომელნი არიან ცასა ქუეშე“.*

(ეფეს. 6-12)

აღსდები სულო, აჰყევი მწვერვალს,
იქ გელის მზე და ხმალი ელვარე,
იქ წუხელ ყინვით დამზრალ თებერვალს
გათოშილ ხელებს უთბობდა მთვარე.

აღსდები სულო, შენ დაგიფარავს
ეს გზა ვარსკვლავთა შუქით ფენილი,
და სიყვარულის გაგიშლის კარავს
ზეცა – ქვეყნიდან გამოდევნილი.

აღსდები სულო, ამ წყეულ მიწას
მხოლოდლა კაცთა სისხლი სწყურია,
მის ბინძურ სხეულს ეშმაკი იცავს,
ეს სისხლი სულის საფასურია!

აღსდები სულო, დასტოვე ცრემლი –
ცრემლი ლაჩართა სიქადულია,
შენთვის ხმალს სჭედავ სახლას გრდემლი,
რომელზეც სხვა ხმალს არ გადუვლია.

აღსდები სულო, ნუ დაეცემი,
ნუ დაანახებ მომხდურს ჭრილობას,
სთქვი: ეს ჭრილობა არ არის ჩემი,
არც ამ სისხლს სურდა ჩემი შვილობა.



აღსდექი სულო, სასონარკვეთა
შენს ფერხთქვეშ მოკვდეს, როგორც მამონა,
შენ კი შენს გამო ჯვარს გაკრულ ღმერთთან
ნუ შეგაშინებს ლურსმნების პოვნა.

აღსდექი სულო, ქარში, წვიმაში...
შენ მხოლოდ ერთი ფიქრით იარე –
ჩვენთან არს ღმერთი! ახლაც და მაშინ,
გზად დაცემულს რომ გიხვევს იარებს.

აღსდექი სულო, ნუ შეგაშფოთებს
თუ წინ სავალ გზას სიკვდილი წაშლის,
ფერხთქვეშ იხილავ სისხლიან ფოთლებს,
შორეულ სატრფოს დაჰკარგავ ქარში...

აღსდექი სულო, სხვა სიყვარული,
სხვა სიხარული რა გაბადია –
მხოლოდ ღვთის სისხლი შენთვის დაღვრილი,
ყველა დაცემა რომ გაპატია.

აღსდექი სულო, მძიმე ლოდებით
შავი ტალღები ამსხვრევს თეთრ ნავებს,
ოჰ, შენ კი მშვიდად დაელოდები
მას, ვინც ამ ზღვას და ქარს შეაკავებს.

გახსოვდეს, მოვა ის ერთი წამიც –
წამი სიმშვიდის და ნეტარების,
როცა გამოცლი სიცოცხლის სასმისს
და უფალს შენსას მიებარები.



ნინოს მიძინება

მსწრაფლად ინათა, ელვარე სვეტმა
ზეცა გააპო, ქვე დაეფინა,
მიელამუნა მინავლულ სახეს
და მკრთალ გუგებში დაიდო ბინა.

მაცნედ მოვლინდა სვეტი, ჰრქუა ნინოს:
„მინიერ ღვანლის გასრულდა ჟამი,
ან განემზადე, წმინდა ქალწულო,
თვითვე გფარვიდეს „ნასხლევის“ ჯვარი“.

„სამოთხის“* შუაგულ ხის ეკლესიას
გასცქერის ნინო დაღლილი მზერით,
უბნობს დობილთა, მისი ვედრებით
ვითარ შეტოკდა ჰაერში ძელი.

ვითარ დაეშვა ხუროთა თვალწინ
შარავანდედით გარშემორტყმული
და აღიმართა მსწრაფლ ეკლესია,
გაასხივოსნა ქართლისა გული.

ციმციმებს სვეტი, მაცნე ზეცისა,
შემოევლება ნინოს დაღალებს
და ეშურება მძიმე მინიდან
„ტყვე“ — ქალის** სული ციურ სამანებს.

ანგელოსთ დასი უგალობს ლხენით:
„შენდა განხმულა ზეცისა კარი!“
ბოლოჯერ ლოცავს ნინო ქართველთა:
„მინყივ გფარვიდეთ მაცხოვრის ჯვარი!“

* სამოთხე — იგულისხმება მირიან მეფის სასახლის ბაღი.

** უძველეს წყაროებში ნინო ტყვედ მოიხსენიება როგორც უთვისტომო ადამიანი.



შურის ციხიდან გზა ბოლზისაკენ...

მაყვალის იწვის, ვითა პირველ მოსესა თანა
და რიყის ქვებზე – ნატერფალი ნინიასი.
ჯვარზე რა უნდა თმას, რა უნდა! ჟღალია განა!
თითის ფალანგებს ეხება და კრთება თავისით.

გადაქექილა ხელისგული ვაზის რქაზედა
და თიხის ფერი დადებია მტევანებს ხელის,
მან სიქალწულე, ვით უთხმელი მთაზე აზიდა
და ახლა კალმახს ეფერება, ნაზი და ხმელი.

სული კლდე არის, გვამი – მხოლოდ მწვანე ბალახი,
დრო არას აკლებს, თუნდ დაეცეს ხვატი და დელგმა,
ამაყ დედოფალს მიეახლა, ხატი ანახვა:
იეშუაა, ქართლსა შინა იესუ ერქვას!

მუხლი მოდრიკა, მიემთხვია მორჩილად ქოშზე.
– ის არის ესე, ერთგულება ვისაც შევფიცე,
აქ წარმართთ შევხვდი, სასწაულის შეიქნენ მომსწრე,
დედა-ბატონო, მას ვქადაგებ და აწ შენ იცი.

– ვუნცი, მსმენია, იეშუა, იშვა ბეით-ლაჰმს,
ვინც ჰურიათა წესისამებრ გააკრეს ჯვარზე,
მას მიმდევარნი აქაცა ჰყავს, თუმც კი ესრეთ ხამს.
ისიც მსმენია, წყლის მაგივრად ძმარი შეასვეს.

ნადი, თქვი სიტყვა, სიტყვა საღმრთო, სიტყვა მართალი
და თუ მას ნებავს, დე, აღსრულდეს ეს ნება მისი.
შურის ციხესთან* უკვე არის მცირე საყდარი,
უცხო ხარ, დარჩი და გაუყევ გზას მისკენ დღისით.

* შურის ციხე – ნარიყალას ციხე-სიმაგრის პირვანდელი სახელწოდება. დაფუძნდა IV საუკუნეში;



– დიდგვაროვანი თუმცა გახლავარ, დედა-ბატონო,
მაინც ღირს არ ვარ საზეპურო მე შენთა სრათა.
კადნიერება იეშუას გამო განვდევნე,
დალოცოს ძემან კაცისამან შენი ზნის კალთა.

მადლი შესწირა, განუტევა ნანამ ნინია.
წვრილ კოჭებამდის მისწვდებოდა გრძელი მიზღური,*
ბოლოს, ბოდბესა შინა, სადაც კლდეში მღვიმეა,
კაბადოკიელს ქედს უდრეკდნენ ქართნი ჯიქურნი.

* მიზღური – სქელი ტილო.



დედო - ზარი

*„ადამისა და ევას დაცემის შემდეგ ყოველი ადამიანის
გულზე გაყოფის ბზარია, რამეთუ, მარად მიმდინარეობს
ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის.“*

ილია მეორე

არ არის გვიან. სინანული არ არის გვიან, –
სათნოებით და სიყვარულით თუ აინთები.
„ნუ დაუყრი“-ო მარიგებდი, – ტალახში ყრია,
გალილეველო, გათელილი მარგალიტები...
გრაალის თასი დანთხეული შენი სისხლია,
სულის სინმინდის გადამრჩენი აღთქმა-მცნებები...
გვედრი, ერესის გზა ჩახერგე, ტაძარ-ბიბლიას
მაზიარე და ამომტვიფრე „ნაზარეველი“
გულის ნაბზარზე, დედო-ზარად,
ცოდვილ ქრისტიანს...



შობის მარხვაა...

შობის მარხვაა, უშედეგო... ცოდვას ვიმრავლებ,
უფლის ტერფებთან საშობაო მადლი ჩუქდება,
ახლა ის დროა, ქრისტეს ბაგას უნდა ვეძებდე
და ოქრო-მურის ნაცვლად უფალს ლექსი ვაჩუქო...
შობის მარხვაა... არმოსული თოვლის მაგვარად
– მარხვაც ვერ ბარდნის, ჩემი სულის ყველა კუნჭულში.
მოდგა ზამთარი, უთოვლო და მე ვეგებები
ძველი ლოცვანით, წინა წელს რომ სადღაც შევკუჭე...
შობის მარხვაა... და მე დღესაც ცოდვისგან ვიშვი,
უფლის ტერფებთან საშობაო მადლი რიგდება
და მე ის ხე ვარ, თოვლს რომ ებრძვის სხეულით შიშველ
და ბოლოს ყინვა მოკიდებით გავირინდები...
შობის მარხვაა... ებრძვის დედა უფლის ტკივილებს
მე ჩემს ტკივილებს ვერ ვიტევ და თავს აქ ვიმართლებ.
ვდგავარ კუთხეში, ძველისძველი, სხვისი ლოცვანით,
თუმც სხვა ლოცვებით იდიდება უფლის სიმაღლე...
შობის მარხვაა, და ჩემს სულში თოვლი მოვიდა
და ძველ ლოცვანში ამოკითხულ „დიდება ან დას“
ერთვის გულიდან, ბევრჯერ თქმული, „შემინდე ღმერთო“
და მხოლოდ ერთხელ გაფიქრება – მე მუდამ მწამდა...

საგავშვო ქრისტიანული ლექსები



პატარა მკვდრეული

გულთამხილველო იესო,
გული რომ რწმენით გელისო,
გთხოვ, შეისმინო ვედრება
პატარა მომლოცველისო.

გენი ვარ ქეთევანისა,
შვილი ბედრკული ქვეყნისო,
მრავალჭირგადატანილი
რწმენაურყევი ერისო.
კვლავაც დაბადე გმირები,
ურყევი, მტკიცე ნებისო,
ნეტავ რა ვცოდეთ ასეთი,
მხსნელის ხმა რად არ გვესმისო?!
გამოაფხიზლე სამშობლო,
დღეს რომ ბურანში არისო,
ძალი და გონი მიეცი
გვიანი თუ არ არისო.

შენა ხარ ჩვენი იმედი,
იმ ჭირთამთმენი ერისო,
დღეს რომ დევნილად ქცეული,
შინ დაბრუნებას ელისო.
გთხოვ, შეისმინო ვედრება
პატარა მლალადებლისო,
ილოცე, ჩემს საქართველოს
გამობრწყინება ეღირსოს.
გამიუკვდავე სამშობლო,
ყოვლისშემნეო – იესო!...



ჭონა

დღეს კარდაკარ დადიან,
იძახიან „ჭონასა“,
კალათა გაუვსიათ
თეკლასა და ჭოლასა.

ერთი იყო ბატისა
ვერ გაიყვეს თანაბრად,
ითათბირეს, შეთანხმდნენ,
ორივეა თანახმა.

ჰა, აღდგომა გათენდა,
მზე მთებიდან დაგორდა,
დიდი პაპის საფლავზე,
ბატის კვერცხი გაგორდა.

ნანას სამზადისი

სააღდგომოდ ემზადება,
ჩვენი კობტა გოგო ნანა,
ხორბალი უკვე ჩათესა,
თან ყოველდღე რწყავს და ნამავს.
საბუდრისკენ გარბის მარდად,
თუ ქათამი იწყებს კაკანს,
დღემდე ვერვინ ვერ მიაგნო
მის დამალულ კვერცხით კალათს.
გუშინ ენდროს მოსატანად,
ისიც გაჰყვა ბებოს ტყეში,
და იმდენი მოაგროვა,
ვერ დატია ორივ ხელში.



უკვე ცომი გადაზილა,
უნდა აცხოს ეხლა პასქა,
ხვალ ხომ უფლის აღდგომაა,
უთენია მიტომ ადგა.

ალილო

ბაბუ ერთად ვიმღერებთ
დღეს მე და შენ ალილოს,
დილით ადრე ავდექი,
დავასწარი ალიონს.

ჩოხა უკვე ჩავიცვი,
თოხლო კვერცხიც ჩავყლაპე,
უკვე დანკურიალდა ხმა,
მალალ ნოტებს ჩავახვევ.

ურემი გაამზადე,
მე კი ხონჩას ავიღებ,
ხალხის შემონირულებს,
დავურიგებთ ღარიბებს.

შობა და გავშვები

შობის სამზადისია,
ჩვენთვის არავის ცხელა,
მინავლებულ თონეში კი
ნაზუქები ცხვება.
ბროლია და მურადა,
გარეთ ძვლებსა ჩიჩქნიან,



მამა ბუხრის კუთხეში
ახუჭუჭებს ჩიჩილას.
ბებომ უკვე დააცხო,
სამობაო ღვეზელი.
პაპა გვლოცავს იყავით
ჯანმრთელი და დღეგრძელი.
დაგვირიგეს კვერები,
ყველას წმინდა ბასილის,
მთელი წელი რომ ვიყოთ,
მისი მადლით აღვსილი.
სალამოა კვლავაც თოვს,
და ჩამოდის ცა ქუდად,
ირგვლივ სულ სითეთრეა,
ღამე ისევ დღეს ქურდავს.



საშობაო წინდაზი

გუშინ, პაპამ გაპარსა,
თოვლისფერი ბატკანი,
საშობაოდ მოქსოვა,
ბებომ წინდა, – თათმანი.
ჩამომჯდარა ხის ტოტზე,
ჩიტი, ენატანია,
მას რომ არ მოუქსოვეს,
ეს, ვერ აუტანია.
წინდისჩხირზე ბებიკომ,
თვლები ისევ დამარცვლა,
მოუქსოვა მასაც და
ცივ ფეხებზე ჩააცვა.



ქრისტეშობის ნატვრა

ციმციმებენ ფანტელები,
მთებზე ვერცხლად ნაფენები.

ფიფქებს,
ფაფუკ ფოლიანტებს,
ერთადერთი ნატვრა ვანდე,

ავეცეკვე
ათას ფანტელს,
ვტრიალებ და
მივდევ ცამდე
თავბრუდამხვევ
კორიანტელს.

საოცნებო ღამეს შობის,
სარკმელთან ხომ ქრისტე მოდის,

მე და მამა
სანთელს ვანთებთ,
გავანათებთ
სანთლით სარკმელს,
რომ ნატვრა
არ დაგვიანდეს.
მონატრებულს დედის ალერსს,
სიხარულით ვივსებ თვალებს,

უნდა მოხდეს სასწაული –
უფალი
სარკმელს ჩაუვლის
და წაიღებს
თან ჩემ სურვილს.

მერე ნატვრა ამიხდება,
მერე... დაბრუნდება დედა.



გულწითელა

გულწითელა უფლის ჩიტი,
ბედმა სად არ ატარა,
მასზე ნათქვამ ამ ლეგენდას
შენც გაგიმხელ პატარავ:

მხატვრის ხელმა შემოხატა
ცაზე ფრინველთ კამარა,
ერთზე ფერი შემოაკლდა,
დარჩა რუხის ამარა.

რად შეარქვეს „გულწითელა?“
კითხვა ჰქონდა მუდმივი,
პასუხი კი არსად იყო
მხოლოდ იყო დუმილი.

მის პატარა, ციდა ნაზ გულს,
სევდა დარდად დაექცა,
სახელს სულ ვერ ამართლებდა
და წითელიც არ ეცვა.

ირგვლივ თითქოს ყველაფერი
ლამაზ ფერით ანთია,
იქნებ, თავად იყო ბრალში,
ულალატა ნათლიას.

ვერა და ვერ შეეწითლა
ნაცრისფერი ბუმბული.
და დარდიან დღეთა მწკრივებს
სევდამ შეხსნა ურდული.

მას ამ ბედის შეგუება
არა სურდა არაფრით,



ფრთა გაშალა შემართებით
გადიფრინა ქარაფი.

ანწლის ბუჩქზე შეისვენა
შეელება სამოსი
და ეგონა რომ იპოვა
ბინა მისი სანმყოსი.

შემოსკუპდა ლამაზ ტოტზე
და დაიწყო გალობა,
აისრულა სანადელი,
ღმერთს შესწირა მადლობა,

მაგრამ როცა მდინარეში
განიბანა სხეული,
ის ოცნება სანატრელი
დარჩა კვლავ დამსხვრეული.

ანწლის ფერმა იმ სინითლით,
გადაღება ნაპირი,
მდინარემ კი ჩასჩურჩულა:
გულწითელა, ნუ ტირი.

ისევ ისე ნაცრისფერი
გახდა ჩიტი ჩიორა
და ტყის იქით თითქოს ქარიც
მისი სიმწრით კიოდა.

ბევრჯერ სცადა გულწითელამ
შეელება სამოსი
ამ მცდელობის ოდენობას
მთვლელიც კი ვერ ჩამოთვლის.



მის ციციქნა გულს კვლავ დაუდგა
სევდიანი დღეები,
ალიონსაც ვერ ხვდებოდა
ჩვეული შემღერებით.

მზე და მთვარე ნაცვლდებოდა...
გზად გამოჩნდა გოლგოთა,
ჯვრით შემდგარი მიდიოდა
შემნე ღარიბ-ობოლთა.

განკაცებულ უფლის სახე
თუმც, ვერავინ შეიცნო,
მაგრამ მათ წინ ნანამები
კაცი თითქოს მზე იყო.

გულწითელას ციციქნა გული,
სიბრალულით აძგერდა
და ეს დიდი სიყვარული
იგრძნო მუდამ თან სდევდა.

ჯვარცმულს ფრთხილად მიაფრინდა,
შუბლს აცალა ეკალი,
უფლის სისხლით შეეღება
მკერდის რუხი სპეკალი.

გულისგული შეღებილი
უფლის სისხლის წვეთებით
აღარასდროს ჩამოსცილდა
ცას შესცქერდა ვედრებით.

მიხვდა როცა გადუფრინა
გოლგოთის მთას ნისლიანს,



ადრე იყო განსაზღვრული
მისი დიდი მისია.

ახლაც როცა ვგრძნობ სპეცაკ სულს
და ვჭვრეტ მაღალ მთა-გორებს,
სიკეთე და სიყვარული
გულწითელას მაგონებს.



ასეთია: უფლის ნება...

როცა – გულში: რწმენის მზე და
რწმენის მთვარე დავანდება,
სხივნათელი დღე დადგება, –
უფრო, ნაზად გათენდება.

ოცნებების იალქნებით
ვესტუმრებით მთის მწვერვალებს,
იქ, ედემის ბაღნარია, –
ზამთარ-ზაფხულ რომ ელვარებს.

გადავივლით, ლალი ფრთებით,
ცხრა მთასა და კიდევ... ცხრა ზღვას,
ვესტუმრებით სიკეთის და
სათნოების უფლის საზღვარს.

და, რომ, უფრო, განვსხვიოსნდეთ,
მივყვეთ-წმინდა ნინოს ცნებას,
გულს ავივსებთ — სიყვარულით, –
ასეთია: უფლის ნება.

რწმენა

პირჯვარს ვინერთ: მე და დედა
და... მშვიდდება გულები,
სანთლის შუქი გვაძლევს რწმენას,
სითბო მოდის ულევით.

დედამ მითხრა: წმინდა ნინომ
ჯვარი შემოაბრძანა,



ამ ქვეყანას მოეფინა
დიდი რწმენის – რა ძალა!..

მეც ნინო ვარ... მის სეხნია...
და ვამაყობ – სახელით;
ჩუმად რომ ვესათუთებით –
იმედს, – გულში ახელილს.

ქრისტე ღმერთი გვფარავდეს და
ვრეკოთ რწმენის ზარები...
ყველა წელმა შემოაღოს
სიყვარულის კარები...



საშობაო იაჰნანა

ჩვილი იესოსთვის

ანგელოზნი გიგალობენ,
ბედღურები მღერიან,
ვარსკვლავები ციმციმებენ
შენთვის დელა-დელია,
ნანა, ჩვილო, ნენანა...
მზე და მთვარე შენია..
ტყეში ხტიან ქურციკნი
და ჩიტებსაც უხარით,
დაკუნტრუშებს ბეკეკა:
არ იყოთო მწუხარი,
ღმერთი ყოვლადღლიერი,
ნანა, ვარდო, ნენანა,
ლხინობს მთელი ქვეყანა.

ეს ცა...

ეს ცა,
ეს მზე,
ეს ზღვა,
ეს ტყე,
ეს ტბა,
ეს მთა,
დელია...
ჩემია და შენია,
შენია და ჩემია.
მამულს ტურფას, მშვენიერს,
მთლად სამოთხეს ვადარებ,
აქ სიმღერა-გართობა
გვიხარია პატარებს.



ბარბარობა

ქურის სადგარი წითლად ვარვარებს,
დედა თევზს წვავს და ლობიანს აკრავს.
ლამით გვეწვევა წმინდა ბარბარე,
როცა საათი თორმეტჯერ დაჰკრავს.

მოვა, მოგვიტანს უფლის წყალობას,
აგვივსებს სულის ცარიელ ჭურჭელს.
დალოცავს დედას და მის ქალობას,
ჩემს ძმას ტაძარში სიარულს ურჩევს.

მამას არყოფნის სევდის ნუგეშად
მოგვითხრობს ცათა სასუფეველზე,
მერე შენახულს გულის უბეში
ფსკვნილებს საჩუქრად შეგვაბამს ხელზე.

ყველანი ცრემლებს ავადვარღვარებთ
სიხარულის, და მერე, დღის ბოლოს,
წავა... და ჩვენსკენ წმინდა ბარბარე –
გზას მოასწავლის წმინდა ნიკოლოზს.



შობა

დეკემბერში შობის მოსვლა
ანგელოზმა იგალობა,
ღმერთმა ყველას დაგაბედოთ
ბარაქა და ღვთის წყალობა!!!
სანთელია ანთებული
ყველა სახლის ფანჯარაში,
იესო ხომ ნათელია
მოარული ფარაჯაში.
ღმრთის ნათელით აღვსილიყოს
პატარაა თუ მსცოვანი,
ჩვენს გულეშიც შობილიყოს
ტკბილზე ტკბილი მაცხოვარი.

საშობაო აურზაური

თოვლი მოდის, თოვლი მოდის, თოვლი მოდის, თოვს,
დათოვლილა მესაათე, სულ ჩამორჩა დროს,
სადაცაა ძველი წელი გაიხურავს კარს,
ის კი ისევ იგვიანებს და არ რეკავს ზარს.
ისარ-ისარ, წუთი-წუთზე შობა შემოდის,
ბუხრის ნაცვლად თოვლის ბაბუ კიბით ჩამოდის,
ყინვა მოლბერტს ხელში იღებს, ფანჯრებს მოხატავს
და ზამთარი მედიდურად იდგამს ბროლის ტახტს.
მამა ჭოტი გაცივდა და ვერ ინვრილებს ხმას,
ბელურას კი თოვლის ფიფქი გადასცდა და კლავს,
მაშველები უღრან ტყიდან ვერ იკვლევენ გზას,
აზუზუნდა, აურზაურს ქარიც უბამს მხარს!
წყლის წვეთს დედა ცეცხლზე უთბობს, სიცხეს უზომავს,
ჭოტის ნაცვლად ვინ იმღერებს საშობაოს მსგავსს?!
არ დაგიდევთ რა უძღვოდა წინ ამ მოლოდინს,
შობა სულ არ ნერვიულობს, მშვიდად შემოდის!

მათეს სინარული

ზეცა განათდა ანაზდად,
მინას გაუდის ზანზარი,
სუყველა ხარობს აშენდა,
სოფელში წმინდა ტაძარი

ვლოცულობთ, რწმენით ვიზრდებით,
მეტად გაბრწყინდა სულები,
ღვთის სასოებით აიესო,
გალაღებული გულები.

ხვალ კვირაა მიხარია,
დიდი დღე რომ გათენდება,
აღტაცებით ვერ ვიძინებ,
სინარული არ ნელდება.

ღმერთო რა კარგი დღე არი,
რა დილა გამთენებია,
ტაძარში ერთად მივდივართ,
მე და ბარბარე ბებია.

რა ბედნიერი დღე დადგა,
რეკავენ ცისკრის ზარები,
ქრისტეს უწმინდეს სისხლს და ხორცს,
პირველად ვეზიარები.

მამა ილიამ შემნიშნა,
დამლოცა უფლის სიტყვებით,
ვფიცავ! სიცოცხლის ბოლომდე,
ქრისტეს ერთგული ვიქნები!



სიკეთე

ზამთრის სუსხიან საღამოს,
ყინვით მობუზულ ფიჭვებთან,
შედგა ბიჭუნა, მამასთან
ერთად რომ მიაბიჯებდა;
და ხედავს – ერთი გლახაკი
გამვლელებს აღარ აჩერებს,
საბრალო, ნაგვის ურნაში
დაეძებს საქმლის ნარჩენებს.
– მამი, იქ ვილაც კაცია,
ნახე, რა ცუდად აცვია,
თან მანანწალა ძაღლები
ჭამასაც აღარ აცლიან.
გთხოვ, ჩვენი ორი პურიდან
ერთი მას მივცეთ მამიკო!
– კი, შვილო, უარს არ გეტყვი,
თავად უფალი არ იყოს!
მე ჩემს ქურთუქსაც გავიხდი,
რომ მას დავუთმო უფასოდ.
გლახაკმა ხელი აღაპყრო
და თქვა – მადლობა უფალსო!
გზა გააგრძელეს. ბიჭუნა
სულ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა.

მე ქართველი ვარ...

*ეძღვნება ჩემს შვილიშვილს,
ოთიკო მაჩაბელს*

მე ქართველი ვარ
ვამაყოფ ამით,
სისხლით და გენით
გმირთა შვილი ვარ,
პატარა კახის,
დიდი დავითის,
ვახტანგ გორგასლის
შვილიშვილი ვარ!

ლეკვი ვარ ალგეთს
დაბადებული
და ჩემს ტაოზე
მიდგას ეს თვალი,
ჩვენ დავიბრუნებთ
ქართულ მიწას და
აღარ გვექნება
წინაპრის ვალი...



ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ გამარჯვებულები

მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი

ლია რუსიაშვილი – 2011
მარიამ ნიკლაური – 2011
გივი ილურიძე – 2011
ვანო ჩხიკვაძე – 2012, 2017
მაია მიქაია – 2012, 2015
ელდარ ქიქიაშვილი – 2013, 2015, 2018, 2020, 2021
ელგუჯა ლებანიძე – 2013
შოთა ზოიძე – 2014
ედუარდ უგულავა – 2014, 2015, 2018, 2022
ზოია ვაშაკიძე – 2014
თამარ ფარჩუკიძე – 2014
ბადრი სულაძე – 2015
მურად მთვარელიძე – 2016
ნინო მოდრეკილაძე – 2016
მანანა ჩიტიშვილი – 2017
ელგუჯა მარლია – 2017
მზია სალვარიძე – 2017
ვაჟა მიროტაძე – 2019
ავთანდილ ყურაშვილი – 2020

პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი

რონა ბუბუტიშვილი – 2012, 2022
მურად მთვარელიძე – 2012
ვაჟა ოთარაშვილი – 2012
თამარ ფარჩუკიძე – 2012, 2019
ცირა ყურაშვილი – 2012
დავით შემოქმედელი – 2012
ლელა ცუცქირიძე – 2012
მარიამ ნიკლაური – 2012



იამზე არველაძე-ხეცურიანი – 2013
 ანტონ გაგუა – 2013
 ალექსი გოგბერაშვილი – 2013
 ცისანა თვალთაშვილი – 2013
 ფარნაოზ რაინაული – 2013
 მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი – 2013
 ზურაბ ყოლბაია (იმიერი) – 2013
 ლალი ჯაფარაშვილი – 2013
 ვასილ ბოსტაშვილი – 2014
 მამუკა დემეტრაშვილი — 2014, 2015
 ამირან სურგულაძე – 2014
 შოთა ტოგონიძე – 2014
 თეიმურაზ ქორიძე – 2014
 ელდარ ჭიჭიაშვილი – 2014, 2016, 2017, 2022
 შუჟუნა ხაჯიშვილი – 2014
 ეკატერინე ბაზერაშვილი – 2015
 ანა ბეინაშვილი – 2015
 ციური მესხიშვილი – 2015, 2019, 2022
 ნინო მოდრეკილაძე – 2015
 ქეთევან შენგელია – 2015
 ბადრი სულაძე – 2016, 2017
 გივი ჩილვინაძე – 2016
 კახა შალამბერიძე – 2016
 მაკა გელაშვილი – 2016
 ზოია ვაშაკიძე – 2017
 თამარ შაიშმელაშვილი – 2017
 ნინო დარბაისელი – 2018
 კახა სულუაშვილი – 2018
 ვანო ჩხიკვაძე – 2019
 ივეტა პავლიაშვილი – 2019
 ფიქრია ჩუბინიძე – 2019
 ზურაბ ჭიოკაძე – 2020
 ალა დათუკიშვილი – 2020
 მამა გიორგი გოგოლაშვილი – 2020
 კესარია (დოდო) აბაშიძე – 2020
 სოფია ქურასბედიანი – 2021



ია მერაბიშვილი – 2021
ალექსანდრე ჯინჭარაძე – 2021
სალომე ლომინაძე – 2021
ვაჟა მიროტაძე – 2022
თამარ მეტრეველი – 2022
მაია დიაკონიძე – 2022
ლალი მიქაია – 2022

პრიზი _ წმინდა ნინოს ჯვრის მედალი

რუსუდან ჯინჯიხაძე – 2016
ვასილ ბოსტაშვილი – 2016
მანანა ქურდაძე – 2016
დიანა ტყებუჩავა – 2016
სალომე გოგოლაძე – 2016, 2021
თეიმურაზ ტაბატაძე – 2016, 2022
მაია მიქაია – 2016
თამარ ფარჩუკიძე – 2017
მაია დიაკონიძე – 2017
ნუნუ ძამუკაშვილი – 2017, 2022
ნინო ტარყაშვილი – 2017
მარი მიროტაძე – 2017
ლალი მიქაია – 2017, 2018, 2020
კესარია (დოდო) აბაშიძე – 2017
მელანო ზუკაკიშვილი – 2017
გივი ჩილვინაძე – 2017
დავით კიკვაძე – 2017
გიორგი ნატროშვილი – 2017
თინათინ სიყმაშვილი – 2018
მზია თვალაბეიშვილი – 2018
ზოია ვაშაკიძე – 2018
მარი თაბაგარი – 2018
ზვიად ნეფარიძე – 2018
მაკა გელაშვილი – 2018, 2019, 2020
ნინო ახალაშვილი – 2018
ქალთამაზე (ანა) სურმანიძე – 2018, 2020



თენგო ხუციშვილი – 2018, 2022
 თიკა გელაშვილი – 2018, 2020
 ირაკლი ასლანიკაშვილი – 2018
 მამუკა დემეტრაშვილი – 2018
 თამარ მეტრეველი – 2019, 2020
 ბადრი სულაძე – 2019, 2021
 ელდარ ჭიჭიაშვილი – 2019
 ბექა ზამთარაძე – 2019
 ნათია გრძელიშვილი – 2020
 თამარ შაიშმელაშვილი – 2020
 ივეტა პავლიაშვილი – 2020
 მაგდა გომნიაშვილი – 2020
 როზა (მარიამ) ქაშაკაშვილი – 2020
 ალა დათუკიშვილი – 2021, 2022
 ზურაბ ჭიოკაძე – 2021
 მაკა აბულაძე – 2021
 ლელა გაფრინდაშვილი – 2021
 დარეჯან ხვედელიძე – 2021
 ზოია გრაფიშვილი – 2021
 მარი სადლობელაშვილი – 2021
 ემა მარგიანი (ფიქრია ყუშიტაშვილი) – 2021
 მანანა ჩაჩანიძე – 2021
 ლეილა ინაშვილი – 2021
 ელგუჯა ციგროშვილი – 2022
 ნინო არსენაშვილი – 2022
 გოჩა ჭაბუკაიძე – 2022
 მარინე ცუხიშვილი – 2022
 ნათია დაშნიანი – 2022

ენდალა (ლიპლომი)

შავლეგო არაგველი – 2014
 მაგდა ბეზიაშვილი – 2014
 დავით გაბუნია – 2014



- დონა კოლხი-ნარმანია – 2014
ნიკა ფუტკარაძე – 2014
მიხეილ ჩხეიძე – 2014
კესარია (დოდო) აბაშიძე – 2015, 2018
დავით ასილაძე – 2015
ნინო ბაქანიძე – 2015
ვასილ ბოსტაშვილი – 2015
დავით კიკვაძე – 2015
ვიკა მჟავანაძე – 2015
მანანა ქურდაძე – 2015
ეკა ქურხული – 2015
თამარ შაიშმელაშვილი – 2015
ივეტა პავლიაშვილი-დონაძე – 2018
ბექა ზამთარაძე – 2018
მაია დიაკონიძე – 2018
ნინო ტარყაშვილი – 2018
იამზე არველაძე-ხეცურიანი – 2018



შინაარსი

ზაალ ბოტკოველი. რა სიჩუმეა მაყვლოვანში?!	3
მანანა ჩიტიშვილი	9
ვანო ჩხიკვაძე	11
ლია რუსიაშვილი	15
ედუარდ უგულავა	21
შოთა ზოიძე	31
ბადრი სულაძე	33
მარიამ ნიკლაური	40
ელდარ ქიქიაშვილი	43
მაია მიქაია	67
ზოია ვაშაკიძე	71
მურად მთვარელიძე	74
თამარ ფარჩუკიძე	77
ელგუჯა მარლია	85
ავთანდილ ყურაშვილი	87
ნინო მოდრეკილაძე	97
მზია სალვარიძე	100
ვაჟა მიროტაძე	102
ელგუჯა ლებანიძე	105
გივი ილურიძე	106
ცირა ყურაშვილი	111
დავით შემოქმედელი	112
ლელა ცუცქირიძე	113
ვაჟა ოთარაშვილი	115
ქეთევან შენგელია	116
გივი ჩიღვინაძე	118
ალა დათუკიშვილი	122
თამარ შაიშმელაშვილი	126



კახა შალამბერიძე.....	129
მაკა გელაშვილი	131
რონა ბუბუტიეშვილი.....	135
მამა გიორგი გოგოლაშვილი	137
იამზე არველაძე-ხეცურიანი	138
ანტონ გაგუა.....	141
ალექსი გოგბერაშვილი	142
ფარნა რაინა (ფარნაოზ რაინაული).....	143
ცისანა თვალთაშვილი.....	144
ზურაბ ჭიოკაძე	145
სოფია ქურასბედიანი.....	147
ია მერაბიშვილი	148
ალექსანდრე ჯინჭარაძე.....	150
სალომე ლომინაძე	151
მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი.....	152
ზურა ყოლბაია (იმიერი).....	154
ლალი ჯაფარაშვილი.....	155
ვასილ ბოსტაშვილი.....	156
მამუკა დემეტრაშვილი.....	159
ამირან სურგულაძე.....	163
შოთა ტოგონიძე.....	167
თეიმურაზ ქორიძე	168
ჟუჟუნა ხაჯიშვილი	171
ეკატერინე ბაზერაშვილი	172
ანა ბეინაშვილი	173
ციური მესხიშვილი	174
ნინო დარბაისელი-სტრონი	176
კახა სულუაშვილი.....	177
ფიქრია ჩუბინიძე	178
კესარია (დოდო) აბაშიძე.....	179

მაია დიაკონიძე	182
თამარ ქართლელი (მეტრეველი)	186
ივეტა პავლიაშვილი	188
რუსუდან ჯინჯიხაძე.....	189
მანანა ქურდაძე	192
დიანა ტყებუჩავა.....	194
სალომე გოგოლაძე	200
ზვიად ნეფარიძე (მეფარე)	204
მელანო ზუკაკიშვილი	210
დავით კიკვაძე	211
გიორგი ნატროშვილი.....	214
თინათინ სიყმაშვილი	215
მზია თვალაბეიშვილი.....	217
მარი თაბაგარი.....	219
ნინო ახალაშვილი	221
ქალთამზე (ანა) სურმანიძე	222
თენგიზ ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი)	224
თეიმურაზ ტაბატაძე.....	226
ბექა ზამთარაძე	234
ნათია გრძელიშვილი.....	235
მაგდა გომნიაშვილი	236
მაკა აბულაძე.....	238
ლელა გაფრინდაშვილი	239
დარეჯან ხვედელიძე.....	242
მარი სადღობელაშვილი	243
ემა მარგიანი (ფიქრია ყუშიტაშვილი)	244
მანანა ჩაჩანიძე	245
ლეილა (ლილე) ინაშვილი.....	246
ზოია გრაფიშვილი	247
ელგუჯა ციგროშვილი	248



ნინო არსენაშვილი	249
გოჩა ჭაბუკაიძე.....	250
მარინე ცუხიშვილი.....	251
შავლეგო არაგველი	252
მაგდა ბებიაშვილი.....	254
დავით გაბუნია.....	257
დონა კოლხი-ნარმანია	258
ნიკა ფუტყარაძე	259
მიხეილ ჩხეიძე.....	261
ნინო ბაქანიძე	263
ვიკა მჟავანაძე	264
ეკა ქურხული	266
დავით ასილაძე	267

საგავშვო ქრისტიანული ლექსები

ივეტა პავლიაშვილი	271
ლალი მიქაია	272
ციური მესხიშვილი	275
მაია მიქაია.....	276
მარი მიროტაძე.....	277
ნუნუ ძამუკაშვილი.....	281
ნინო ტარყაშვილი	283
ირაკლი ასლანიკაშვილი.....	284
თიკა გელაშვილი	285
როზა (მარია) ქაშაკაშვილი.....	286
ნათია დამნიანი.....	287
თამარ მეტრეველი.....	288

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ გამარჯვებულები	289
---	-----

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

